FACT 2

1 ივლისი, 2025
№1
ფასი: 12 ლარი

16 რა ხდება ჩაღურაღ ღუბარის ლაბორატორიაში?

20 რუმად! მიმდინარეობს ჩ ე ბ ე ტ ი ც ი ა

40 სისტემა მუშაობს, მაგრამ შენ გარეშე

66 ნაცრის ფერი ქალაქი რუმად ალარ არის

90 „ბიჭი დიდი ოცნებებით“

სარჩევი

1 Gen-Z

1.1 რაზომ ჭირს წიგნის გამოცემა საქართველოში? 8
1.2 არჩევანი რთულია - სწავლა თუ მუშაობა? 10
1.3 ციფრული სარკე 12

2 რეპორტაჟი

2.1 რა ხდება რეალურად ლუგარის ლაბორატორიაში? 16
2.2 ჩუმად! მიმდინარეობს რევეზიცია 20
2.3 კათარზისი - „სათნოების სახლი“ 22
2.4 შუშის არქიტექტურა - თანამედროვე თბილისის იერსახე 24
2.5 ხის, ეპოქსიდისა და სიყვარულის სახელოსნო - სტუმრად „ჰალოში“ 30

3 პოლიტიკა

3.1 სურსათის ფასები ბაზარზე 36
3.2 თბილისის პროტესტების ქრონოლოგია - ბრძოლა დემოკრატიისა და ევროპული კურსისთვის 38
3.3 სისტემა მუშაობს, მაგრამ შენ გარეშე 40
3.4 შიში, წინააღმდეგობა და იმედი - ცხოვრება ოკუპაციის ხაზთან 44
3.5 პრეზიდენტ ტრამპის საგარეო პოლიტიკის გავლენა ევროპაზე 48

4 კულტურა-ხელოვნება

4.1 ხელოვნება, როგორც თერაპია 52
4.2 მოზაიკის ნაგებობიდან ოცნებამდე 56
4.3 ნანატრი ნეკო-სია 62

5 რეცენზია

5.1 ნაცრისფერი ქალაქი ჩუმად აღარ არის 66
5.2 „ჯერ დაგაკბით, მერე მობრძანდით“ 72

6 სპორტი

6.1 სპორტის გავლენა პოლიტიკაზე 78
6.2 ანა მდივანის ამბავი - 16 წლის ფრენბურთელი 80
6.3 UFC-ის ისტორიაში უდიდესი ბრძოლა? 84
6.4 საქართველოს ნაკრები 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე 88
6.5 „ბიჭი დიდი ოცნებებით“ 90

რედაქცია

1

მარიამ ჩალაური
მთავარი დიზაინერი,
ქურნალისტი

2



ელენე სეფანელი
დაფქაბადონეგელი,
ქურნალისტი

3



სალომე ჭურღულია
ქურნალისტი

4



ლელა ხვიადაშვილი
ქურნალისტი

5

გიორგი სირგილაძე
ქურნალისტი

6



ლიზი ხოფერია
ქურნალისტი

7



ლიზა პაპასქუა
ქურნალისტი

8



ნაზა ჭილაძე
ქურნალისტი

9

ანანო ქრისტესიაშვილი
ქურნალისტი

10

ნათია შენგელია
მთავარი რედაქტორი
ქურნალისტი

თანამედროვე სამყაროში, სადაც ჭირს გაარჩიო სიმართლე სიცრუისგან, ომი მშვიდობისგან, გულწრფელობა მლიქვნელობისგან, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ფაქტმა,როგორც არსებულის მტკიცებულებამ, როგორც ნამდვილის დადასტურებამ.
რთულად გასარჩევი გახდა ისიც, რა არის ადამიანის ხელითა შექმნილი და რა ხელოვნური ინტელექტის მიერ.სოციალურ მედიაში გავრცელებული უამრავი ვიდეო, ისე დამაჯერებლადაა გაკეთებული, დაკვირვებული თვალიც კი ძნელად მიხვდება სიმართლეს.
სწორედ, ამ რეალობაში გვიწევს ცხოვრება და ადაპტირება და ვფიქრობ, ობიექტური ჟურნალისტიკის ძალა,მხილებისა თუ ფაქტების გადამოწმების უნარი, ახლა ისეა საჭირო და აუცილებელი,როგორც არასდროს!
ჩვენი ჟურნალის შექმნისა და სახელწოდების მოფიქრების პროცესშიც, ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი. Fact2 - გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით, ფაქტთანაა კავშირში, მაგრამ ამავე დროს, ისეც შეგვიძლია გავიგოთ, რომ ყველა ფაქტს,შეიძლება ჰქონდეს სხვა, დაფარული ან შეგნებულად ინტერპრეტირებული სახე.
ჟურნალი კი, გვსურს, რომ სწორედ ამ „მეორე ფაქტის“ აღმოჩენას, გაგებას და სააშკარაოზე გამოტანას ემსახუროს. სიმართლის პოვნას იქ, სადაც თითქოს აღარც არაფერი იმალება.

პატივისცემით

თაობა ჯენზი

1995-2009 წლებში დაბადებული ახალგაზრდების თაობა არის პირველი, ვინც ციფრულ სამყაროში დაიბადა და გაიზარდა. ისინი არ სწავლობდნენ ტექნოლოგიების გამოყენებას, ისინი ამ რეალობაში პირდაპირ აღმოჩნდ-ნენ.

ჯენზი გამოირჩევა მაღალი ტექნოლოგიური ინტელექტით, მულტი-ფუნქციონირებითა და სწრაფი ადაპტაციის უნარით. მათი აზროვნება გლობალურია. სოციალური მედია კი მათი თვითგამოხატვისა და ცვლი-ლებების იარაღია.

ამ თაობას ხშირად ზუმერებსაც უწოდებენ. ეს ტერმინი, ასახავს მათ განსხვავებულ და თამამ ბუნებას.

სწორედ ამ გარემოში გაჩნდა თაობა, რომელიც არ ელის ცვლილებებს, არამედ თავად ქმნის მათ.

ისინი ახალი სამყაროს არქიტექტორები არიან!

Gen-Z

1.1 რატომ ჭირს წიგნის გამოცემა საქართველოში? 8

1.2 არჩევანი რთულია - სწავლა თუ მუშაობა? 10

1.3 ციფრული სარკე 12

ავტორი: მარიამ ჩალაური

რატომ ჭირს წიგნის გამოცემა საქართველოში?

"წიგნის დაწერა უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა დანარჩენი" - გოგა ქანთარია

"თუ ნაცნობი გყავს, ყველაფერი უფრო მარტივია. მე ყველაზე მეტად ამან გამირთულა საქმე. არ მყავდა ნაცნობი"- ფრაზა, რომელიც ზოგიერთი წიგნის ყდასავით მაგარი, რთულად გადასაკეცი და მკითხველისთვის ცოტა არაკომფორტულია და რომელსაც ქართველები მაშინ იშველიებენ,როცა ახალი საქმის წამოწყება სურთ და არ გამოსდით ან მათი სტარტაპი წარუმატებლობას განიცდის. ,,ვინმეს ყოლა'' ხომ ყველა სფეროში, გამარტივებული საქმე და მიზნისკენ სავალი რთული გზის შემოკლებაა. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომელთაც შემოვლითი გზებით სიარული, დაბრკოლებების გადალახვა და დანიშნულების წერტილამდე მისვლა დაგვიანებით, თუმცა ,,ნაცნობის'' მიერ შეთავაზებული კომპასის გარეშე ურჩევნიათ.

ახლბედა მწერლების მორალური "GPS'' გამართულად მუშაობს. ზოგიერთ შემთხვევაში, ტაბლოზე დაწერილი ,,შეფერხება'', სასურველ ლოკაციამდე მიუსვლელობას ხომ სულაც არ ნიშნავს.შესაძლოა, ამ პროცესში, მარშრუტი რამდენჯერმე შეცვალო ან საერთოდ ფეხით მოგიწიოს კილომეტრების გავლა,მაგრამ როცა შენი მთავარი მიზანი ნათელი და მკაფიოა , შეუძლებელია დანიშნულების ადგილი ჩიხი აღმოჩნდეს. წიგნის წერაც მიუვალ ადგილებში სიარულს ჰგავს,მაგრამ როგორც ავტორი წიგნისა ,,მეც ადამიანი ვარ'', გოგა ქანთარია იტყოდა: ,,დაწერა უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა დანარჩენი''.

რა არის ის ,,სხვა დანარჩენი?''აქ შესაძლოა სტამბის ხარჯები, დაკაბადონება, რედაქტორის ანაზღაურება და უფრო მეტი ტექნიკური დეტალი, თუნდაც ფურცლის ხარისხი იგულისხმებოდეს, მაგრამ მთავარი პრობლემა, უკვე დაბეჭდილი წიგნის მკითხველამდე მიტანაა. ამაზე ზრუნვა შენით გიწევს, შენით უნდა მოახერხო წიგნის მაღაზიებში შეტანა, გამომცემლობა აგიხსნის რა როგორ უნდა გააკეთო , მაგრამ ამის იქით, დიდად ვერ გეხმარება''.

სალი ლორთქიფანიძეც იმ დამწყებ ავტორთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი წიგნები დიდმა გამომცემლობებმა თაროზე შემოდეს და იქიდან ჩამოღებას არც უპირებენ: **,,წიგნი, რამდენიმე დიდი გამომცემლობას გავუგზავნე, თუმცა უკუკავშირი არცერთისგან არ ყოფილა. ყველაზე გაუგებარი ჩემთვის ის არის, რომ ითხოვენ სინოფსისს (შეზღუდულია ასოების რაოდენობა) და წიგნის 20 ან 30 გვერდს, ჩემთვის ცოტა უცნაურია როგორ უნდა შეფასდეს წიგნი 20-30 გვერდით?"** ახალგაზრდა ავტორი "კავშირების" შესახებაც საუბრობს: "დიდ გამომცემლობებში რომ შენი წიგნით ვინმე დაინტერესდეს,აუცილებელია ვინმე გყავდეს, ისე შენს ნაწერს არც გადახედავენ... წიგნის "ნაცნობობით" დაბეჭდვა გეხმარება წიგნის გაპიარებაშიც". სალი დანიშნულების ადგილამდე არატრადიციული გზით ჩავიდა. დიდი გამომცემლობების უარმა წიგნის გამოცემის სურვილი ვერ გაუფერმკრთალა. მისმა წიგნმა "ელი და ლაბნას საიდუმლო" კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონკურსში გაიმარჯვა. სალის აზრით, ასეთი ლიტერატურული კონკურსები, დამწყები ავტორებისთვის პოტენციალის გამოვლენისა და საკუთარი თავის გამოცდის შესანიშნავი შესაძლებლობაა. თუმცა სალის შემთხვევაში მთავარი მაინც წიგნის გამოცემის სურვილი იყო: "რომ არ გამემარჯვა, დიდი ალბათობით, დავბეჭდავდი პატარა ტირაჟს საკუთარი სახსრებით, მხოლოდ ჩემთვის და სამეგობროსთვის."

ლაშა თოქმაჯიშვილს წიგნის გამოსაცემად შედარებით რთული გზის არჩევა მოუხდა. სალის მსგავსად,ვერც ის იღებდა სათანადო უკუკავშირს: "წიგნს სამი წლის მანძილზე ვწერდი. წერის პროცესში ნაწილს "დიოგენეს" გამომცემლობას ვუგზავნიდი, ნაწილს "სულაკაურისას". **თითქმის ყველა ცნობილ გამომცემლობას მივმართე. გავუგზავნე ძალიან ბევრ, ნაკლებად ცნობილსაც. პასუხი კი ყოველთვის უარი იყო, მაგრამ არავინ მეუბნებოდა მიზეზს...** წიგნის გამოცემა, შემდეგ ჩემით მომიწია, ჩემი ხარჯებით...რედაქტორობაც მე შევითავსე." დაუსაბუთებელი უარი ბადებს გულისწყვეტასა და იმედგაცრუებას: **"მართლა გალაკტიონის თქმის არ იყოს, იდიოტთა აკადემიაა გამოცემლობებში, საერთოდ კითხულობენ თუ არა, ესეც არ ვიცით."**

ზოგ შემთხვევაში, შესაძლებლობების რუკაზე მხოლოდ მსხვილი პუნქტები მოჩანს, მაგრამ ერთი დაზუმება და არეალზე, შესაძლებლობების დიდი დიაპაზონი იშლება. ახალბედა მწერლებისთვის მცირე გამომცემლობები, სწორედაც რომ შესანიშნავი ალტერნატივა და დასახმარებლად გამოწვდილი ხელია. „ჩემი გამომცემლობის" დირექტორის, ოლიკო ცისკარიშვილის თქმით, მასთან ძირითადად, დებიუტანტი ავტორები იბეჭდებიან, რომელთაც გამომცემლობა პირველი ნაბიჯების გადადგმასა და წიგნის ინდუსტრიაში საკუთარი თავის დამკვიდრებაში ეხმარება.

"ჩემი გამომცემლობის" მენეჯერი და არაერთი წიგნის ავტორი,დავით ხარატიშვილი აღნიშნავს, რომ "ჩემი გამომცემლობის" ერთერთი მთავარი ხაზი ახალბედა ავტორების ხელშეწყობაა. ვცდილობთ, მაქსიმალურად შეღავათიანი ფასები შევთავაზოთ და ამასთან, ის დანახარჯი, რომელიც გაწიეს, გაყიდული წიგნებიდან, ჰონორარის სახით უკან დაიბრუნონ."

მიუხედავად იმისა, რომ "კავშირების" ქონის პრაქტიკა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში არსებობს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდა, ნიჭიერი ავტორები ფინანსური თუ სხვა დაბრკოლებების გამო, ასპარეზს მიღმა რჩებიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავი წამახალისებელი კონკურსი, გრანტი თუ პლატფორმაა დებიუტანტი ავტორებისთვის. "Amazon Kindle Direct Publishing (KDP)" დამწყებ მწერლებს თავიანთი წიგნის რეალიზებისთვის პირდაპირ "ამაზონის" ბაზარს სთავაზობს.პლატფორმა"Lulu"მოქნილისაგამომცემლო პრაქტიკით ხასიათდება, სადაც მწერლები თავად ადებენ ნამუშევარს ფასს, განსაზღვრავენ წიგნის დიზაინს, ფურცლის ხარისხსს, ტირაჟის რაოდენობას და სხვა. დიდი ბრიტანეთი ახალბედა ავტორებსა და პოეტებს სამუშაო სივრცეს სთავაზობს. "Iowa Writers' Workshop'' კი არის ადგილი, სადაც დამწყებ მწერლებს, შესაძლებლობა აქვთ თავიანთი ნამუშევრების შესახებ მიიღონ ყოველკვირეული უკუკავშირი გამოცდილი ავტორებისგან. საქართველოში მსგავსი საიტებისა თუ წამახალისებელი აქტივობების დამკვიდრება, ბევრ ახალგაზრდას მისცემს წერისა და შემოქმედებითი კუთხით განვითარების შესაძლებლობას.

ქართული წიგნის ბაზრის კვლევის მიხედვით, 2020 წელს, გამომცემლობებმა შემოსავლის 44% ქართულენოვანი წიგნებიდან მიიღო, 46% კი უცხოურიდან თარგმნილი ლიტერატურიდან.
დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურას საკმაო რაოდენობის მკითხველი ჰყავს. ასე რომ, უფრო მეტი ყურადღების მიქცევა ადგილობრივი და ახალალბედა მწერლებისთვის, გამომცემლობებს ზარალს არ მოუტანს,ქვეყანაში კი გვეყოლება უფრო მეტი წარმატებული ავტორი, რომლებსაც გული არ დასწყდებათ, თუ მათი რომელიმე ნათესავი გამომცემლობაში არ იმუშავებს.

სალი ლორთქიფანიძე

ავტორები: სალი ჭურღულია,
ლიზი ხომერიკი

არჩევანი რთულია – სწავლა თუ მუშაობა?

დღესდღეობით, თითქმის ყველა სტუდენტი დილემის წინაშე დგას - აირჩიოს სწავლა, თუ აირჩიოს მუშაობას. ვისთვის ეს სურვილია, მიიღოს გამოცდილება, ვისთვის ფინანსური დამოუკიდებლობა. თუმცა უმრავლესობისთვის, ეს თვითგადარჩენის საშუალებაა.

გაძვირებული ბინებისა და პროდუქტებზე მკვეთრად მომატებული ფასების ფონზე, სტუდენტების უმრავლესობას, სწავლის პარალელურად, მუშაობა უწევს.
არსებობს კი სტუდენტებზე მორგებული სამსახურები? როგორც თავად აღნიშნავენ, საქართველოში სწავლისა და სამსახურის შეთავსება, თითქმის შეუძლებელია, რასაც საბოლოოდ, ლექცია-სემინარების გაცდენამდე და არასახარბიელო აკადემიურ მოსწრებამდე მივყავართ.

2024 წლის ახალგაზრდობის კვლევის მიხედვით, 18-24 წლის სტუდენტების 48% პარალელურად მუშაობს, აქედან 60% კი სრულ განაკვეთზე. სტუდენტებისთვის ნაკლებად მოიძებნება ანაზღაურებადი სამსახური, სადაც ისინი პროფესიულ გამოცდილებას დააგროვებენ. დიდი კომპანიები, მაღალი ანაზღაურებით, არ იღებენ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პერსონალს. ამიტომ მათ უმეტესობას დასაქმება მომსახურების სფეროში უწევს, რაც კაფე-ბარებს, რესტორნებს, სწრაფი კვების ობიექტებს, სავაჭრო ქსელებსა და ონლაინ კაზინოებს გულისხმობს.

გმირები სცენაზე ანუ სტუდენტები, რომლებიც ყველაფერს ასწრებენ (და მაინც ვერ ასწრებენ):

ლაშა 22 წლის, ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტი :
„დღე, დილის შვიდზე მეწყება. ვმუშაობ ოფისში. ლექციებზე მისასვლელად დრო თითქმის არ მრჩება. ხანდახან, ლექტორს წინასწარ ვურეკავ და ვთხოვ, რომ არ გამომრიცხოს. დავალებებიც ვერ მიმაქვს და მრცხვენია კიდეც. არ ვარ ზარმაცი, უბრალოდ ვერ ვასწრებ.“

ხატია 21 წლის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი:
„პირველ კურსზე, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ლექტორი მეჩხუბა, თითქოს სწავლა არ მაინტერესებდა. რეალურად, 8 საათი მაღაზიაში ვმუშაობ და მერე, ტრანსპორტში ჯდომისას ვწყვეტ,ლექციაზე წავიდე თუ სახლში. ენერგია ფიზიკურად აღარ მაქვს ხოლმე.“

ეს, მხოლოდ ორი მაგალითია იმ მრავალიდან, ყოველდღე რომ უწევთ გადაწყვეტილების მიღება.

„ახლა ვიმუშაო, რომ სწავლის გადასახადი მქონდეს თუ ვისწავლო და სამსახური დავკარგო და შეიძლება სწავლაც ვეღარ დავასრულო?!“

ეს თემა, ჩვენთვის, უბრალოდ სტატისტიკა ან ჟურნალისტური ვალდებულება არ არის. მეც იმ სტუდენტებს შორის ვარ, ვინც დილით სამსახურში მიდის და საღამოს კი ლექციაზე. ზუსტადვიცით,რასნიშნავს,თვალებდასიებული იჯდე აუდიტორიაში, ვეღარ კითხულობდე ნაწერს და დარცხვენილი ფიქრობდე, როგორ უპასუხო ლექტორის კითხვას, რომელზე პასუხი ალბათ იცი კიდეც, მაგრამ შენს გონებას მისი გაგებაცა და გააზრებაც გაუჭირდა.

ვიცით, რას ნიშნავს დასახო გეგმა, სადაც განათლება უპირობო პრიორიტეტია, მაგრამ რეალურად ბოლო ადგილზე აღმოჩნდება, რადგან გადასახდელი გაქვს სწავლის თანხა, ქირა , კომუნალურები...

როცა ამ რეპორტაჟს ვწერდით, თითოეული სტუდენტის ხმა, თითქოს ჩვენშიც ჟღერდა.

იმედია, ვინც წაიკითხავს, გაიგებს, რომ პრობლემა, მხოლოდ დროის მენეჯმენტი არ ეხება. ესაა სისტემა, სადაც სტუდენტი არ ირჩევს მუშაობას, არამედ იძულებულია.

ფსიქოლოგი ია მელიქიშვილი:
„მუშაობა სტუდენტობისას ცუდი არ არის,მაგრამ როცა ეს აუცილებლობაა და არა არჩევანი, ის აზიანებს მოტივაციას, ფსიქიკურ ჯანმრთელობას და აკადემიურ პროგრესს.“

ლექტორი გურამ სუბელიანი:
„სისტემას სჭირდება მოქნილობა. სტუდენტს კი, რომელიც მუშაობს, მხარდაჭერა და არა დისკვალიფიკაცია. გვჭირდება მეტი ლექცია შერეულ ფორმატში, მორგებული შეფასება და მეტი ჰუმანურობა.“

და მაინც, რატომ არის ეს, ჩვენი საერთო საქმე?

ახალგაზრდობა - საზოგადოების სარკეა. სარკე, სადაც ჩანს ეკონომიკური სირთულეები, განათლების სისტემის ხარვეზები და შრომის ბაზრის დაუნდობელი ტემპი.

სასწავლო პროცესში მოქნილი გრაფwიკი, დისტანციური არჩევანი ან სტუდენტების სოც. პაკეტების გაზრდა – ეს ყველაფერი არ არის პრივილეგია, არამედ მინიმუმი, რომელიც სწავლასა და სარჩოს მოპოვებას უნდა აბალანსებდეს.

ბოლო კვლევა, რომელიც სტუდენტების დასაქმების საკითხს ეხება, 2019 წელს ჩატარდა, კოვიდ-პანდემიამდე. მას შემდეგ,ამ საკითხის სიღრმისეული შესწავლით არავინ დაინტერესებულა, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლები გამუდმებით ჩივიან მუშახელის ნაკლებობას.

და ვბრუნდებით იქ, საიდანაც დავიწყეთ, გადაუჭრელი დილემა სამსახურსა და სწავლას შორის.

რეალობა,რომელშიც სტუდენტი არა მარტო დროისა და ენერგიის ნაკლებობას, არამედ იდენტობის კარგვასაც განიცდის. მიზნები, ოცნებები, სურვილები- ცალკე არსებობენ ჩვენს გონებაში, ისე კი - ვიბრძვით გადარჩენისვის. არც სახელმწიფოს აქვს მოწესრიგებული სისტემა, არც საზოგადოებაა თანამგრძნობი, რომელიც ხშირად, იმაზე მეტს ითხოვს შენგან, ვიდრე შეგიძლია ან ვიდრე თავად გაძლევს თვითრეალიზებისათვის.

პრობლემა არ გვარდება და მოწმენი ვართ ერთგვარი ციკლური კრიზისისა: ახალი თაობა, სრულად ვერ კონცენტრირდება განათლების მიღებაზე, შემდგომ ვერც შრომის ბაზარი მიიღებს კვალიფიციურ კადრს, სამუშაო ძალის არაპროფესიონალიზმი კი პირდაირ აისახება ქვეყნის განვითარებასა და მისი წინსვლის პოტენციალზე.

ფაქტი კი რჩება ფაქტად, რომ საქართველოში სტუდენტობა არა საკუთარი თავის აღმოჩენის, შესაძლებლობებში გარკვევისა და პროფესიის დაუფლების ხანაა, არამედ თვითგადარჩენისა და მუდმივი დათმობების.

ავტორი: ლიზი სოვერიკი

ციფრული სარკე

რა გავლენას ახდენს ფილტრები და ლაიქები ჯენზის თვითშეფასებაზე?

სასწავლო დღის ბოლოს, თინეიჯერი მარიამი ტელეფონს უყურებს. მან ახლახანს ატვირთა ფოტო ინსტარგრამზე – პასტელური ფილტრი, ოდნავ გაწელილი ღიმილი, დალაგებული თმა, თუმცა 1 საათში მხოლოდ 25 ლაიქი… მარიამი სქროლავს კომენტარებს, მერე სიჩუმეში აგდებს ტელეფონს და სარკეში იყურება. სარკეში კი სხვა სახეა – ნაკლებად ნათელი, ბუნებრივი და დაუმუშავებელი.

ეს არ არის უბრალოდ სოციალური მედიის პოსტი. ეს არის თვითშეფასების სარკე, რომელსაც დღეს ფოტო და სტატისტიკა - ფილტრები და ლაიქები ქმნიან.

სანამ „ლაიქების“ ეპოქა დაიწყებოდა, თვითშეფასება ხშირად ემყარებოდა რეალურ ურთიერთობებს, სიტყვიერ უკუკავშირს, ქცევასა და ემოციას. დღეს კი, Gen Z-სთვის საკუთარი ღირებულების საზომად, ე.წ. ,,engagement" ქცეულა, რომელიც, ხშირად, მათ ნამდვილ სახეს საერთოდ არ უკავშირდება.

ფსიქოლოგი ნანა ქობალია განმარტავს:
„ფილტრები ქმნიან ილუზიას, რომელსაც მოზარდი რეალურად ვერ ერგება. მათი მოლოდინები საკუთარი თავის მიმართ არარეალურია და როცა რეალობა სხვანაირია, ეს უკმაყოფილება – თითქმის ტკივილია.“

ფსიქოლოგი ქეთი მაღრაძე კი ხაზს უსვამს, რომ:
„ჯენზი,როგორც თაობა, რომელიც დაბადებიდან იყო ციფრულ სამყაროში, თავის იდენტობას ნაწილობრივ იმ „ვირტუალურ მე-ზე" აგებს, რომელსაც სხვები რეაქციებით ადასტურებენ. ამიტომაც, როცა არ მოდის ლაიქი ან კარგი კუთხით გადაღებული ფოტო, ამას აღიქვამენ როგორც საკუთარი ღირებულების რღვევას.“

Gen-Z, რომელიც გაიზარდა ლაიქებსა და რეაქციებს შორის, ბევრად უფრო მგრძნობიარეა იმაზე, თუ როგორ უპასუხებენ მათ ონლაინ. თითოეული ემოჯის უკან დგას განცდა: ხანდახან შეცდომის შიში, ხანდახან ეჭვი ვერ გაგებისა ან უბრალოდ გულწრფელი სიხარული ყურადღებაზე.

ქვემოთ, ამ ოთხი განსხვავებული ემოციით მიღებული განცდებია გადმოცემული, თითოეული მათგანი კი განსხვავებულ ისტორიებს გვიყვება:



გაბრაზებული ემოჯი
მარი 20 წლის:
“რაღაცას არასწორად ვამბობ? იქნებ ხუმრობას ვერ ჩაწვდნენ? იმ წამსვე მინდება პოსტის წაშლა, როცა მსგავს ემოციას ვიღებ პოსტებზე”



ტირილის ემოჯი
ნიკა 18 წლის
“ნუთუ ასე ცუდად ჟღერდა? არ მინდოდა ნეგატიური ვაიბი მომეტანა… ცოტა არ იყოს გული დამწყდა.“



ლაიქი
გიორგი 19 წლის
„სტაბილური ლაიქი სულ კარგია, თუმცა ხანდახან გინდა რაღაც მეტი… კომენტარი ან share მაინც, თორემ მგონია რომ უბრალოდ ასქროლეს და შემთხვევით დაეჭირათ ღილაკზე.“



გულის ემოჯი
ანანო 21 წლის
„გულის რეაქციას სხვა განცდა აქვს რა, თითქოს მართლა კავშირს გრძნობ იმ ადამიანთან ვინც რეაქცია გამოხატა და მხარი დაგიჭირა.”

როგორ უნდა მივუდგეთ ჯენზის?
ფსიქოლოგების თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ჯენზისთან კომუნიკაცია არ იყოს მორალისტური ან გამკიცხავი. ამის ნაცვლად, საჭიროა:
►მოზარდების მიღება მათივე სამყაროში – მათთან კომუნიკაცია მათი ენის გამოყენებით, იმ პლატფორმებზე, სადაც ისინი რეალურად ცხოვრობენ.
►მედიაწიგნიერება სკოლაში – იმის სწავლება, როგორ იცნონ განსხვავება რეალურ და ვირტუალურ აღქმას შორის.
►მასწავლებელთა და მშობელთა გადამზადება - რომ ხელი შეუწყონ ჯანსაღი თვითშეფასების ჩამოყალიბებას.

ფსიქოლოგი ანა აბულაძე აღნიშნავს:
„მნიშვნელოვანია, მშობელმა ან მასწავლებელმა ბავშვს არ უთხრას – ‘ეს ფოტო რეალური არაა, დაივიწყე, , არამედ ჰკითხოს – ”შენ როგორ გგონია რეალურად შენ ხარ ამ ფოტოში?“- კავშირი საუბრიდან იწყება“

კარგი ამბავია, რომ თავად Gen Z-ც იწყებს ბრძოლას. ჩნდება მოძრაობები, რომლებიც მოწოდებულია ბუნებრივობისკენ. ჰეშთეგები: #nofilter, #realme, #naturalself და ტიკტოკ-ვიდეოები, სადაც ინფლუენსერები „სურათის მიღმა“ აჩვენებენ საკუთარ თავს, მცირე მაგრამ უკვე წინ გადაგმული ნაბიჯია.

ძირითადი გზები კი ასეთია:
►შეგნებული ვირტუალური ქცევა – Gen Z-ს შიგნიდან წამოსული მოძრაობა ფილტრების წინააღმდეგ.
►დასვენების დღე ციფრული სივრციდან – ინიციატივები, როგორიცაა „Screen-Free Saturday“.
►ღია საუბრები მენტალურ ჯანმრთელობაზე – კონტენტი, რომელიც ასახავს ფსიქოლოგიურ მხარეს და აუდიტორიას რეალურ ამბავს უზიარებს.

Gen Z-ს რეალური სახე არ არის მხოლოდ ფილტრით განათებული ღიმილი ან ათასლაიქიანი ფოტო. ის არის დაღლილობის, დაუცველობის, მაგრამ ამავე დროს სიმამაცის და ცვლილების სურვილის სახე.
როცა ეკრანი ქრება, რჩება ადამიანი – საკუთარი კითხვებით, სხეულით და ხმით, რომელიც ცდილობს არ დაიკარგოს ციფრულ ლაბირინთში.

დაბოლოს, ვუბრუნდებით მარიამს. მის ფოტოს უკვე 42 ლაიქი აქვს. მარიამი ისევ სარკეში იყურება – ოდნავ იღიმის და იქნებ სწორედ ამით, ის უფრო მეტად ჰგავს თავის ნამდვილ მეს?!

რეპორტაჟი

2.1 რა ხდება რეალურად ლუგარის ლაბორატორიაში? 16

2.2 ჩუმად! მიმდინარეობს რეპეტიცია 20

2.3 კათარზისი - „სათნოების სახლი“ 22

2.4 შუშის არქიტექტურა - თანამედროვე თბილისის იერსახე 24

2.5 ხის, ეპოქსიდისა და სიყვარულის სახელოსნო - სტუმრად ჰალოში 30

რა ხდება რეალურად ლუგარის ლაბორატორიაში?

ავტორი: ნათია შენგელია

აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე,მარჯვენა მხარეს, რამდენიმე შენობადაა განლაგებული ე.წ. ლუგარის ლაბორატორია. წლები ისმოდა მითები და ვრცელდებოდა ლეგენდები ამ ადგილის შესახებ, ხდებოდა დემონიზება. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა და დღემდე გამოირჩევა ჩვენი მეზობელი ქვეყანა - "მოძმე" რუსეთი.
არათემატურ პოდკასტებსა თუ გადაცემებშიც კი შეხვდებით საუბრებს, როგორ გვაქვს საქართველოში საიდუმლო ლაბორატორია და ვამზადებთ ვირუსებს ამერიკელების შეკვეთით. ახლა, ამ სიტყვებზე, ალბათ, თქვენც ჩემსავით გაგეღიმებათ, მაგრამ პანდემიამდელ საქართველოში, ძალიან ბევრ ქართველს სჯეროდა ამ ყველაფრის. თუმცა კოვიდმა და მასთან გამკლავებაში, ლუგარის ცენტრის ფასდაუდებელმა ჩართულობამ, სხვა თვალით დაგვანახა ცენტრის საქმიანობაცა და იქ მომუშავე ადამიანების პროფესიონალიზმი.

პანდემიიდან სამი წლის შემდეგ კი, ქართულ სოციალურ მედიაში, ისევ დაიწყო რუსული პოდკასტებიდან ამონარიდების გავრცელება, ლუგარის ლაბორატორიის შესახებ. სიმართლე გითხრათ, როცა ვიზიტი და ამ თემის მომზადება გადავწყვიტე, ბოლომდე არც მჯეროდა, რომ იქაურობის კარი,ჩემთვის ისე ფართოდ გაიღებოდა, რომ არაერთ ხელმძღვანელ პირთან შევძლებდი შეხვედრას და გასაუბრებას.

იქამდე კი, ცენტრის ამბავი 1937 წელს იწყება, როცა ის შავი ჭირის სახელობის სადგურად არსდება.
1992 წელს, პოსტსაბჭოთა საქართველოში, ის უკვე განსაკუთრებით საშიში პათოგენების კვლევითი ცენტრია.
1996 წელს- დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.
„ამერიკელი სენატორების-ნანისა და ლუგარის ინიციატივა იყო ამ ცენტრის განახლება. მათი მიზანი იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ,ქიმიური თუ ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობა, დაცული ყოფილიყო ხელშეკრულებით,არ მოხმდარიყო იმ საბჭოთა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და გამოცდილების გასვლა ისეთ ქვეყნებში, სადაც დიქტატორული რეჟიმებია. რა თქმა უნდა, საქართველოშიც ინახებოდა საშიში პათოგენების ენდემური კოლექცია. მაგალითად, ჯილეხი, ტუარემია, შავი ჭირი თუ სხვა საშიში მიკროორგანიზმები."- გვიყვება ბატონი პაატა იმნაძე - სსიპ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში.



ლუგარის ლაბორატორია

2002 წლიდან იწყება ხელშეკრულების გაფორმება იმაზე, რომ აშენდეს მაქსიმალურად დაცული ადგილი ამ მიკროორგანიზმების შესანახად და ლაბორატორია,რომ შესაძლებელი ყოფილიყო უსაფრთხო გარემოში მუშაობის გაგრძელება. ადრე თუ მხოლოდ ადამიანის გამოცდილებაზე და პროფესიონალიზმზე იყო დამოკიდებული ეს დაცულობა, ამ პერიოდში უკვე შესაძლებელი იყო, ტექნოლოგიურად გამართული სივრცის შექმნა.

ბატონი პაატა გვიყვება ცენტრის სპეციფიკაზეც:
-**„ეს მესამე დონის ლაბორატორიაა.** რაც ნიშნავს, რომ მაგალითად, ქვეყანაში ეხლა ებოლა რომ შემოვიდეს,დიაგნოზის დასმა შეგვიძლია, მაგრამ თვითონ ვირუსზე მუშაობა-არა, ეს უკვე მეოთხე დონის ლაბორატორიების პრეროგატივაა, რომლის შენახვაც საკმაოდ ძვირი ჯდება და მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებულ, დიდ ქვეყნებს აქვთ. მთავარი განსხვავება იმაშია, ვინც მუშაობს ვირუსზე, ის როგორაა დაცული სპეციალური აღჭურვილობით. რეალურად, მესამე დონის ლაბორატორიის არსებობა, ყველა განვითარებული ქვეყნისთვის აუცილებლობაა."
-მაშინ რატომ ხდება, მაინცდამაინც ამ ცენტრის დემონიზება?
-სუფთა წყლის პროპაგანდაა. **ჩვენს ცენტრში,თუნდაც ტრენინგების კუთხით რომ ავიღოთ, ძალიან ხშირად ჩამოდიან სომხები, აზერბაიჯანელები, ყაზახები, ყირგიზები, თურქები, ამერიკელები. ევროპელებიდან გერმანელებთან გვაქვს ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა ანუ ჩვენი სივრცე ღიაა პროფესიული თანამშრომლობის კუთხით და ყველას შეუძლია ნახოს, რითი ვართ დაკავებული.** პრინციპში ისედაც ღიაა (იღიმის), რაც აქ ჟურნალისტები არიან ნამყოფები, მსოფლიოს არცერთ მესამე დონის ლაბორატორიაში არაა მაგდენი. სწორედ, გავრცელებული ჭორების გამო, გვინდოდა გვეჩვენებინა აქაურობა და ჩვენი ღიაობა. ასევე, დადიან სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკას გადიან და სკოლის მოსწავლეებიც კი ყოფილან ექსკურსიებზე."

შავიპროპაგანდისმიზეზებზეგვესაუბრება,სსიპ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის უფროსი - შოთა ცანავაც :
- -მესამე დონის ლაბორატორიის ქონა, ჩვეულებრივი მოვლენაა განვითარებული ქვეყნისთვის, მაგრამ მაშინ, როცა ჩვენს



გავრცელების ამ ქსელს, აქაც აკლია ორი რეგიონი- აფხაზეთი და სამაჩაბლო

ქვეყანაში დაიწყო ძველი ცენტრის რეორგანიზება და ამ ლაბორატორიად გარდაქმნა, არ ვეკუთვნოდით სამწუხაროდ, ასეთი ქვეყების რიცხვს. ასეთი ცვლილებებისა და უეცარი,უმაღლესი ტექნიკური აღჭურვის მქონდე ლაბორატორიის მისაღებად, თვითონ ქართული საზოგადოებაც არ აღმოჩნდა მზად. ამან გამოიწვია, დაჯერება იმ პროპაგანდისტულად გავრცელებული მითების დაჯერება. საკითხს ამწვავებდა, ამერიკული მხარის ასეთ ჩართულობა,რაც რუსეთისთვის, როგორც თავადაც დიდი სახელმწიფოსთვის, მის მეზობლად მიმდინარე ასეთი ტიპის აქტივობა, მისი მონაწილეობის გარეშე- მიუღებელი იყო.“

ბატონი შოთა იხსენებს, რომ ეს პროცესი ხდებოდა, ქართული მხარის სრულყოფილი ჩართულობით. პირველივე დღეებიდან, ისიც და პაატა იმნაძეც ჩართულები იყვნენ რეორგანიზაციაში და ხშირად,რჩევებს, ამერიკული მხარე, მათაც ეკითხებოდა, რომ მიეღოთ მეთოდური დახმარება და ცენტრი ყოფილიყო მაქსიმალურად მორგებული საქართველოზე და აქ მომუშავე ადამიანებზე. დაიხარჯა საკმაოდ დიდი თანხა ამერიკელების მიერ, თუმცა ისიც აღსანიშნია, რომ 2018 წლიდან, ლუგარის ლაბორატორია სრულად ფინანსდება ქართული მხარის მიერ. იყო პროექტები და რჩება კიდეც რამდენიმე, დასავლური ქვეყნების მიერ დაფინანსებული, თუმცა რამდენიმე წელია, რაც ფინანსურად, უკვე დამოუკიდებელი პარტნიორობების ფორმატში აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობებთან.

რუსული მხარის აგრესიულ პროპაგანდას კი, ლუგარის ცენტრმა ღიაობით უპასუხა. მოიპატიჟეს „Russia Today”, რუს სპეციალისტებთან ერთად და დაათვალიერებინეს ლაბორატორია:
„ბოქსებიც კი გავუღეთ და შევახედეთ პროცესზე, რომ დარწმუნებულიყვნენ, არავითარი ბიოლოგიური იარაღი ჩვენთან არ მზადდება. ამის დამზადებას, ისეთი ტიპის ცენტრიფუგები სჭირდება თუნდაც, რომ მათი ადგილიც კი არ არის ფიზიკურად ჩვენს ცენტრში - აღნიშნავს შოთა ცანავა და ამატებს :
-ლუგარის ცენტრი, დაავადებათა კონტროლის და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია და არა, ცალკე მდგომი ობიექტი. ეს, ხშირად ეშლებათ. ჩვენი მოვალეობაა, ინფექციურ დაავადებათა დიაგნოსტიკა, მათ შორის საშიში ინფექციების და ვმუშაობთ და ვუმკლავდებით იმ გამოწვევებს, რაც საზოგადოების ჯანდაცვის ინტერესებს ემსახურება.“
ლაბორატორიული მუშაობის უსაფრთხო მხარეზე კი კომენტარის გაკეთებას ვთხოვ სსიპ. “ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა

კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის” ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის, ბიოლოგიური უსაფრთხოების სამმართველოს უფროსს- გელა მგელაძეს .
- ბიოუსაფრთხოება ანუ ბიოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვა- ჩვენი ლაბორატორიის მთავარი მიმდინარეობაა. ბიოუსაფრთხოებას აქვს, სამი ძირითადი ამოცანა, რომელსაც ასრულებს მუდმივად:
პირველი, ესაა იმ პერსონალის დაცვა,რომელსაც უშუალო შეხება აქვს ამ საფრთხეებთან, მეორე - გარემოს და საზოგადოების დაცვა,რომ არ მოხდეს ამ ბიოლოგიური საფრთხის შემცველი მასალის გაჟონვა და მესამე - თვით ამ მასალის ანუ კვლევის ობიექტის დაცვა. **ასევე, ცენტრი მუდმივ რეჟიმში გადის ხარისხის კონტროლს და გააჩნია საერთაშორისო ხარისხის დამადასტურებელი ISO სერთიფიკატი.**
მნიშვნელოვანია, ყველა პროცედურა ისე დაიგეგმოს, რომ მაქსიმალურად შესრულებული იყოს სამივე ამოცანა. რა თქმა უნდა, არასდროსაა გამოსარიცხი ადამიანური ფაქტორი, მაგრამ ამის რისკების პრევენციაც უნდა ხდებოდეს და ხდება ჩვენთან. სანამ აქ შემოხვიდოდით, გაივლიდით უსაფრთხოების შემოწმებას, მაგრამ ასეთსავე შემოწმებას გადიან თანამშრომლებიც ყოველდღიურად.

შენობაში სრული სიმშვიდე სუფევს.
ყველა თავის საქმითაა დაკავებული...
მხოლოდ მე ვარღვევ მყუდროებას და ბატონი შოთას კაბინეტში ვბრუნდები თხოვნით, მომცეს საშუალება და უფლება, ერთი ფოტო მაინც გადავიღო ლაბორატორიაში.
ორჭოფი ღიმილით მიქნევს თავს და ნებას მრთავს. ორჭოფობის ამოცანა კი, მაშინვე ამოვხსენი- რა თქმა უნდა, ერთ ფოტოზე მეტს ვიღებ.
მოვდივარ ლუგარის ცენტრიდან, ახლა უკვე სხვადამოკიდებულებითდაცოდნით,რომჩვენს ქვეყანაში და არა მარტო -ეს არის საუკეთესო, მესამე დონის,მაღალი უსაფრთხოების სტანდარტებით აღჭურვილი, ძველი და ახალი პერსონალით დაკომპლექტებული ლაბორატორია.

ფოტო: ალექსანდრ ბაბაიანი

ავტორი: ანანო ქრისტესიაშვილი

ჩუმად! მიმდინარეობს რეპეტიცია

რეპორტაჟი სუხიშვილების სარეპეტიციო დარბაზიდან

თბილისის ძველი შენობის მძიმე კარს ვაღებ და სუხიშვილების სარეპეტიციო დარბაზში შევდივარ. აქ ყველაფერი მოძრაობს- ჰაერი გახურებულია, ოფლის, ძველი ხის იატაკისა და სცენური ტანსაცმლის სუნი ერთმანეთს ერწყმის. კედლებზე გაჭიმული სარკეები მოცეკვავეების მოძრაობებს ირეკლავენ, ხოლო იატაკი მძიმე ნაბიჯებისგან ოდნავ ზრიალებს.

ქესო ქრისტესიაშვილი - სუხიშვილების მოცეკვავე

დარბაზის კუთხეში, ამაღლებულ პლატფორმაზე, დამკვრელები სხედან. დოლის მძიმე, ღრმა ბგერები სივრცეს ეპატრონება, გარმონი სწრაფ, მკვეთრ მელოდიას უკრავს, რომელიც თითქოს ცეცხლს უნთებს მოცეკვავეებს.
„დავიწყეთ!“ – მკაცრი ხმა მთელ დარბაზს კვეთს.

მასწავლებელი მოცეკვავეებს აკვირდება. მათი სხეულები დაძაბულია, მზერა- ფოკუსირებული. ფეხები იატაკს მძლავრად ურტყამენ, მკერდი წამოწეულია, ხელები მაღლაა გაშლილი. ისინი სცენისთვის ემზადებიან, მაგრამ სცენა ჯერ აქ არის- ამ დარბაზში, სადაც შრომა და სუნთქვა ერთიანდება. „ნაბიჯი უფრო მკვეთრი, მოძრაობა-უფრო ძლიერი!“ – მკაცრად ამბობს მასწავლებელი.

ჩემი და სარკის წინ დგას და მოძრაობას ხელახლა იმეორებს. სახე ოფლით აქვს დასველებული, მაგრამ დაღლილობას არ იტყობს. ხელის თითოეული მოძრაობა რიტმს ტალღასავით მიჰყვება, ფეხის დაკვრის სიმკვეთრე კი დოლის ბაგაბუგთნა�ა უნისონში. „ღმერთო,ფეხებს ვეღარ ვგრძნობ,“ – ჩურჩულებს გვერდით მდგომი გოგო, მაგრამ უკან არ იხევს.
„მიდი, ერთი გასვლა კიდევ და მერე შესვენება!“ – უღიმის ჩემი და, თუმცა ორივემ იცის, რომ შესვენება აქ მხოლოდ სიტყვაა.

სუხიშვილების სარეპეტიციო დარბაზის შესასვლელი

ქესო ქრისტესიაშვილი

სუხიშვილების მოცეკვავე

„ბიჭებო,ხმასგაუფრთხილდით! ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ! ომი ხომ არ არის!“ – ეცინება მასწავლებელს, მაგრამ თვალები ისევ ყურადღებით დასცქერის თითოეულ მოძრაობას.

ბიჭები წრეში ტრიალდებიან, წუღების ხმას იატაკი ექოდ უბრუნებს. გარმონი ისედაც სწრაფ ტემპს უფრო აჩქარებს, დოლი დარტყმებს სიმძლავრეს უმატებს, ტემპერატურა მატულობს, ცეკვის ენერგია მაქსიმუმს აღწევს.

„ბოლოჯერ! ტემპი არ დავაგდოთ!“ – ტაშის შემოკვრით ამბობს ქორეოგრაფი.

მოცეკვავეები, მთელი ძალით იმეორებენ მოძრაობას. სუნთქვა გახშირებულია, მაგრამ არავინ ჩერდება. იატაკი ისევ ზანზარებს. აქ, ამ დარბაზში, იწვრთნება ხელოვნება, რათა დიდ სცენაზე დაინთოს და აგიზგიზდეს, სუხიშვილების განუმეორებელი სცენური ცეცხლი.

ავტორი: ნაზა ჭიღლაძე

სივრცე, სადაც ღირსება არასოდეს გერდება

კათარზისი „სათნოების სახლი“

სათნოების სახლი “კათარზისი“ , მდებარეობს მარჯანიშვილზე, აღმაშენებლის 121 ნომერში. იგი შეიქმნა 1990 წელს, პოსტსაბჭოთა საქართველოში, ღრმა სოციალურ ეკონომიკური და კულტურული კრიზისის დროს.

„დღევანდელი მონაცემებით კათარზისში 500-მდე ხანდაზმულია აღრიცხვაზე, რომელთაც სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფენ უსასყიდლოდ. აქ, ყველაფერი ფუნქციურია - სასადილო, სამედიცინო პუნქტი, სამკერვალო, სახელოსნო, ბიბლიოთეკა და მცირე სამლოცველო, რომელიც ემოციურადაა საკმაოდ ტევადი.“- კათარზისში პრეზიდენტის თანაშემწე, გულიკო რომანიშვილი.
აქ, თითქოს ნივთებიც საუბრობენ...

სკამი, რომელზეც უკვე ათასობით ამბავი დასკუპდა...
საბანი, რომელიც სხეულს კი არა, მოგონებას ათბობს...
საოცარია, როგორ მარტივად შეიძლება ადგილის აღწერა და როგორი რთულია მისი ხასიათის გამხელა.

პატარა საიდუმლო გაგვანდო ერთ-ერთმა საყვარელმა ქალბატონმა, რომელიც სათნოების სახლის ხშირი სტუმარია - **„აქ არავინ გიყურებს როგორც ტვირთს. შენ ხარ ადამიანი, როგორც ყველანი. შენ ამბობ -მაწუხებს მუხლი და პასუხად იღებ არა მხოლოდ წამალს, არამედ ყურს, რომელიც გისმენს.“**

დაწესებულების მთავარი ხელმძღვანელის თქმით - “საქართველოში, სადაც სახელმწიფო პენსია საკმარისი არ არის მინიმალური საარსებოსაშუალებებისთვისდასადაც, ხშირად ხანდაზმულები იძულებული არიან სიღარიბეში გაატარონ სიცოცხლის უკანასკნელი წლები, „კათარზისი“ არის მცდელობა, არ დავკარგოთ სახე, როგორც საზოგადოებამ. გარდა სოციალური დახმარებისა, ისინი აქ პოულობენ სულიერ მეგობრებს და იმსუბუქებენ მარტოობის შეგრძნებას. ეს სივრცე, წლების განმავლობაში გადარჩა არა დიდ, არამედ მცირე ხელფასებზე მომუშავე ადამიანების, მოხალისეებისა და თანაგრძნობით მოქმედი მოქალაქეების ხარჯზე. იგი არ ჰგავს კლასიკურ დაწესებულებას. იგი ჰგავს ხელით შეკერილ იმ საბანს, რომელიც ოდესღაც დედამ დაგვაფარა. უხეშია, მაგრამ თბილი. მოკრძალებულია, მაგრამ სანდო”.

რა სჯობს - დრო გადაურჩეს ადამიანს, თუ ადამიანი დარჩეს დროში?

„კათარზისი“ გვპასუხობს — ღირსეული მეხსიერება ორივეს შევსებას იწყებს.

ავტორი: ელენე სალანელი

მუშის არქიტექტურა - თანამედროვე თბილისის იერსახე

რა როლს თამაშობს მინის ფასადები თბილისის თანამედროვე არქიტექტურაში?

ბოლო წლებში თბილისის არქიტექტურული ლანდშაფტი სწრაფად იცვლება. ქალაქში ყოველდღიურად მატულობს მინის ფასადებით გაწყობილი შენობები - სასტუმროები, ბიზნესცენტრები, საცხოვრებელი კომპლექსები.

ფოტორეპორტაჟი ასახავს, როგორ იქცა მინა თბილისის თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტად.

მინის არქიტექტურაზე და მის ფუნქციურ და ვიზუალურ მნიშვნელობაზე ვესაუბრეთ არქიტექტორსა და დიზაინ მენეჯერს - გიორგი კეიდიას, რომლის აზრით, მინა თანამედროვე ქალაქის, ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო მასალაა.

უპირატესობები და სირთულეები

„მინის ფასადების უნარი - შექმნას ფართო სივრცისა და გამჭვირვალობის შეგრძნება, თანამედროვე და ესთეტიკური იერსახე- სწორედ ისაა რაც შვებას აძლევს მჭიდროდ დასახლებულ, კომპაქტურ ურბანულ სივრცეებს და აქცევს მას მეტად კომფორტულ სამყოფად.“ გიორგი კეიდია მინის განსაკუთრებულ უპირატესობად განათების ბუნებრივ წყაროს ასახელებს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოს ხარისხზე. „აქვე არსებობს სირთულეებიც: თერმული არაეფექტურობა, კონსტრუქციული მდგრადობის გამოწვევები, პროექტის ბიუჯეტის გაზრდა, დაზიანებების მიმართ მგრძობელობა და მოვლა დასუფთავების პრობლემები.“ მიუხედავად ამისა, თავად არქიტექტორის თქმით ტექნოლოგიურ წინსვლასთან ერთად ზემოაღნიშნული საკითხები უფრო და უფრო მარტივად მოგვარებადი ხდება.

სამშენებლო ნორმები და სტანდარტები

მინის არქიტექტურა ვიზუალურ ეფექტზე გაცილებით მეტს მოითხოვს — თითოეული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების, ენერგოეფექტურობისა და მდგრადობის მოთხოვნებს: „ფასადს უნდა ჰქონდეს გამძლეობა ქარისა და სხვა სეისმური მოვლენების მიმართ. აუცილებელია გამოყენებული იქნას სპეციალური მინა რომელიც დაზიანების შემთხვევაში ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს გარშემო მყოფთათვის. ასეთი მინა დაზიანების შემთხვევაში არ იშლება მჭრელ ნამსხვრევებად და ამცირებს დაზიანებების რისკებს.“ საქართველოში, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით ყურადსაღები გახდა მინის კლასის შერჩევა ხანძარმედეგობის მიხედვით. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, შესაბამისი სერთიფიკატის მქონე, ცეცხლგამძლე მინის გამოყენება.

დედაქალაქი გამუდმებული ხმაურით ხასიათდება — სატრანსპორტო მოძრაობა, აქტიური მშენებლობები და ურბანული დინამიკა ხშირად ართულებს მშვიდ საცხოვრებელ ან სამუშაო გარემოს შექმნას. გიორგი კეიდია

აღნიშნავს, რომ აქ უკვე მნიშვნელოვან ფაქტორს ბგერითი იზოლაციის მაღალი მაჩვენებელი წარმოადგენს. **„ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კონკრეტული ნორმები შემოდის. ქართული, ძირითადად, ენერგოეფექტურობის დეკლარაცია და 41 დადგენილებაა. მნიშვნელოვან პროექტებზე იყენებენ საერთაშორისო სტანდარტებს, როგორებიცაა: EN, ISO ASTM, LEED.“**



კომერციული დანიშნულება
ბიზნეს ცენტრები, სასტუმროები და სხვა კომერციული ფართები ხშირად ირჩევენ მინის ფასადებს. ეს ტექნიკა არა მხოლოდ ვიზუალურად უზრუნველყოფს შენობის თანამედროვე და ელეგანტურ იერსახეს, არამედ ზრდის კომერციულ მიმზიდველობასაც. ამას ადასტურებს გიორგი კეიდიაც: **„ვიზუალური ეფექტი დადებითად მოქმედებს მომხმარებელზე და ქმნის პროგრესისა და სანდოობის ასოციაციას — განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც იმიჯი და პირველი შთაბეჭდილება მნიშვნელოვანია.“**

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მინის არქიტექტურაში ასევე ზრდის ენერგოეფექტურობასა და კომფორტს, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს გრძელვადიან პერსპექტივაში. რაც უფრო ინოვაციურია შენობის იერსახე, მით უფრო იზრდება დაინტერესება — იქნება ეს სტუმარი, ბიზნეს პარტნიორი თუ ინვესტორი.
შესაბამისად, მინის არქიტექტურა არამხოლოდ ესთეტიკური არჩევანია, არამედ სტრატეგიული კომერციული ინსტრუმენტიც, რომელიც ეხმარება კომპანიებს კონკურენტულ გარემოში გამორჩეულად წარდგენაში.



თბილისის არქიტექტურული მომავალი
არქიტექტურა ქმნის ქალაქის ხასიათს. მიმდინარე პროცესებიც და არქიტექტურული სტილიც ხშირად განსაზღვრულია იმ პროცესებიც რაც ქალაქში მიმდინარეობს. ასეა თბილისიც. მრავალფეროვნება და არქიტექტურული დეტალებისადმი განსაკუთრებული მიდგომა ყოველთვის ქალაქის განუყოფელი ნაწილი იყო.

თბილისი იმყოფება მნიშვნელოვანი არქიტექტურული გარდატეხის წინაშე — ქალაქი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ითავსებდა მრავალშრიან იდენტობას, დღეს ახალ გამოწვევებს ეჯახება: როგორ შეინარჩუნოს ისტორიული ხასიათი ტექნოლოგიური პროგრესის, ურბანული ზრდის და გლობალური ტენდენციების ფონზე. საბოლოოდ, კეიდია აღნიშნავს, რომ მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, თბილისის არქიტექტურას წინ მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ელოდება: “ხშირ შემთხვევაში ქაოტური განაშენიანების მიუხედავად, ქალაქს აქვს პოტენციალი. თბილისური ავთენტური არქიტექტურისა და თანამედროვე სტილების შეზავებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს უნიკალურ სტილამდე, რაც კიდევ უფრო გაზრდის თბილისის მიმზიდველობას.“

„პანორამა თბილისი“

„პანორამა თბილისი“

საქართველოს ბანკი

საქართველოს ბანკი

ავტორი: მარიამ ჩალაური

„ხის, ეპოქსიდისა და სიყვარულის სახელოსნო: სტუმრად ჰალოში“

სამი დღე გადაბმულად იწვიმა. 10 მაისის ამინდის პროგნოზი საგულდაგულოდ გადავამოწმე, გამიხარდა. წვიმას არ აპირებდა. ბოლო-ბოლო დიღმიდან ვარკეთილში ვიყავი გასასვლელი . ერთი ბოლოდან მეორეში. კალოუბნის 33-იო მისამართი მითხრეს და მეც გავეშურე. ვაღიარებ, დათქმული ლოკაციის მიგნება ძალიან მიჭირს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პირველად მივდივარ. როგორც იქნა მივაღწიე დანიშნულების ადგილს. პატარა სახელოსნოა მარტივად იპოვიო, შემომითვალეს. ორ კორპუსს შორის ჩადგმული პაწია სივრცის პოვნა მართლაც არ გამჭირვებია. სახელოსნოს გარე ფასადზე

ანა ერემეიშვილი „ჰალოს“ დამფუძნებელთან

დახატული უზარმაზარი ტალღა რთულია შეუმჩნეველი დაგრჩეს. კალოუბნის 33 ,,ჰალოს'' დანიშნულების ადგილია.

როგორც იქნა მივაღწიე დანიშნულების ადგილს. პატარა სახელოსნოა მარტივად იპოვიო, შემომითვალეს. ორ კორპუსს შორის ჩადგმული პაწია სივრცის პოვნა მართლაც არ გამჭირვებია. სახელოსნოს გარე ფასადზე დახატული უზარმაზარი ტალღა რთულია შეუმჩნეველი დაგრჩეს.

ხის დამუშავებაზე კონცენტრირებული ანას შემჩნევაც ძალიან მარტივია. **თბილი თვალები, მაგრამ დაჟინებული მზერა, ხუთ წლიანი შრომისგან გაწაფული ხელები და საქმისადმი უზომო სიყვარული, ეს ის რამდენიმე ნიუანსია, რომელსაც “ჰალოს” დამფუძნებელთან პირველივე შეხვედრისას შეამჩნევ.** ანა ერემეიშვილს თუ ვკითხავთ: “ჰალო კომპანიაა, რომელიც ადამიანებს ზღვა ემოციას ჩუქნის”. საკითხს თუ უფრო პრაგმატულად შევხედავთ, დავინახავთ, რომ “ჰალო“ არის ქართული სტარტაპი, რომელიც 2021 წელს ანა ერემეიშვილმა და ლალიკო ქუთათელაძემ დააარსეს. კომპანია ქმნის ინტერიერისთვის განკუთვნილ ხელნაკეთ ნივთებს: ხის, მეტალისა და ეპოქსიდის გამოყენებით. პროდუქცია გამოირჩევა 3D ტალღის ეფექტით, რომელიც ზღვისა და ოკეანის ფერებითაა შთაგონებული. ქართული სტარტაპის მეცნიერული ეტიმოლოგია კი შემდეგნაერია, ჰალო-ეს არის ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა, როცა ცაზე მრგვალი ან რკალოვანი შუქის წრე ჩნდება მზის ან მთვარის გარშემო.

ანამ მალევე შემამჩნია, ხის დამუშავებას თავი მიანება და ჩემკენ გამოემართა. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ, მივხვდი, რომ იგი იმ რესპოდენტთაგანია, რომელთან გაშინაურება სულაც არ ჭირს. სახელოსნოს ფასადზე გამოსახულ ტალღაზე ვკითხე, ჩემმა მეგობარმა დახატაო , მაშინვე ამიხსნა და გულითადად გამიღიმა.

შიგნით შევედით. ჰაერი ხის, ეპოქსიდის და რაღაც ამოუცნობის , ზღვისა თუ ტალღის სურნელით იყო გაჟღენთილი. მაგიდაზე რამდენიმე ქვევრის ფორმაში ჩამოსხმული, საქართველოს რუკად გამოჭრილი და ბროწეულის ფორმის საათი გასაშრობად იდო. ახლოს მივედი და დავაკვირდი, ვერ შევეხე , მეგონა დავაზიანებდი ან გავაფუჭებდი, გამოგიტყდებით სურვილი დიდი იყო.

-ყავა თუ ჩაი?- გამომაფხიზლა შეკითხვამ.

-ყავა, თუ შეიძლება, უშაქროდ,- მივუგე და მზერა ამჯერად ხის სავარცხლებზე შევაჩერე. მარცხენა, ზედა თაროზე ქვიშის საათიც შევნიშნე, მაგიური ხელსაწყო , რომელიც ფილმებსა და წიგნებში უფრო ხშირად შეგვხვედრია, ვიდრე ვინმეს პაწია სახელოსნოში, კაქტუსის გვერდით. ეს კადრი მაგიურ განცდას ტოვებდა.

ამასობაში წყალიც ადუღდა და ანამ მაგიდასთან მიმიპატიჟა. თვითონ ჩაი დაისხა, კენკრის , მანაც უშაქროდ.

-ჩემს წარმოდგენაში ჰალო უნდა ყოფილიყო მომხმარებლისთვის საყვარელი და პირად ემოცი-
ებთან ასოცირებული პროდუქტი.“როდესაც გაქვს სურვილი შექმნა პროდუქტი და გამოცდილება არ გაქვს, გიწევს პროცესს მიენდო და შეცდომებიდან ისწავლო. ახლა უკვე მეხუთე წელია, რაც ჰალოს შენება მიმდინარეობს და, ვიტყოდი, რომ წლიდან წლამდე მუდმივად იცვლება, იზრდება და ყალიბდება. დღევანდელი გადმოსახედიდან ჰალო პირველადი წარმოდგენის გაუმჯობესებული ვერსიაა”.

-ანა, რა შეგმატათ ჰალომ?თუნდაც პიროვნულად , ემოციურად...

- ,,ჰალოში'' მუშაობა ყოველდღე ახალი გამოცდილებაა, ახალი ადამიანები, მუდმივად შემეცნებითი პროცესია. ჰალომ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს.

-ვინ არის ლალი ქუთათელაძე შენთვის?

-ლალი ,პირველ რიგში, ჩემი ბავშვობის მეგობარია. ის, ვისთანაც ერთად ცხოვრების ძალიან დიდი ნაწილი მაქვს გავლილი. დღეს კი ,დიდი საქმის კეთების იდეით ვართ გაერთიანებულები.

ჩემი უშაქრო, მაგრამ უგემრიელესი ყავა მოვსვი და მეგობრებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად მოვემზადე.

-კამათობთ ხოლმე? თუ გაქვთ უთანხმოება და როგორ აგვარებთ?

ანამაც მოსვა თავისი უშაქრო, მაგრამ , ალბათ, გემრიელი ჩაი, გაიღიმა და მიპასუხა.

-დიახ, სიახლეები და საუკეთესო გადაწყვეტილებები ხომ სწორედ კამათში იბადება. ჩვენ გვჯერა პროცესის და კამათი

მხოლოდ საუკეთესო გადაწყვეტილებებით სრულდება.

ჩვენს სიმყუდროვეს სახელოსნოს კიდევ ერთი ბინადარი და ჰალოს გუნდის ერთ-ერთი წევრი , საბა არღვევს. იგი მორიდებით გვესალმება ორივეს .
-საბა ფეხბურთელია და ჩვენთანაც მუშაობს,- მიხსნის საბას მოსვლით კმაყოფილი ანა და ცხელ სასმელს მასაც სთავაზობს.
სანამ ანა საბას ყავას უკეთებს ,მე სახელოსნოს დათვალიერების კიდევ ერთი შესაძლებლობა მეძლევა. სხვადასხვა ზომისა და ფორმის ტალღით გაფორმებულ სარკეებში ჩემი გამოსახულება ირეკლება. ტალღის სარკეები, ჰალოს იდენტობას , თითქოს, ყველაზე კარგად გამოხატავს.
საბას ყავა მზადაა, ჩვენ კი საუბარს ვაგრძელებთ.
-პირველი პროდუქტი რომელზეც გადავწყვიტეთ რომ დაგვეწყო მუშაობა, სარკე იყო, მაგრამ დიზაინზე ვერ შევთანხმდით, გვინდოდა ბაზარზე არსებულისგან განსხვავებული და გამორჩეული ყოფილიყო. ასე გახდა ეპოქსიდი ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი.
-პირველი გაყიდვა გახსოვთ?
- დიახ, პირველი შეკვეთა ოფიციალური გვერდის შექმნიდან ერთ თვეში გაფორმდა, 70 სმ დიამეტრის სარკე ტალღის დეტალით, რომელიც სილამაზის სალონში დამონტაჟდა.
-ორი ფილიალი გაქვთ , ხომ? ჰალოს გუნდის წევრებს როგორ არჩევთ? გამოცდილებით თუ პიროვნული თვისებებით?
-კი, ერთი თბილისი მოლში ,ერთიც- გლდანში. გუნდის დაკომპლექტებისას ყოველთვის პრიორიტეტი პიროვნული თვისებებია, **ჩვენ გვჯერა, თუ ადამიანი მოინდომებს არ არსებობს საქმე, რომელსაც თავს ვერ გაართმევს. მთავარია იყოს შრომისმოყვარე და უყვარდეს ის, რასაც აკეთებს, ამისთვის კი სათანადო პირობების შექმნაზე მუდმივად ვმუშაობთ. მთავარია გიყვარდეს რასაც აკეთებ, გიყვარდეს ადამიანები და მოუსმინო ინსტინქტებს.**

ამ დროს საბასკენ ვაპარებ თვალს. ვხვდები, გულმოდგინედ გვისმენს, თან ცდილობს საქმესაც არ ჩამორჩეს.
რეალობაში ისევ ანას მშვიდი ხმა მაბრუნებს.
-რთული მომენტები ყოველ ახალ ეტაპზე გადასვლისას ჩნდება.

სწორედ ასეთ რთულ მომენტებში გიჩნდება კითხვა - ნამდვილად სწორ გადაწყვეტილებას იღებ თუ არა? ასეთ სიტუაციებში კი ყოველთვის ის ძლიერი ძალა გვეხმარება, რასაც გუნდი ქვია. ადამიანები, რომელთა მეშვეობითაც ჰალო დღითიდღე იზრდება, ვითარდება. ჰალოს ნებისმიერი წარმატება გუნდურობაშია, ერთად ნებისმიერი დაბრკოლება ახალ გამოწვევად გარდაიქმენება.

ვუსმენ და ვხვდები, რაოდენ რთულია ახალ ,შენთვის აქამდე უცნობ საქმეს შეეჯიდო. ეს იგივეა,რაც უცხო გზაზე კომპასის გარეშე იარო. ამ დროს მნიშვნელოვანია მეგზურობას ვინ გაგიწევს, ვინ გამოკვეთს ხის კონტურებს შენთან ერთად.

ჩემი და ანას ყავა და ჩაი გაცივდა, საბასი , ალბათ, ჯერ არა.
ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. ფანჯრიდან ვიყურები და საწვიმრად გამზადებულ ღრუბლებს ვამჩნევ. სახელსნოს მუდმივ ბინადრებს გულითად მადლობას ვეუბნები და გარეთ გამოვდივარ. მანქანიდან შავთმიანი ლალი გადმოდის, ხელში რამდენიმე უზარმაზარი ყუთი უკავია. სახელოსნოს კარს ვუღებ, რომ შესვლა გავუმარტივო. ღიმილი გავცვალეთ და მე წამოვედი.

სამი დღის წვიმის შემდეგ ჰალოში ტალღის სუნი ვიპოვე. ახლა ვარკეთილიდან ვბრუნდები და მეგონა, ჩვეულებრივი სახელოსნოს ამბავს მოვყვებოდი. მაგრამ ,ეტყობა ,რაღაც ზედმეტი წამომყვა ...ტალღის სუნთან ერთად, შინაგანი სიმშვიდე წამოვიღე.

3

პოლიტიკა

3.1 სურსათის ფასები ბაზარზე 36

3.2 თბილისის პროტესტების ქრონოლოგია – ბრძოლა დემოკრატიისა და ევროპული კურსისთვის 38

3.3 სისტემა მუშაობს, მაგრამ შენ გარეშე 40

3.4 შიში, წინააღმდეგობა და იმედი – ცხოვრება ოკუპაციის ხაზთან 44

3.5 პრეზიდენტ ტრამპის საგარეო პოლიტიკის გავლენა ევროპაზე 48

ავტორი: ლელა ხმიადაშვილი

სურსათის ფასები ბაზარზე

გლდანის ბაზარი

რა მდგომარეობაა დღესდღეობით დედაქალაქში, სურსათის ფასებთან დაკავშირებით და არის თუ არა მისაღები და ხელსაყრელი თბილისის მოსახლეობისთვის ფასების მდგომარეობა?!

დროის გასვლასთან ერთად, რა თქმა უნდა, დედაქალაქში გაიზარდა ფასებიც, არა მხოლოდ საკვებ პროდუქტებზე, არამედ ყველაფერზე, რაც ადამიანს საარსებოდ სჭირდება.

„ორი ნაბიჯი“

დამაინტერესა, თუ რამდენად განსხვავებულია ფასები, დიდ სუპერმარკეტებსა და აგრარულ ბაზრებს შორის და რომელია უფრო მისაღები და ბიუჯეტური. თუმცა, აგრარული ბაზრის ფასებამდე, ჯერ შევეცადე, თავად სუპერმარკეტებს შორის შემედარებინა ფასები,რათა უფრო ფართოდ დამენახა საერთო სურათი.

სუპერმარკეტ ორ ნაბიჯში ძირითადი და საბაზისო ხილ-ბოსტნეულის ფასები ასე გამოიყურება:

კარტოფილი 1კგ - 2.25ლ.

ხახვი 1კგ - 1.50ლ.

პომიდორი 1კგ - 4.45ლ.

„ბაკალეა“, იგივე ბურღულეულის ფასი კი ასე მერყეობს:

წიწიბურა “ზოგე” 400 გრ შეფუთვა- 2.20ლ.

მაკარონი 1კგ _ 0.99 ლ.

შაქარი 1კგ - 2.19 ლ.

სუპერმარკეტ „ ნიკორა” -ში ასეთია:

კარტოფილი 1კგ - 2.70ლ

ხახვი 1კგ- 1.95ლ

პომიდორი 1კგ- 2.95ლ

წიწიბურა 1კგ - 3.60ლ

მაკარონი 1კგ- 2.19ლ

არც ისე განსხვავებულია ფასები სუპერმარკეტ “ფრესკოშიც“:

კარტოფილ 1კგ- 4.50ლ.

ხახვი 1კგ-

პომიდორი 1კგ- 4.99ლ

აგრარული ბაზრის ფასები კი ასე გამოიყურება:

ხახვი 1 კგ- 1.50 ლ

პომიდორი 1 კგ- 2- 2.50 ლ

კარტოფილი 1 კგ- 1.60 ლ

კიტრი 1 კგ- 2ლ

გლდანის ბაზარი

ფასების საერთო სურათის შექმნის შემდეგ, გადავწყვიტე, მცირე გამოკითხვაც ჩამეტარებინა მოქალაქეებს შორის, რათა გამეგო, სად ანიჭენებენ უპირატესობას პროდუქტების შეძენას.

გამოკითხულთა 70% ფიქრობს, რომ მათთვის მისაღებიცა და ბიუჯეტურიც, აგრარული ბაზარია,სუპერმარკეტებთან შედარებით ფასებიც მოსწონთ და ფიქრობენ, რომ ასე პროდუქტს პირდაპირ გლეხისგან ყიდულობენ და მათაც ეხმარებიან.

გამოკითხულთა - დანარჩენი უმრავლესობა კი, უპირატესობას სუპერმარკეტებს ანიჭებს. ფასის სხვაობის მიუხედავად, პროდუქტის უვნებლობის მხრივ, მათთვის სანდოობა უფრო მეტია. დიდ როლს თამაშობს, დროის დაზოგვა და ადგილმდებარეობაც, რადგან ქსელური სუპერმარკეტები თითქმის ყველა კორპუსის სიახლოვესაა და ასევე, კიდევ უფრო მეტი კომფორტისთვის, სახლში მიტანის სერვისსაც სთავაზობენ მომხმარებელს.

ფასნამატის თვალსაზრისით, ბაზარი, რა თქმა უნდა, უფრო ხელსაყრელია და მისაღებიც, ცოტას თუ იყოჩაღებ, ნახევარ ფასშიც შეძლებ პროდუქტების შეძენას. ეს ხერხი კი, სუპერმარკეტებში არ ჭრის.

ცალკე საკითხია ისიც, რომ ლარის გაუფასურებამ, გავლენა იქონია ფასების ზრდაზე არა მხოლოდ სუპერმარკეტებში, არამედ აგრარულ ბაზარშიც და საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეს, საოჯახო კალათის შევსება, ორივეგან უჭირს. საბაზისო პროდუქტებზე კი, იშვიათად მიუწვდებათ ჯიბე პენსიონერებს, რომელთა შემოსავლის ანუ პენსიის უმეტესი წილი, წამლებისთვის იხარჯება.

ავტორი: ნაზა ჭიღლაძე

თბილისის პროტესტების ქრონოლოგია: ბრძოლა დემოკრატიისა და ევროპული კურსისთვის

2024 წლის შემოდგომიდან, თბილისში დაწყებულმა საპროტესტო მოძრაობამ, ახალ ფაზაში შეიყვანა საქართველოს პოლიტიკური რეალობა. ათასობით მოქალაქის ქუჩაში გამოსვლა, არ ყოფილა მხოლოდ არჩევნების შედეგებზე რეაქცია — ეს იყო პასუხი იმ პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და იდეოლოგიურ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც ქვეყანა აღმოჩნდა.

ყველაფერი დაიწყო 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით. ოფიციალური

საპროტესტო აქცია პარლამენტთან

მონაცემებით, მმართველმა პარტიამ კიდევ ერთხელ მოიპოვა ხმათა უმრავლესობა, თუმცა ეს შედეგები დიდი უნდობლობით გააპროტესტეს, როგორც ოპოზიციურმა პარტიებმა, ისე სამოქალაქო აქტივისტებმა.
28 ოქტომბერს, მასობრივი აქცია გაიმართა თბილისში, სადაც საქართველოს პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, განცხადებით წარსდგა ქართველი ხალხის წინაშე: - "თქვენ არ წააგეთ არჩევნები — მათ წაგართვეს ხმა და სცადეს თქვენი მომავლის მოპარვა." ამ განცხადებამ სიმბოლური სახე მიიღო. პრეზიდენტი საჯაროდ დაუპირისპირდა მმართველ პარტიას და მორალურად გვერდში დაუდგა პროტესტის მონაწილეებს.

საპროტესტო აქცია პარლამენტთან

პრეზიდენტი საჯაროდ დაუპირისპირდა მმართველ პარტიას და მორალურად გვერდში დაუდგა პროტესტის მონაწილეებს. საზოგადოებაში, მორიგი უკმაყოფილება გამოიწვია პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებამ ნოემბერში, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი „არ არის პრიორიტეტი 2028 წლამდე“. ეს ნაბიჯი ბევრმა პოლიტიკის დამკვირვებელმა აღიქვა, როგორც ევროპული კურსის გაწყვეტის მცდელობა, რამაც დემონსტრაციების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაზარდა. დეკემბერში კი პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომელიც ზღუდავდა პროტესტის დროს ნიღბების, ლაზერების და ფეიერვერკების გამოყენებას. დასავლური ფასეულობების მხარდამჭერი ჯგუფები უფრო ორგანიზებული გახდნენ. **დეკემბერში გაიმართა თემატური მარშები, როგორებიც იყო:**
„ქალთა მარში“ – გენდერული თანასწორობისა და უსაფრთხოების მოთხოვნით.
„ერთობის მარში“ – პოლიტიკური და სამოქალაქო გაერთიანება საერთო მოთხოვნებით: ახალი არჩევნები, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და დასავლური კურსის აღდგენა.

2025 წლის დასაწყისში სახელმწიფოს პასუხი გამკაცრდა. რამდენიმე აქტივისტი და დემონსტრანტი, მათ შორის სტუდენტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, დააკავეს ან დააჯარიმეს კონკრეტული თანხებით. ამას საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა და გაჩნდა ე.წ. „გაფიცვის მოძრაობა“ – 15 იანვარს საქართველოში პირველად გაიმართა ეროვნული გაფიცვა. ოპოზიციის ლიდერები და სამოქალაქო აქტივისტები მთავრობას მოუწოდებდნენ ჩაეტარებინათ ხელახალი არჩევნები და გაეთავისუფლებინათ პოლიტიკური პატიმრები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი – გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ პროტესტად ბოლო წლების განმავლობაში. თბილისის ცენტრში ათასობით ადამიანი შეიკრიბა ლოზუნგით: „საქართველო კვლავ დაგიცავ.“ მსვლელობის მიზანი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის, დასავლური არჩევანისადა დემოკრატიული მომავლისთვის ბრძოლა.
ივნისში პროტესტები კვლავ არ ცხრება. ათასობით ადამიანი უერთდება მსვლელობებს, სტუდენტურ აქციებს, დისკუსიებს უნივერსიტეტებსა და ღია სივრცეებში.

„ეს აღარ არის მხოლოდ პოლიტიკა — ეს უკვე ჩვენი თაობის ბრძოლაა, რომ საქართველო არ დაბრუნდეს საბჭოთა ჩრდილში“ - განაცხადა ერთ-ერთმა აქტივისტმა და სტუდენტმა, რომელიც აქციების დაწყების დღიდან მუდამ ჩართულია მიმდინარე პროცესებში.

„1991-ში ვიბრძოლეთ დამოუკიდებლობისთვის და ახლაც იგივე სულისკვეთებას ვხედავ. იმ განსხვავებით, რომ ახლა, ახალგაზრდებმა ზუსტად იციან, რა უნდათ.“

პროტესტები გაცდა ერთჯერადი მღელვარების ჩარჩოს. ისინი გადაიქცა სარკედ იმისა, თუ როგორ ფიქრობს და გრძნობს ქართული საზოგადოება — განსაკუთრებით ახალი თაობა, რომელიც მზად არის ილაპარაკოს, იმოქმედოს და იბრძოლოს უკეთესი მომავლისთვის.

საპროტესტო აქცია პარლამენტთან

თბილისის პროტესტები 2024–2025 წლებში არ არის მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირების გამოხატულება. ესაა თაობათა ბრძოლის ფორმა, საზოგადოების არჩევანი გახდეს საქართველო თანამედროვე, დასავლური სახელმწიფოს ნაწილი და არ დარჩეს შიდა გავლენებისა თუ საერთაშორისო ვაკუუმის ტყვეობაში.

ამ მოვლენებმა ნათლად აჩვენა საქართველოს საზოგადოების მზაობა დაიცვას დემოკრატიული ღირებულებები და ევროპული ინტეგრაციის გზა, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ნაბიჯებისა.

სისტემა მუშაობს, მაგრამ შენ გარეშე

პროგესგის მონაწილე

ავტორი: სალი ჭურღულია

როგორ დასცინის ჯენზი ხელისუფლებასა და მის პროპაგანდას?!

2020-იანი წლების საქართველო ხედავს სრულიად ახალ პოლიტიკურ ენას, რომელიც მოდის ქუჩებიდან, მიტინგებიდან, განსაკუთრებით კი — პლაკატებიდან. ამ ენის ავტორები არიან ჯენზის თაობის წარმომადგენლები — ისინი, ვისაც ბავშვობიდანვე მოუწიათ პოლიტიკური კრიზისების, ომების, და სოციალურ უთანასწორობათა ფონზე გაზრდა. ისინი აღარ ენდობიან დაპირებებს, არ ენდობიან სახეებს — ენდობიან საკუთარ თვალებს და აქვთ ძალიან სპეციფიკური, ენამახვილი პასუხი ყველაფერზე.

ჯენზის თაობა გაიზარდა არასტაბილურ ქვეყანაში. უთანასწორობის, ტყუილის, პროპაგანდის ფონზე. მათ არ ახსოვთ "კარგი დრო". მათთვის პოლიტიკა არ არის დიალოგი პარტიებს შორის – მათთვის პოლიტიკა არის ყოველდღიური დისკომფორტი: დაბალი ხელფასები, წარსულზე მიბმული განათლების სისტემა, ბიუროკრატიული აბსურდი, ციფრული ეპოქის უგულვებელყოფა და ქვეყნის სიმბოლოს – თავისუფლების – უპატივცემულობა. პოლიტიკოსთა გაზეპირებული ფრაზები,ჯენზისთვის უკვე მოსმენილი ლექციაა, და მათ ყოველთვის აქვთ პასუხები: ხისტი, პირდაპირი და ხშირად ღიმილისმომგვრელად მტკივნეული. **ამ თაობამ ძალიან მალე გაიაზრა ერთი რამ, სისტემაში მათი ხმა არ ისმის, მაგრამ მათი ენა ისმის ყველგან- ბანერებზე, Tik-Tok-ზე, ქუჩის კედლებსა თუ საპროტესტო პლაკატებზე.**

ჯენზი არ არის კლასიკური "მოქალაქეობრივი ვალდებულების" თაობა. პოლიტიკოსებს მიმართავენ არა როგორც ავტორიტეტებს, არამედ როგორც საჯარო ფიგურებს, რომლებმაც ყოველ ნაბიჯზე უნდა გაიარონ მორალის, სანდოობისა და შეუპოვრობის ტესტი. ცნობილია მათი თავდაცვის მექანიზმები: "ვერაფერს ხვდებიან", "უბრალოდ გტროლავენ", "პოლიტიკაში არ ერკვევიან". და მაინც, სწორედ ჯენზის სიტყვებმა, ბანერებმა და პოსტებმა მოახერხეს პოლიტიკოსების გამოწვევა. სწორედ ისინი აბნევენ იმ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ლეგიტიმაციას რეიტინგებით და წარსულით იწევს, მაშინ როდესაც ახალ თაობას მხოლოდ ერთის სჯერა – თანამედროვე გამოცდილების. ისინი არ ელიან, რომ ვინმე მათ დაუთმობს მიკროფონს — ისინი თავად იტაცებენ მას და ხშირად იყენებენ ბასრ იარაღად.

არის თუ არა სხვა გამოსავალი იქ, სადაც განსხვავებული აზრი ან უკვე აკრძალულია, ან გამოხატვის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება? ამართლებს კი ბრძოლის ეს ფორმა პროპაგანდასთან ბრძოლაში?

„სისტემა მუშაობს, მაგრამ შენ გარეშე"- ეს ფრაზა ირონიულად იმეორებს სახელმწიფო რიტორიკას „სტაბილურობაზე", მაგრამ სინამდვილეში ეს არის გაფრთხილება. **ეს არ არის მხოლოდ მწარე ფრაზა, არამედ იმ რეალობის აღწერა, სადაც სახელმწიფო აპარატი ფუნქციონირებს, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი მასთან კავშირს ვერ გრძნობს.** არაა საჭირო არჩევნებზე წახვიდე, შენი ხმა ისედაც დაფიქსირდა.დამოუკიდებელი ქვეყანა, შენგან დამოუკიდებლად წყვიტავს ვის მისცემ ხმას.

ელენე მურღულია 22 წლის (საპროტესტო აქციებში ჩართული მოქალაქე) - „ხანდახან ვგრძნობ, რომ სახელმწიფოს ჩემი აზრი კი არ აინტერესებს, მას სჯერა, რომ ის უკეთესად განსაზღვრავს ჩემს სურვილებს, ვიდრე მე. „თქვენ გინდოდათ სუვერენიტეტი" – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, და მე მაშინ მივხვდი, რომ ამ დროის განმავლობაში სხვა აძლევდა ხმა ჩემს მაგივრად."

პროგესგის მონაწილე

ნათია ტყემალაძე 19 წლის(საპროტესტო აქციებში ჩართული მოქალაქე): „არ ვარ პოლიტიკურად გაუნათლებელი. ვარ ინფორმირებული იმ დოზით, რომ სირცხვილია არჩევნებზე სიარული ფორმალობისთვის.არ მივსულვარ არჩევნებზე. არადა, როგორც ჩანს, მივედი. როგორც ჩანს, „პირადად" მივეცი ხმა. როგორც ჩანს, მაქვს არჩევანი, რომელმაც თვითონ ამირჩია."

პროგესგის მონაწილე

ჯენზის პოლიტიკური სატირა გახდა, არა მარტო პოლიტიკური ანტიპათიის გამოხატვის, არამედ სოციალური სინდისის გამოღვიძების საშუალებაც. ცოტა ხნის წინ, „კარფურსა" და სხვა სუპერმარკეტებში - ზეთის, წიწიბურას, შაქრისა და სხვა პროდუქტების შეფუთვებზე გამოჩნდა

პროგესგის მონაწილე

სატირული სტიკერები ბიძინა ივანიშვილის ფოტოთი და წარწერით - „ეს მე გავაძვირე. “

ეს, ახალგაზრდული მოძრაობა „დაასრულეს“ იდეაა, რომელსაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ "ქართული ოცნების" ცამეტწლიანი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, მოქალაქეებს თვიდან თვემდე უჭირთ თავის გატანა.” ხელისუფლებისადმი ლოიალური არხები კი, ხალხს ალტერნატიულ რეალობას უჩვენებენ. ეს არაა უბრალოდ ამბოხება ან პროტესტი,არამედ სერიოზული დიალოგის მცდელობა ჯენზის მხრიდან.

საქართველო დამოუკიდებელი სახელ-მწიფოა. მთავარია, არ იკითხო ვინ ითვლის ხმებს და რატომაა ყველა პარტია იმ ძველი პოლიტიკოსების კლონები, რომელთა სახელი ბოლო 15 წელია არ შეცვლილა.

ვის უჭერს მხარს ჯენზი? ხმას აძლევს, მაგრამ ვის?

პარტია 1 - მმართველი. უკვე 12 წელია გვპირდება, რომ „ახლა მართლა ვიწყებთ“
პარტია 2 - ოპოზიცია, რომელსაც ზუსტად იმ ლოგიკით უჭერს მხარს ხალხი, როგორც ფეხბურთში გულშემატკივრობენ გუნდს, რომელიც მაინც ვერ იგებს.
პარტია 3 - ახლადგამოჩენილი იდეალისტები, რომლებმაც ჯერ არ იციან , რომ მათ კანდიდატს უკვე ჩააცვეს ტრადიციული ფრაზა: „ გვაპატიეთ, უნდა დავტოვოთ კოალიცია“ .

სისტემა მუშაობს, იგონებს ახალ ლოგოს, უცვლის კაბინეტებს იგივე პერსონებს და დრო და დრო აღნიშნავს - „თქვენი აზრი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.

სისტემა მუშაობს, მაგრამ შენ გარეშე და,ალბათ, სწორედ ამიტომ მუშაობს მათთვის ასე კარგად.

ფოტო - ინგერნეგილაძე

ავტორი: მარიამ ჩალაური

შიში , წინააღმდეგობა და იმედი - ცხოვრება ოკუპაციის ხაზთან

ნათია ჩალაური

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს მცოცავი ოკუპაცია. ადამიანებს საკუთარი ტერიტორიიდან იტაცებენ და გადაჰყავთ სამხრეთ ოსეთის დროებითი დაკავების იზოლატორში. ხშირ შემთხვევაში, ოკუპანტები ითხოვენ გამოსასყიდსაც. *თითოეული ასეთი იარა, ჩვენი ქვეყნის ისედაც დანაწევრებულ სხეულზე, გვაიძულებს ისევ იქით მივაპყროთ მზერა, ისევ გავიხსენოთ რუსული მხარის სივერაგე და ის ხალხიც, ოკუპაციის შედეგად, საკუთარ მიწაზე რომ დევნილებად იწოდებიან.*

ჩვენი ინტერვიუს გმირმა - ნათია ჩალაურმა, საზღვრისპირა რეგიონში თითქმის ათი წელი გაატარა. ნათია იხსენებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გატარებული ცხოვრების წლებს, რომელიც სავსე იყო შიშით, დაძაბულობითა და მომავლის ბუნდოვანებით. როგორ გაძლო მან ამდენი ხანი ოკუპიურებული ტერიტორიის საზღვრისპირა რეგიონში? პასუხი ცხადია

- მიტოვებულ სახლ-კარში დაბრუნების იმედმა გააძლებინა. ამ იმედის ძალა, მხოლოდ დევნილებმა იციან.

-როდის და როგორ დაიწყო თქვენი საზღვრის მიღმა სოფლად ცხოვრება?

-2004 წელს გავთხოვდი გორის რაიონ სოფელ ზემო არცევში. თავდაპირველად, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი მეუღლესთან და მის მშობლებთან ერთად. პირველი შვილი შემეძინა 2005 წელს, მეორე შვილი კი 2008 წელს აგვისტოში უნდა მყოლოდა . ამ დროს ქვეყანა საომარ ვითარებაში გაეხვა, დაიწყო ომი და ჩვენც მივატოვეთ სოფელი , წავედით რუსთავში ჩემი მეუღლის დასთან. იქ ვიმშობიარე , 10 აგვისტოს. როდესაც რუსთავიდან ზემო არცევში დავბრუნდით , სულ სხვა სიტუაცია დაგვხვდა. უკვე რუსის სამხედროები დადიოდნენ კარდაკარ, ითხოვდნენ საბუთებს და მოსახლეობას აშინებდნენ.

-ნათია,რას ნიშნავს თქვენთვის საზღვრის მიღმა ცხოვრება?

- საზღვრისმიღმა სოფლად ცხოვრებას წარმოუდგენელი სირთულეები ახლდა თან. .სახლიდან არ გვიშვებდნენ, ითხოვდნენ რუსულ პასპორტებს, რომლებიც არ გვქონდა . გვიზღუდავდნენ გადაადგილების უფლებას,ფაქტობრივად, გარეთ ვერ გავდიოდით. ვერ მოვდიოდი გორში, მშობლებთან. იძულებულები ვიყავით, ღამე ჩუმად გამოვპარულიყავით.

- თქვენი ყველაზე მძაფრი მოგონების შესახებ გვიამბეთ, არის რაიმე ,რაც მკაფიოდ დაგამახსოვრდათ?

- ერთ-ერთი ღამეული გამოპარვის შემდეგ, როდესაც სახლში დავბრუნდით, შემოცვივდნენ სამხედროები, *დაგვიჭირეს, ხელბორკილები დაგვადეს და წაგვიყვანეს ზემო არცევის ბაზაზე. იქ დაგვაწერინეს ხელწერილი, რომ არასოდეს აღარ დავტოვებდით ჩვენს სახლს და აღარ გადავკვეთდით საზღვარს.* იმ ღამეს, როცა ეს მოხდა, ყველაზე მეტად მეშინოდა , რომ ჩემი შვილებისთვის რამე დაეშავებინათ,

მაგრამ, საბედნიერიდ, ბავშვებს ხელი არ ახლეს, მხოლოდ მე და ჩემი მეუღლე წაგვიყვანეს. ეს, ჩვენთვის ,ძალიან დიდი სტრესი იყო. ამდენი პრობლემების შემდეგ, ჯანმრთელობა შემერყა, წნევა დამემართა. იძულებულები გავხდით, სახლ-კარი ნებით დაგვეტოვებინა და წამოვსულიყავით.

- სამხედრო ბაზაზე ფულადი ჯარიმა გადაიხადეთ ?

- კი, ჯარიმა გადავიხადეთ , მე და ჩემმა მეუღლემ, თითომ- ორი ათასი რუსული მანეთი. ამ მომენტში გადავწყვიტეთ, რომ საკუთარ სახლში აღარ დაგვედგომებოდა და იძულებულები გავხდით წამოვსულიყავით დევნილად, ჩვენს საკუთარ სამშობლოში.

-ზემო არცევიდან წამოსვლის შემდეგ ვინ შეგიფარათ?

- როდესაც წამოვედით, ჯერ ქარელში ვიყავით დეიდასთან. შემდეგ ჩემს მშობლებთან, ძმებთან, სოფელ პატარა გარეჯვარში.

- გენატრებათ ძველი საცხოვრებელი?

ნათია ჩალაურის სახლი ზემო არცევში

ძალიან ვეფიცებოდა, ჩემს შვილებს ვანსაკუთრებით.
საკმაოდ ინსულტმენ იყო ვატარებდა ხელებს, იყო ვატარებდა
მავშვებს. ნათქვამია, "ჩიტი სიცოცხლეა დაიბადა,
თავისი ბედნიერია ის ალბა."
კითხა მეზობლებმა ჩვენი სახლის
ეზოში ვამცვივზავნა,
ჩემ ვნახე ძალიან ვინერვიულე. სახლი იყო
ძალიან დანგრეული, აყალბრჩენილი დაჩეხილი,
ისეთი შთამეფერილება დავჩეხილა,
ჩემ ამ სახლში ალავის აყვანილია.
ძალიან დამწყდა გული, ჩემ ამერი ხნის ნაწვალები,
ჩვენი თუ ჩვენი წინაპრების შრომა,
ხელში ჩაიყარა.

-როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მხარდაჭერას ამ პროცესებში?

- სახელმწიფო მხარში დაგვიდგა, მოგვცეს დევნილის სტატუსი. დევნილობა ძალიან გაგვიჭირდა, ვაშლის კრეფასა და სხვა მსგავს,ფიზიკურ სამუშაოზე დავდიოდით. ხან დეიდასთან ვიყავი , ხან მშობლებთან ვცხოვრობდი. ყველას უჭირს თავისი თავი და რაღაცნაირად, შენც გერიდება,რომ მძიმე ტვირთად აწვები სხვის ოჯახს . მოგვცეს თავშესაფარი ქალაქ კასპში. ყოფილი საავადმყოფოს შენობაში გამოგვიყვეს ოროთახიანი ბინა. კასპში შედარებით იოლად გავდიოდით, ბოლო-ბოლო საკუთარი ჭერი გვქონდა. მეუღლე მუშაობდა. შემდეგ ეს ბინა გავყიდეთ და ჩემი მშობლების სოფელში ვიყიდეთ სახლი, სადაც ამჟამად ვცხოვრობთ.

-როგორ აისახა ეს გამოცდილება თქვენს პირად ცხოვრებასა და ოჯახზე?

-ცუდად , რა თქმა უნდა. უფროსი შვილი ჯერ დამყავდა საზღვრისპირა სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში (ვინაიდან ზემო არცევში არ არსებობს საჯარო სკოლა). პირველ კლასელი ბავშვი გადიოდა 5- 6 კილომეტრს ყოველდღე, ჩვენი სოფლიდან სამი ბავშვი დადიოდა სულ სკოლაში. რუსის სამხედროები, მათაც უზღუდავდნენ გადაადგილებას, ხან უკან აბრუნებდნენ ,ხანაც სულ არ უშვებდნენ სკოლაში. სამი წელი იარა ასე. რა თქმა უნდა , მისთვისაც რთული იყო ყოველდღე საზღვრის გადაკვეთა და ქართულ სკოლაში სიარული. ძირითადი მიზეზი , რატომაც მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, შვილების განათლება იყო . ამ პირობებში, ბავშვები უცოდინარები დარჩებოდნენ.

თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღესაც საზღვრისპირა რეგიონებში ცხოვრობენ ?

ბევრი ცხოვრობს ისე, რომ არც დევნილის სტატუსი აქვს , არც საცხოვრებელი . უმეტესობას წამოსვლა უნდა, მაგრამ არ აქვთ დასარჩენი ადგილი. ვინ უნდა შეიფაროს? ნათესავთან წლები ხომ ვერ იცხოვრებ.ჩვენს მეზობლებშიც იგივე ვითარება იყო. ზოგს ბავშვები ჰყავდა, ზოგიც ხანდაზმული იყო და ვერ ტოვებდა სახლს. ბევრი დარჩა სოფელში, რადგან უბრალოდ არ ჰქონდათ წასასვლელი. შესაძლოა წითელი ჯვარი ან სხვა ტიპის დახმარება შევიდეს თავისუფლად საქართველოს ტერიტორიიდან , დაეხმარონ საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ ხალხს , თუნდაც ეკომოიურად, პროდუქტით ან მედიკამენტებით .ინტერნეტით ხშირად გვაქვს ხოლმე ურთიერთობა , ძალიან დასტრესილები არიან და იმედი აქვთ ,რომ რაღაც მოხდება, შერიგება იქნება, წამოსული ხალხი ისევ უკან დაბრუნდება და ისევ ისე ვიცხოვრებთ , როგორც ვცხოვრობდით 2008 წლის აგვისტოს ომამდე. **იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და ყველა ჩვენს კერას დავუბრუნდებით .**

ფოტო - ინტერნეტი

ავტორი: ნათია შენგელია

პრეზიდენტ ტრამპის საგარეო პოლიტიკის გავლენა ევროპის უსაფრთხოების სისტემაზე

საქართველოს თავდაცვის საერთაშორისო, სსიპ-ი თავდაცვის მოხალისე-ს დირექტორის მოადგილე, ამერიკანისტიკის დოქტორანტი ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი არაბული

ამერიკის შეერთებული შტატების, 2017 წლის, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში, გხვდება შემდეგი პოსტულატი: **თავისუფალი და ძლიერი ევროპა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისათვის (თეთრი სახლი, 2017).** აღნიშნული ჩანაწერი, სახელმძღვანელო დოკუმენტში, თავშივე აჩენდა გარკვეულ კითხვებს ევროპელ ლიდერებს შორის, ამერიკის მომავალ როლზე ევროპული უსაფრთხოების საერთო სისტემაში. ამ თემის გამოძახილია მაშინდელი გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის და საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის საერთო განცხადებაც ევროპის ერთიანი არმიის შექმნის პერსპექტივის შესახებ (რანკინი, 2018). რაღა თქმა უნდა, ვერც მსგავსი ტიპის ჩანაწერი გაჩნდებოდა აღნიშნულ დოკუმენტში პრეზიდენტ ტრამპის უშუალო კოორდინაციის გარეშე და არც ევროპელ ლიდერებს შეექმნებოდათ იმის აუცილებლობა, რომ მსგავს სტარტეგიაზე ეფიქრათ, რომ არა ამერიკის პრეზიდენტის გაცხადებული პოზიციები ევროპასთან დაკავშირებით. საქმე მაინც იმაშია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა, ცივი ომის პერიოდმა, ამერიკას მისცა შესაძლებლობა რომ ევროპაში ეკონომიკური და სამხედრო გავლენები მაქსიმალურად გაეზარდა. შესაბამისად ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულაც დროის გასვლასთან ერთად კიდევ უფრო მატულობდა. ამ ფონზე კი, პირველი ვადით არჩეული ტრამპის განცხადებები აბსოლუტურად შოკისმომგვრელი იყო ევროპელი ლიდერებისათვის. პირველ რიგში მან, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის, წევრი ევროპული სახელმწიფოები მკაცრად გააკრიტიკა არასკამარისი სამხედრო ხარჯების გამო. მაგალითად გერმანია დღემდე არ ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის ორ პროცენტს სამხედრო მიზნებისათვის. ამასთან ერთად **ტრამპი მუდმივ რეჟიმში ახსენებდა ევროპელ ლიდერებს, რომ მათ წინაშე მდგარი შესაძლო საფრთხეების პრევენციას, სწორედ აერმიკის სამხედრო ძალა ახდენდა.** მსგავსმა რიტორიკმა საწყის ეტაპზევე საგრძნობლად შეარყია ამერიკასა და ევროპულ სახელმწიფოებს შორის ნდობის ხარისხი. შესაბამისად წამყვანამა ევროპულმა ქვეყნებმა ფიქრი ავტონომიური უსაფრთხოების სისტემებსა და ევროკავშირის ეგიდით მოქმედი სამხედრო ძალების მნიშვნელობაზე დაიწყეს ფიქრი. თუმცა ამ პროცესს, ასე ვთქვათ სულზე მოუსწრო ბაიდენის ადმინისტრაციამ, რომელმაც კარდინალურად შეცვალა ტრამპის დროინდელი ნარატივი ევროპასთან დაკავშირებით.

მეორე ვადით არჩევა ტრამპს, ძალიან რთულ პერიოდში მოუწია. ევროპაში ამჟამად მეორეს მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე ფართო მაშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის ომის სახით, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ევროპის უსაფრთხოებაზე. მიმდინარე კონფლიქტში ამერიკის შეერთებულ შტატაებს უკრაინის დამხარების კუთხით წამყვანი როლი ჰქონდა და გამაწყვეტი როლი ითამაშა იმაში რომ უკრაინის ხელისუფლებამ შეძლო რუსული აგრესიის ასე თუ ისე შეკავება. თუმცა ტრამპის ოვალურ ოფისში შესვლასთან ერთად, გაკეთდა განცხადებები რომლემაც ევროპელები საბოლოოდ დაარწუმნა რომ დადგა დრო, წამყვანმა კონტინენტურმა სახელმწიფოებმა პასუხისმგებლობა უსაფრთხოებაზე თავად აიღონ. ამის ნათელი მაგალითებია საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადება რომ, მისი ქვეყანა შეძლებს მოკავშირეებისთვის ბირთვული თავდაცვის უზრუნველყოფას (ჰარისინი, 2025). ასევე ნიშანდობლივია გერმანიის ახალი კანცლერის ფრიდრიხ მერცის, საკმაოდ ხმამამაღალი განცხადება რომ გერმანია ბრუნდება როგორც ძლიერი სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფო, რომელსაც ექნება შეაძლებლობა უზრუნველყოს ევროპის უსაფრთხოება. ამის დასტურად პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა კიდეც. 4800 -ი სამხედრო და 200 - ი სამოქალაქო პერსონალით დაკომპლექტებული შემადგენლობა უკვე გაიგზავანა ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე, რაც ამ ეტაპისთვის უფრო ძალის დემონსტირების როლს ასრულებს, თუმცა საწყისი ნაბიჯები გადაიდგა (კოული, 2025). **ეს არის პირველი შემთხვევა როცა გერმანიამ საარმიო ნაწილების, პარტნიორ სახელმწიფოში, პერმანენტული განთავსების გადაწყვეტილება მიიღო.**

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები ნათელი დასტურია იმისა თუ რა გავლენას ახდენს ტრამპის საგარეო პოლიტიკის კურსი, მის მთავარ და ისტორიულ მოკავშირეებზე. ეფექტი ნეგატიურია თუ პოზიტიური ამის ანალიზს დრო სჭირდება. ევრომპამ ეს გამოცდა აუცილებლად უნდა ჩააბაროს, იმიტომ რომ ამისთვის მინიმუმ უზარმაზი რესურსი გააჩნია. თუმცა მთავარი გამოწვევად რჩება მთავარი საკითხი, თავად ევროპელების განწყობა, თუ რამდენად მზად არიან მსგავსი ტიპის ცვლილებებისათვის. **ათწლეულების განმავლობაში ევროპელებმა დაივიწყეს რას ნიშნავს კონტინეტზე ეგზისტენციალური საფრთხეების არსებობა და შესაბამისად მათ ლიდერებს ახლა სწორედ მათი დარწმუნება უწევთ,რომ მათ შესაძლოა მოუწიოთ საკუთარი სიცოცხლით სახელმწიფოს დაცვა და ამისთვის მზადება დღესვე უნდა დაიწყონ.**

ფოტო-ინტერნეტიდან

4

კულტურა-ხელოვნება

4.1 ხელოვნება, როგორც თერაპია 52

4.2 ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲖᲔᲮᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ 56

4.3 ᲜᲐᲜᲐᲖᲠᲘ ᲜᲔᲙᲝ-ᲡᲘᲐ 62

ავტორი: ლიზა პაპასქუა

ხელოვნება, როგორც თერაპია

ხელოვნება არის საშუალება, რომ ჩვენი შინაგანი სამყარო გადმოვცეთ სხვათათვის გასაგებად. საზოგადოება, ყოველდღიურად უამრავ სტრესსა და ემოციას განიცდის, რაც ჩვენს გარშემო არსებულ გამოწვევებთანაა დაკავშირებული.

ადამიანები გადიან შინაგან ბრძოლებს, ზოგჯერ გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდებიან და ეს ყოველივე, მათ ფსიქიკას, უზარმაზარ ლაქას ატყობს. ხელოვნების ესა თუ ის მიმართულება კი, შესაძლოა გახდეს შინაგანი ტკივილის აშკარა მეტაფორა. მაშინ,როცა სიტყვები უფასურდება, იგი საკუთარი სიმბოლიკითა და ენით, იძენს უნიკალურ მნიშვნელობას.

ხელოვნება არ არის მხოლოდ დასამახსოვრებელი პორტრეტები ან მუსიკალური შედევრები, ეს არის გზა, საკუთარი თავის სიღრმეების ძიებისა და სრულყოფისა.

თერაპია ხელოვნებით კი, არის ფსიქოთერაპიული მეთოდი, რომელიც იყენებს მხატვრულ პროცესებს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით. ეს მეთოდი, ეხმარება ინდივიდებს გამოხატონ ემოციები, გააცნობიერონ თავიანთი გრძნობები და განიცადონ შინაგანი ცვლილებები.

კვლევები აჩვენებს, რომ ვირტუალური რეალობის გამოყენება მხატვრულ თერაპიაში, ხელს უწყობს სტრესის დონის შემცირებას და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგალითად, ბერნის ფსიქიატრიული კლინიკაში ჩატარდა არტ თერაპიის კურსი. პაციენტები, რომლებსაც სიტყვებით გამოხატვა უჭირდათ, ქმნიდნენ ფერწერულ ნამუშევრებს, რომლებიც შემდეგ, მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის კვლევის ნაწილად იქცა. ნამუშევრები საშუალებას აძლევდა თერაპევტებს და ექიმებს, რომ დაენახათ, როგორ განიცდიდნენ პაციენტები შინაგან სტრესს, ეშინოდათ თუ აგრესია ჰქონდათ. რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო, უფრო სიღრმისეულ კვლევებსა და მკურნალობის ახალი გზების მოძიებას.

78% ადამიანებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ მხატვრულ თერაპიაში, ირჩევენ ამ მეთოდს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ თერაპიულ საშუალებას.
კვლევების მიხედ-ების მიხედვით, 45 წუთიანი მხატვრული აქტივობა მნიშვნელოვნად ამცირებს კორტიზოლის დონეს, რაც არის სტრესის ჰორმონი. 80%ზე მეტი პაციენტი, რომელიც რეგულარულად ატარებს მხატვრულ აქტივობებს, აღიარებს, რომ ეს მათ ეხმარება ემოციური მდგომარეობის დასტაბილურებაში.

თანამედროვე ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით, არტ თერაპია და ხელოვნების ეს მიმართულება იდეალური მეთოდია შფოთვისა და დეპრესიის შემცირებისათვის.

„ხელოვნება, ადამიანს ხშირად არათანამიმდევრულად და ქაოსურად განცდილი ემოციების არტიკულირების საშუალებას აძლევს და სწორედ აქ დგას მისი თერაპიული ძალა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ხელოვნება შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ეგოს დაცვის მექანიზმი - სუბლიმაცია. ეს ის პროცესია, როდესაც ადამიანი შინაგან კონფლიქტებს, ინტენსიურ სურვილებსა თუ წუხილებს გარდაქმნის სოციალურად მისაღებ და შინაარსობრივად ღირებულ მოქმედებად. მაგალითად, მხატვრობაში, მუსიკაში, ლიტერატურაში ან თეატრში. ამ გზით, ენერგია არ იზღუდება ან არ ხდება დათრგუნული, არამედ იღებს შემოქმედებით, ზრდად ფორმას.
გარდა ამისა, თანამედროვე ფსიქოთერაპიულ პრაქტიკებში ხშირად გამოიყენება გეშტალტთერაპია, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს არტ-გამოხატვას. გეშტალტმიდგომა ემოციური გამოცდილების „აქ და ახლა“ გაცნობიერებაზეა ორიენტირებული და მიიჩნევს, რომ როდესაც ადამიანი ქმნის (ხატავს, წერს, ქმნის ხმოვან ან ვიზუალურ გამოსახულებას), ის უშუალოდ უკავშირდება საკუთარ შიდა მდგომარეობას. ხელოვნების აქტით ადამიანი ხშირად განიცდის იმ მთლიანობის განცდას, რომლისკენაც თერაპია ისწრაფვის.

შედეგად, ხელოვნება არამხოლოდ ფსიქოლოგიური დაცვაა, არამედ თვითშემეცნების, გათავისუფლებისა და აღდგენითი განვითარების გზაც არის.” - განაცხადა აფილირებულმა ასისტენტ-პროფესორმა, ბექა დადეშქელიანმა.

ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ჩატარდა 2016 წელს, აჩვენებს, რომ პაციენტების 79%-მა,რომელიც რეგულარულად გადიოდა მხატვრული ტიპის თერაპიას, შეამჩნია შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომების შემცირება და პირადი ემოციების მართვისუნარიანობის გაზრდა.

„ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ხელოვნებით თერაპიას. ის ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც არ შეუძლიათ სიტყვებით გადმოცემა.

ხელოვნებით თერაპია საშუალებას აძლევს ადამიანის არაცნობიერში არსებული სურვილები გამოხატოს არავერბალურად. ეს ხდება სიმბოლოების მეშვეობით. ამ მეთოდს განსაკუთრებით წარმატებით იყენებენ ADHD ის პრობლემის მქონე და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებთან.

ასევე ხელოვნებით თერაპიის ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა დრამათერაპია, როლური გათამაშებები, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს ემპათიის განვითარებაში.“ - აღნიშნა ფსიქოლოგმა, ქრისტინე გელანძემ.

არსებობენ თვითნასწავლი ადამიანები, რომლებმაცსაკუთარ თავშიაღმოაჩინესნიჭი, ძალა და ის გამოსავალი, რაც ცხოვრების კონკრეტულ მომენტში, განსაკუთრებით სჭირდებოდათ. სწორედ ასეთი პიროვნება გახლავთ თეონა ტყეებუჩავა:
- პროფესიით დიპლომატი, ხელოვნებისგან ძალიან შორს ვარ. ყოველ შემთხვევაში, ასე ვთვლიდი, მაგრამ ორსულობისას,

ფოტო - ინტერნეტიდან

რომელიც საკმაოდ სტრესული აღმოჩნდა ჩემთვის, რატომღაც ძალიან მომინდა მომექარგა რამე. გაითვალისწინეთ, რომ ქარგვა საერთოდ არ ვიცოდი. ქალები დამეთანხმებიან, რომ ამ პერიოდში, უცნაური აკვიატებები უცხო არაა. უცხო, უფრო ის იყო, მაინცდამაინც ქარგვა რომ მომინდა ცუდად ყოფნის დროს. ასე მოვიმარაგე ყველა საჭირო ნივთი და ჩემი ხედვით დავიწყე ქარგვა. გული გადავაყოლე, ხელოვნების ეს მიმართულებაც შევიყვარე და თითქოს, ერთგვარი თერაპია გახდა. როცა ცუდად ვგრძნობდი თავს, მაშინვე ქარგვას ვიწყებდი. თან, არ მინდა ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ საკმაოდ კარგად ვქარგავდი. ასე რომ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ორსულობის ცხრა თვე, ქარგვა ჩემი ცუდად ყოფნისას ერთ-ერთი წამალი იყო. ძალიან მიხარია, რომ საკუთარ თავში ეს ნიჭიც აღმოვაჩინე. დღემდე დამჩემდა, როცა განწყობა მეცვლება, ქარგვას მივმართავ და სტრესიც თითქოს სადღაც იკარგება.

არსებობენ ადამიანები, ვინც საზრდოობს ხელოვნებით. ერთგვარ ხსნას წარმოადგენს ეს მათთვის.

ფსიქოლოგები ხშირად ამბობენ, რომ ენით გამოუთქმელი ტკივილი, ხანდახან, მხოლოდ სიმღერით, ფერებით ან მოძრაობით შეიძლება გადმოიცეს.

მაგალითად, ვან გოგის "ვარსკვლავებიანი ღამე", რომელსაც ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ასეთი აღწერა ამშვენებს: "ეს მხოლოდ ფერწერული ტილო არ არის, ეს არის ადამიანის სულიერების, მისი ბრძოლისა და სიბნელეში სინათლისკენ სწრაფვის ოდა. ეს ნამუშევარი ოსტატურად აერთიანებს ქაოსსა და ჰარმონიას, ღამეს კი ფერისა და მოძრაობის ცოცხალ სიმფონიად აქცევს. ფუნჯის თითოეული მონასმი, ცაზე გამოსახული თითოეული მორევი განასახიერებს სულიერ ქარიშხალს და სიმშვიდის ძიებას."

მაშასადამე, ხელოვნება - თვითგადარჩენის უძლიერესი იარაღია.

ნათია კანკია

ავტორი: ნათია შენგელია

მოზაიკის ნატეხებიდან ოცნებამდე

შორიდან, თვალი მოვკარი ფაზლებით მოთამაშე გოგონას, ახლოს მივედი და ქვებთან მებრძოლი მეომარი დამხვდა.

ნათია კანკია პირველი ქალი მოზაიკოსია თანამედროვე საქართველოში, რომელმაც დიდ მასშტაბებზე იმუშავა, თუმცა თავად იმორცხვებს ამ სიტყვაზე და წარმოთქმაც კი ეხამუშება. გზა კი აქამდე მოსასვლელი, იყო ვრცელი და მრავალფეროვანი.

პროფესიით თეატრის მხატვარია, მუშაობდა თეატრში ათონელზე,მაგრამ როგორც თავად ამბობს, დრამატულ თეატრში, საკუთარი თავი ვერ იპოვა: “მომწონდა, საინტერესო იყო, მაგრამ მიჭირს ახსნა,თავგანწირვა მაკლდა. საქმე ისე უნდა შეიყვარო, რომ თავგანწირული იყო.ბოლომდე ვერ შევიყვარე თითქოს.საინტერესო სამყარო იყო, მაგრამ ჩემი-არა. “

ხელოვანისთვის კი, რუტინად ქცეული საქმე, დიდხანს ვერ იქნება თავშესაქცევი. ნათიაც ეძებდა თავს და საქმეს, სადაც იგრძნობდა თავგანწირვას. იმუშავა სერიალ “ტიფლისის” ერთ-ერთ კოსტიუმების მხატვრად, დაკავებული იყო გიორგი ოვაშვილის ფილმზე “ხიბულა”,მაგრამ არც ეს იყო “ის”.

გამუდმებით აწვალებდა კითხვა, რას ემსახურებოდა საქმე, რომელსაც აკეთებდა, რამდენად სწორი მიზნისკენ მიდიოდა. მოთხოვნილება კი ჰქონდა იმის, რომ ემსახურა სიკეთისთვის. ბოლოს თოჯინების თეატრში აღმოჩნდა და აქ ყველაზე მეტად იგრძნო თავი საკუთარ ადგილას.

-ალბათ, თოჯინების თეატრიც იმიტომ მოგეწონა, რომ ბავშვები სიკეთესთან ასოცირდებიან...

-კი, ალბათ ასეც იყო. როცა იცი, რომ შენი ნახატებით, აცოცხლებ პერსონაჟებს და ამის მიხედვით იქმნებიან თოჯინები, რომლებიც ბავშვებისთვის ყვებიან ამბებს, ახალისებენ, აბედნიერებენ-ამას თავისი წილი სიკეთის მარცვალი მოაქვს, მით უფრო ბავშვების ემოციები ისეთი გულწრფელია, რომ ეს ძალიან გეხმარება. თოჯინების თეატრის პარალელურად კედლის მხატვრობითაც ვიყავი დაკავებული, ბაღები, კლუბები, კერძო შენობები. დიდ მასშტაბებზე მუშაობა განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ სულ მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ რაც არ უნდა საინტერესო ყოფილიყო საქმე, თითქოს რაღაც მაინც მაკლდა.

როგორც ხელოვანი, აცნობიერებდა ერთს, რომ ხატვის ნიჭი, რომელიც აქვს, პასუხისმგებლობაცაა



ღვთისმშობელი და ყრმა მაცხოვარი- ზოგის ფრესკის ამონარიდი

პირველი დამოუკიდებელი ფეკვეთა

ჯვარმამაღლების ბაძრის სვეტები

და მას განვითარება, ზრუნვა და სწორი მიმართულების მიცემა სჭირდება. რომ ეს ნიჭი მხოლოდ მას არ ეკუთვნის და შექმნის პროცესში, ჯერ ხომ თავადაც კეთილშობილდება და ამავე დროს, ეძლევა საშუალება, რომ სხვის სულზეც მოახდინოს დადებითი გავლენა.

ნათია საუბრობს საკუთარ გზაზე და ძიების პროცესზე და ძალიან ხშირად ახსენებს სიტყვას “თავისუფლება”, რომელიც აკლდა, რომელსაც ვერ პოულობდა, ურომლისოდაც საქმეში ფრთებს ვერ შლიდა თითქოს და მოსმენისას, უნებლიედ მახსენდება დოჩანაშვილის “სამოსელი პირველი” და ზე მორეირას ტკივილი, რომ “თავისუფალი არ იყო, არა!”

თავისუფლება კი მაშინ, მოვიდა, როცა ჯვართმაღლების სატაძრო კომპლექსში აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რაც თურქეთში, მაცხოვრის პანტოკრატორი-მოზაიკის ეს უნიკალური ნიმუში დაფარეს, ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა თეოდორე გიგნაძემ, დაამზადებინა მისი ზუსტი ასლი და ნათიას მისვლაც სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა. როგორც თავად იხსენებს, იმდენად აღფრთოვანდა, რომ ავტორის სახელიც კი გაიგო.

გადის არც ისე დიდი დრო და ნათიას ეუბნებიან, რომ ამირან ბაკურაძე ეძებს მხატვარს, რომელიც დაეხმარება მოზაიკის კეთების პროცესში. ეს კი სწორედ ის პიროვნება იყო, რომელმაც პანტოკრატორის ხატი დაამზადა ტაძრისთვის და რომლის სახელიც, ნათიას არ დავიწყებია. ბევრი არ უფიქრია, ისე მივიდა სახელოსნოში და ღიმილით ამბობს, რომ დახვდა ამირანი და 15 ბიჭი,რომელიც მასთან მუშაობდა სახელოსნოში. “უცნაური შეგრძნება იყო თითქოს,მარტო მე რომ ვიყავი გოგო, მაგრამ ამირანის რამდენიმე სიტყვის შემდეგვე მივხვდი, რომ ხელოვან ადამიანთან მქონდა საქმე და მასთან ურთიერთობა და მასთან დამოწაფება, საინტერესო იქნებოდა ჩემთვის და ბევრ რამეს ვისწავლიდი.” ასე დარჩა სახელოსნოში და გახდა ფიფქია,7-ზე მეტ “ჯუჯას” შორის, როგორც შემდეგში, იქ მომუშავენი ეხუმრებოდნენ.

ამირან ბაკურაძეზე საუბრობს შეგირდის სიამაყით, როგორი განსაკუთრებული ადამიანია და საქმის პროფესიონალი. რომ 2023 წლიდან ვატიკანში მისული დამთვალიერებელი მსოფლიო ხელოვნების შედევრებს შორის ევერიის ღვთისმშობლის მოზაიკურ ფრესკასაც ნახულობს, რომელიც სწორედ მისმა მასწავლებელმა შეასრულა და რომ ევროპის, ამერიკისა და აზიის ქვეყნებში ორასამდე ეკლესიაა შემკული მოზაიკით ბაკურაძის მიერ.

-მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის გამოცდილება არ მქონდა, ამირანმა მომცა შანსი და საშუალება, რომ

მემუშავა დამოუკიდებლად ძალიან დიდ შეკვეთაზე- შობის კომპოზიცია 6 მეტრი, 4 მტრზე. რა თქმა უნდა, ის მაძლევდა რჩევებს, მაგრამ პირველივე ჯერზე, მარტოს რომ ამხელა მოზაიკის შესრულება მომიწია- ამით ამირანმა ბიძგი მომცა, უკვე დამოუკიდებლად მევლო ამ გზაზე. 8 თვე ვმუშაობდი, ქვაბულის მოყვანილობის სივრცეზე,სადაც ესკიზიც მე დავხატე და მოზაიკითაც გავამშვენე. ძალიან, ძალიან მადლიერი ვარ ამ გამოცდილების და ამირანის.

-როგორი იყო,ფერწერული მხატვრობიდან ფრესკულზე გადასვლა?

-საპასუხისმგებლო. განსაკუთრებით მახსოვს შეგრძნება, როცა ღვთისმშობლის სახეს ვაკეთებდი. როგორია,შენი ინდივიდუალიზმიც გექაჩება შიგნიდან და თან, კანონიკაც უნდა დაიცვა, არაფერი გადააჭარბო. ვღელავდი ძალიან, მაგრამ ყველაზე მთავარი დამეხმარა- ლოცვა და რადგან ლოცვა ურთიერთობაა, ღვთისმშობელთან ამგვარი ურთიერთობის პროცესში, თავისთავად გამოდიოდა ყველაფერი და მეც არ ვიცი, როგორ გავაკეთე ასეთი სახე. ადამიანის შინაგანი მდგომარეობა,ყოველთვის აისახება მის ნამუშევარზე და როცა სიწმინდესთან, ხატთან გაქვს შეხება, ვფიქრობ, უმთავრესი, სწორედ შინაგანი განწყობა, სულიერი მდგომარეობაა. ეს, ჯერ კიდევ თოჯინების თეატრში მუშაობისას დავინახე,ბავშვებთან და მათთვის განკუთვნილ პერსონაჟებზე მუშაობისას. იქ ვერ მოიტყუები,ვერ მიაფუჩეჩებ - გულწრფელობა და გულმოდგინებაა აუცილებელი.

როგორც ნათია ამბობს,მოზაიკას სჭირდება ძალიან დიდი დრო, მეომრის ნებისყოფა და მოთმინება.თვითონ სიტყვა, რომელიც ფრანგული წარმოშობისაა და “მუზებს მიძღვნილს” ნიშნავს, გახვედრებს, რომ ამ საქმეს ბოლომდე უნდა მიუძღვნა თავი. სსჭირდება სიმშვიდე, რაც მას მოსწონს, მაგრამ აღიარებს, რომ ნებისყოფის სერიოზული ვარჯიში გამოუვიდა. იყო მომენტები- წყინდებოდა, “ ყოველთვის არ მოგყვება განწყობა, იმუშაო ყოველდღიურ რუტინაში, მაგრამ ამ რუტინაში და პატარა ქვების ქაოსში, სწავლობ ძალიან დიდ წესრიგს. პიროვნულადაც კი უფრო მოწესრიგებული გავხდი. როგორც საქმე, ძალიან მომთხოვნია, აქამდე ერთი საქმით ვერ ვკმაყოფილდებოდი და პარალელურად ვიღებდი კერძო შეკვეთებს, მოზიაიკა კი მთლიანად შენს რესურსს ითხოვს, ანუ სწორედ იმ, სრულ თავგანწირვას (იღიმის).

ამბობს, რომ რთულია, მაგრამ ის, რომ არ კარგავ ინტერესს მალევე და რაღაც მომენტში, საჭირო ერთფეროვნებას არ უშინდები,ეს გზრდის და გიჩენს აზარტს და ფსქოლოგიურად,მინის ტეხვის პროცესში თუნდაც, აღმოაჩენ ერთგვარ თერაპიას, რომელიც გათავისუფლებს შინაგანი უარყოფითი ემოციისგან. ახლა უკვე სხვა თვალით ხედავს და აფასებს სხვის ნამუშევრებს. საქართველოში, უმეტესად საბჭოთა დროინდელს, რომლებიც მოსწონს მასშტაბებით, აღაფრთოვანებს ფერები, მაგრამ მათში ვერ ხედავს იმას, რაც ასე მნიშვნელოვანია ნათიასთვის - თავისუფლებას! თუმცა არ უკვირს, რადგან ითვალისწინებს დროსა და კონტექსტს, როცა ისინი იქმნებოდა.

- ზოგადად,რაც ძველ ნამუშევრებშიც მაკლია და საითაც მინდა წავიდე, თვითონ შევქმნა და სხვებსაც ვასწავლო- არის ქართული ხასიათი. ძველი ფრესკები რომ ავიღოთ, თუნდაც სვანური ხატწერის გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ო ბ ა , რ ო გ ო რ ი საოცარია ხომ?
მინდა, შესაძლებელი გახდეს ძველისა და ახლის გაერთიანება. ამასსჭირდებაგამბედაობა, რომარ შეუშინდე სიახლეს და იმ ძველიდან გამომდინარე, ჩვენი კულტურის წიაღიდან ამომდინარე,რომელიც ასეთი სადაა და დახვეწილი, შექმნა თანამედროვეობისთვის გასაგები და მისაღები. ბევრჯერ მიფიქრია,რომ ეროვნული მიკერძოების გარეშე შემეხედა ჩვენი ქვეყნის ხელოვნებისა თუ ფრესკული ნიმუშებისთვის, მაგრამ ასეთი ფერები, მართლა არსად შემხვედრია. შეიძლება იყოს უფრო ლამაზიც, უფრო დახვეწილიც, მაგრამ ის უნიკალურობა, რაც ქართულს ახასიათებს, მინდა თანამედროვეს შეერწყას და ისე გაგრძელდეს.

ფრესკულ მოზაიკაში არსებობს წესები,ისე როგორც ხატწერაში, რომელსაც მიყვები, დეკორატიულ მოზაიკაში,ეს უფრო მეტად შემოქმედებითი პროცესია და ადამიანის შეცდომა,თუნდაც არასწორად გატეხილი ქვა, როცა გაქვს ხედვა, შეიძლება უპოვო სწორი ადგილი, იქ ჩასვა და არასწორად გაკეთებულიც კი , ძალიან საინტერესოდ შემოატრიალო: “ამ ეტაპზე, მაგ პროცესში ვარ,ეს ალბათ უკვე სკოლის დამსახურებაა,სხვებისთვის სწავლების პროცესი, რომ არასწორი ნაწილიც კი, ვფქირობ ლამაზად როგორ წარმოვაჩინო. სხვათაშორის, ეს ფიქრიც ავსებს იმ სიცარიელეს, რასაც შეიძლება მრავალსაათიანი შრომის რუტინა პერიოდიულად აჩენდეს.”

-როგორც ვიცი, თქვენი სკოლა პირველია საქართველოში...

-ჩვენი სკოლა - მოზაიკოსი, რომელიც ჯვართამაღლების სატაძრო კომპლექსის საგანმანათლებლოს ცენტრის ბაზაზე და მისი დახმარებით გაიხსნა, პირველია ამ სახით. არიან სხვებიც, ჩამოსულები არიან უკრაინელებიც და აკეთებენ კურსებს, არსებობს სახელოსნოებიც, მაგრამ სკოლის სახე არცერთს აქვს. ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ საფუძვლიანად შევასწავლოთ მსურველებს, ჩვენც გავიზარდოთ ამ პროცესში,რადგან არა მხოლოდ ფრესკულ მოზაიკაზე ვმუშაობთ, არამედ დეკორატიულზეც, ამაში შედის სახლის დიზაინიც, გარე ფასადების თუ ეზოების გაფორმებაც. გვექნება მოკლევადიანი კურსებიც მოყვარულთათვის.

ჯვართამაღლების ტაძარში, გარე ფასადზე, სვეტები შეამკო დეკორატიული მოზაიკით. ესეც განსხვავებული გამოცდილება იყო, რადგან სვეტი და მისი წრიული მოყვანილობა, განსხვავებულ მიდგომას საჭიროებდა, სამუშაო ბევრი იყო და დროში შეზღუდულად,ამიტომ

ნაზეხ-ნაზეხ აწყობილი ამბავი.

ტაძრის სამრევლოს წევრებიც ეხმარებოდნენ,როგორც შეეძლოთ, უმეტესად კერამოგრანიტის ტეხვაში ,რაც უფრო რთული იყო გასატეხად,ნათიას ხელის ნერვიც კი დაუზიანდა ბოლოს და მუშაობას რთულად ახერხებდა, თუმცა სწორედ მაშინ გაიცნო მისი მომავალი მეუღლე სოსო.

ჩვენი შეხვედრის და საუბრის დასაწყისში, ის ხშირად ამბობდა : ‘აი,როგორც სოსო ამბობს ხოლმე... სოსო მეტყვის ხოლმე..” -უცებ ვერც კი მივხვდი, ვის გულისხმობდა, სანამ თავად სოსო არ გამოჩნდა და პირველ ფრაზად თქვა : “ნათიას ბავშვობის ნახატები რომ ვნახე, გასაგები იყო რომ ნიჭი ჰქონდა და მხატვარი იქნებოდა.” სათქმელს იწყებს ერთი, ასრულებს მეორე, მაგრამ ამის მიღმაც, პირველად მქონდა ცხოვრებაში შეგრძნება, რომ ერთ მთლიანობას ვუყურებდი მათი სახით. თითქოს ფიზიკურადაც გვანან ერთმანეთს და ამის გამო ან იქნებ, ახალდაქორწინებულობის ვარდისფერი ბურუსით ანათებენ და მაგიტომაც, მაგრამ უცნაური დაჯერებულობით ვარ, რომ ამ ორ სხეულში-ერთი სულია.

ვეკითხები ხელოვნებაზე და მის როლზეც...
იმაზეც, რას ურჩევდა სხვებს...

ნათიაც საუბრობს, საუბრობს, მაგრამ ხშირად, უჭირს ახსნა...
სიტყვების პოვნა მხატვრისთვის, იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავად ელოდა, თუმცა დასმული შეკითხვები, ამბობს, რომ საინტერესოა და დაეხმარა, რომ სათქმელად დაალაგოს ის, რასაც გულით ატარებს და საქმით გამოხატავს.

სხვებისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც კი, ერთი რჩევა აქვს - გამბედაობა.
“ეს ისეთი თვისებაა, სწორად თუ გამოიყენებს ადამიანი, უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია. მათავარია,იპოვო ძალა და გაბედო შენი წილი ნაბიჯის გადადგმა..”

ნათიამ გაბედა და ახლა, ცდილობს პატარა ნატეხებისგან, ცალკე რომ არაფერს ამბობენ, ფრესკული თუ ფერწერული ამბები მოყვეს ისე, რომ იგრძნობოდეს-უკვე იპოვა ის,რაც აკლდა: თავგანწირვა და თავისუფლება.

ავტორი: ნათია უენგელია

ნანატრი ნეკო-სია

თამარ და ნეკო

თამარ მერლანი 10 წელი ელოდა შვილს, რომლის ამქვეყნად მოვლენამაც უდიდესი სიხარული შეიტანა მის გულსა და ოჯახში, თუმცა მალე, მარტოხელა დედა გახდა და პატარასთან ერთად, ყოველდღიური სირთულეების წინაშე დარჩა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა სამკაულების კეთება დაიწყო და ნაკეთობებს ნანატრი შვილის - ნეკოს - პატივსაცემად "ნეკოსია" დაარქვა.

-ბავშვის გაჩენის შემდეგ, სახლში დარჩენა მომიწია,თუმცა მალევე შემოსავალი დამჭირდა და ვნახე სამთვიანი კურსი, სადაც ხელსაქმეს ასწავლიდნენ. დავრეგისტრირდი და დავიწყე შესწავლა. ერთი თვის შემდეგ, ჩემში, ეტყობა, გაიხსნა ხელოვანის ნიჭი (იცინის)დადავიწყეხელნაკეთიაქსესუარების კეთება. უფრო სწორედ, აქსესუარებამდე, ვქარგავდი ტანსაცმელსა და გულსაბნევებს, სწორედ საქართველოს რუკის ფორმის გულსაბნევმა დაიმსახურა დიდი მოწონება, გამოთქვეს შეძენის სურვილი და საკმაოდ კარგ ფასადაც გაიყიდა. ამან მომცა სტიმული, რომ გამეგრძელებინა ეს საქმე. ახლა კი უკვე, ბუნებრივი ქვებით ვამზადებ აქსესუარებს და ჩემი პატარა ბრენდიც და ჩემი შვილის სახელიც, საკმაოდ ცნობადი გახდა.

„ნეკოსიას" აქსესუარები

- თამარ, რამდენად რთული იყო და არის თქვენი საქმიანობა, საკმაოდ დიდი კონკურენციის პირობებში?

-როგორც იცით, მარტოხელა დედა ვარ და საკმაოდ რთული იყო დაწყება, ნეკო 6 თვის იყო და ბევრი ყურადღება სჭირდებოდა, ამიტომ მიწევდა ღამეების თენება. ბავშვს რომ დავაძინებდი, შეკვეთებს მერე ვამზადებდი. ამან ჯანმრთელობაზეც იქონია გავლენა, თუმცა **როცა არის საჭიროება, არ გაქვს სხვა გზა და არც ხელშეწყობაა, პოულობ ძალებს რომ მიყვე საქმეს, გააკეთო და გახვიდე ბოლოში.**

-კანონმდებლობა რამდენად მორგებულია თქვენს საქმიანობაზე?

-თავიდან უფრო რთული იყო, როდესაც პირველად გახდა კანონით აუცილებელი დარეგისტრირება,ჩვენნაირი თვითდასაქმებულებისთვის. ჯერ გავხდით ვალდებულები,დავრეგისტრირებულიყავით, როგორც ინდივიდუალური,შემდეგ კი მცირე მეწარმეები და შემოსავლის 1% გადაგვეხადა საშემოსავლო. დამწყებისთვის, მართლა თითოეული თეთრი მნიშვნელოვანია და ვბრაზობდი კიდეც ცოტას, მაგრამ ახლა პირიქით-უფრო დამშვიდებული ვარ რაღაცნაირად,რომ სახელმწიფოს წინაშეც, ბოლომდე პირნათელი ვარ .

-რას ფიქრობს თავად ბრენდის მოსახელე, "ნეკოსიას" ასეთ ცნობადობაზე?

-ძალიან ბედნიერია, ძალიან. ყოველთვის მიყვება, როცა ვინმე ცნობს და უხარია. თვითონაც მუდმივად ატარებს ბრენდის აქსესუარებს და ძალიან ამაყობს ამით. თავადაა მოსიარულე რეკლამა (იღიმის).

-როგორც ვნახე, მასტერკლასებს ატარებდით ბავშვებისთვის,გვიამბეთ ამის შესახებ...

-თავიდან დავიწყე უფროსებისთვის, ერთჯერადად ვფიქრობდი გამოცდილების გაზიარებას, თუმცა პირველ ჯგუფთან მუშაობის დასრულების შემდეგ, ერთ-ერთმა **გოგონამ მომწერა, მადლობა რომ მასწავლე ეს საქმე და ახლა შემიძლია მე თვითონ ვიყიდო შოკოლადი და არ მიწევდეს თხოვნა ქმრისთვის ან დედამთილისთვის და ლოდინი, როდის დამაფინანსებენო.** ამან იმხელა გავლენა მოახდინა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე , რეგულარული სახე მივეცი მასტერკლასებს და ძალიან მიხარია, რომ ახლა უკვე ბევრად მეტი ძლიერი და დამოუკიდებელი ქალია და ამაში მეც მიმიძღვის წილი. მერე ნეკომ მითხრა, ერთხელ ჩემს მეგობრებსაც მოვიყვანო და უარი ვერ ვუთხარი, ფასიც სიმბოლური ჰქონდა და აიმ თანხით, მშობლებისვე ნებართვით, ისევ პატარებს ვმასპინძლობდი პიცით და ტკბილეულით,რის გამოც კიდევ უფრო უხაროდათ ხელსაქმის სწავლა.

„ მიმოზას" ყვავილები

- „ნეკოსიას" ლოგოს აწერია, რომ საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ...

-ეს წარწერა ორენოვანია, ქართულად და ინგლისურად, რადგან აქსესუარებს ხშირად სხვა ქვეყნებიდანაც მიკვეთავენ და აქედანაც მიაქვთ საჩუქრად და ამ ნაბიჯით, **მინდოდა ჩემი წილი, პატარა აგური დამედო იმის გაზიარებაში, რომ რუსეთი ოკუპანტია**. ბევრი არაფერი შემიძლია, თუმცა ესაა ჩემი სათქმელი, რომელიც ყველასთან მინდა მივიდეს.

-"ნეკოსიას" მოყვა "მიმოზა", როგორ უმკლავდებით ორ საქმეს?

-ბავშვობიდან მიყვარდა ყვავილები და ოცნმებად მქონდა ყვავილებთან მუდმივი შეხება მქონოდა. ერთხელაც გადავწყვიტე, აქსესუარების ნაწილი გამეყიდა იმისთვის, რომ ფლორისტიკის შემსწავლელი კურსი გამევლო და ამაზე საჯაროდ დავწერე ნეკოსიას სოციალურ გვერდზე, რასაც ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და რამდენიმე საათში, ჩემი აქსესუარების ნახევარი უკვე გაყიდული მქონდა , თუმცა ამავე დროს, მომწერა ფლორისტიკის სწორედ იმ სკოლამ, რისთვისაც ფულს ვაგროვებდი და მაჩუქეს კურსი. ისეთი ენთუზიაზმით შევუდექი სწავლას, რომ მესამე გაკვეთილზე, უკვე პირველი შეკვეთა დავამზადე, რაც თავადაც გაუკვირდათ და აღნიშნეს, რომ პირველად ჰქონდათ ასეთი შემთხვევა. ამან ბიძგი მომცა, რათა ეს სიყვარული და მონდომება ქცეულიყო "მიმოზად" და მიხარია,რომ წარმატებით ავიღეთ სტარტი. ეხლა უკვე ძალიან მეხმარებიან დედა და მამა და ვახერხებ, რომ ორივე საქმეს გავუმკლავდე.

-რატომ „მიმოზა"?

-აფხაზეთიდან დევნილი ვარ . იქ, სახლის ეზოში გვქონდა ძალიან ბევრი მიმოზა. **ბებიას განსაკუთრებით უყვარდა მიმოზები, მე კი ბებო მიყვარდა გამორჩეულად**, ამიტომ სახელზე ბევრი არ მიფიქრია, რადგან ის იტევს როგორც აფხაზეთის, ბებოს მონატრებას.

-თამარ, რამდენად დიდ როლს თამაშობს სოციალური მედია თქვენს საქმიანობაში?

-უმთავრესს. შეკვეთებს სამკაულებზეც და ყვავილებზე, სწორედ ონლაინ ვიღებ და მათ შესახებაც, სოციალიური მედიით გაიგო მომხმარებელთა უმეტესობამ. უამრავი მოწონება აქვს ორივე გვერდს და მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში ძალიან დიდი დოზითაა დაგროვილი აგრესია, რაც ონლაინ კომენტარებშიც ვლინდება, მე მაინც უმეტესად დადებით უკუკავშირს ვიღებ. ბუნებრივია, რომ პოზიტიური უკუკავშირი სტიმულსაც მაძლევს და ძალასაც.

-და ბოლოს, რას ურჩევდით სხვა ქალებს, ვინც ან ფიქრობს საკუთარი საქმის წამოწყებას ან პროცესშია?

-არ გაჩერდეთ!

-არ გაჩერდეთ!

-არ გაჩერდეთ- ყველაფერი გამოვა! ვიცი, რომ შაბლონურად ჟღერს, მაგრამ მართლა ყველაფერი გამოვა, რასაც მოინდომებთ, რასაც სიყვარულით გააკეთებთ. მართლა ღირს ბრძოლა. არ აქვს მნიშვნელობა ვინ რას იტყვის და ვინ რას იფიქრებს.

5

რეცენზია

5.1 ნაცრისფერი ქალაქი ჩუმად ალარ არის 66

5.2 სპექტაკლი 72

ნაცრისფერი ქალაქი რუმაღ ალარ არის

ავტორი: ელენე სავანელი

სერიალი „ღამის მონადირეები“ თბილისის პროტესტის ფონზე

ბოლო წლებია, ქართული მედიასივრცე აქტიურად იცვლის სახეს. ტელევიზიის მონოპოლია თანდათან ირღვევა და ასპარეზს უთმობს სულ უფრო და უფრო მზარდ სოციალურ ქსელ იუთუბს, პოლიტიკისგან თავისუფალ პლატფორმას. ჯერ იყო ვლოგები, მერე დოკუმენტური დღიურები, გადაცემები, სერიალები...

იუთუბზე კინემატოგრაფია შემოდის.

ერთ-ერთი პირველი ხმამაღალი განცხადება, რომელიც იუთუბზე გამოქვეყნდა, ქართული სერიალი „ღამის მონადირეებია“ - ესაა ამბავი ახალგაზრდებზე, რომლებიც ღამით ნიღბებს იკეთებენ და იქ მიდიან, სადაც სახელმწიფო სამართალს ვერ ამყარებს. ეს ამბავი ქართულ რეალობას პირდაპირ ეხმიანება. სწორედ იმ რეალობას, სადაც სამართლიანობა ყველას უნდა, მაგრამ თითქმის აღარავის სჯერა მისი. სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები ან ჩამოშლილია, ან თვალახვეული.

სერიალი, ექვს ძირითად პერსონაჟზეა აგებული - ისინი ჩნდებიან არა სისტემიდან, არამედ იქ, სადაც სისტემა ქრება. თუმცა, მათი როლი მხოლოდ სიუჟეტური ფუნქციით არ შემოიფარგლება: ისინი მითოლოგიური არქეტიპები არიან, „თანამედროვე ტანჯულები“, რომელთა მეშვეობით სერიალი იკვლევს საზოგადოების წყვდიადში ჩამალულ შიშებს, პროტესტსა და დილემებს.

ლაზარუსი - მთავარი, მორალურად ყველაზე შეკრული გმირი. სახელი კი პირდაპირ ბიბლიური ლაზარესგან მოდის - მკვდრეთით აღმდგარი ადამიანისგან.
ის თითქოს თავადაც მკვდარია შიგნიდან და მხოლოდ მისი მისია აცოცხლებს: სხვების გადარჩენა.

კასტორი და პოლუქსი - ორი ძმა აფხაზეთიდან. ტრადიციული მითოლოგიის ტყუპები, რომლებიც ცალ-ცალკე ვერ იმყოფებიან ,ერთი მოკვდავია, მეორე უკვდავი. ასე არიან სერიალშიც - ერთმანეთის საპირისპირო ხასიათით, მაგრამ ერთი მიზნისთვის თავდადებულნი. მათი წარმომავლობაც სიმბოლურია: ისინი მოდიან კონფლიქტის ზონიდან, დაუსრულებელი ტკივილის ფენიდან.

ასურა - მითოლოგიაში ბნელი, მებრძოლი სულების ნარევია. იგი აგრესიულია, ფეთქებადი. მასში იგრძნობა შურისძიება - დაუკმაყოფილებელი და დაუმთავრებელი. ის მოქმედებს სწრაფად და რაციონალურ განსჯაზე მეტად ინსტინქტით.
ჰელა - სიკვდილის ქალღმერთი სკანდინავიურ მითოლოგიაში, რომელიც გამოირჩევა სიმკაცრითა და სისასტიკით. მასში თითქმის არ იკითხება თანაგრძნობა. მითოლოგიური პერსონაჟის მსგავსად, გოგონას სახის ნახევარიც დასახიჩრებულია, რომელიც მამამ დაუტოვა, იმ კაცმა, ვისაც უნდა დაეცვა.

დაბოლოს, **ელენა,** ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი, რომელიც სრულიად შემთხვევით უერთდება ჯგუფს, იმ ამბის შემდეგ, როცა მასზე უცხო მამაკაცმა ძალადობა სცადა და ”მონადირეებმა“ ის გადაარჩინეს. მისი ტრანსფორმაცია შთამბეჭდავია: **ის ხდება კალი მა** - ინდური მითოლოგიის შავი ქალღმერთი, რომელსაც ერთდროულად შეუძლია გაანადგუროს და განწმინდოს.

ამ სახელებს, სერიალი შემთხვევით არ ანიჭებს პერსონაჟებს. მითოლოგიური ნიღბები მათ საშუალებას აძლევს იყვნენ რაღაც მეტი, ვიდრე უბრალოდ ტრავმირებული ახალგაზრდები. მაყურებელი თავიდანვე ხედავს, რომ ეს გმირები არც წმინდანები არიან და არც ბოროტმოქმედები. ისინი კანონის მიღმა მოქმედებენ, მაგრამ არ არღვევენ იმ მორალურ კოდექსს, რომელიც თვითონვე შექმნეს: არასდროს შეეხონ უდანაშაულოს, არასდროს იმოქმედონ საკუთარი ინტერესით და არასდროს მოკლან.

ფოტო: ვარიამ მახარაძე

სერიალში მთავარი ფიგურა, რომელიც უამრავ უკანონო ქმედებას ჩადის და დაუსჯელი რჩება ქალაქის მერი - შალვა ამილახვარია. სწორედ აქ იწყება ყველაზე რეზონანსული ნაწილი, როცა პოლიცია ვერ ეხება ამ ადამიანს, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფიგურას. თუმცა, აქვე ვხვდებით ლაზარუსისა და პოლიციელის დიალოგს:

- ბატონო ანდრია, თქვენი აზრით, ვინ დაიცავს სოციალური კიბის ყველაზე ქვემოთ მდგომ ადამიანებს? ჩვენ ყოველდღე დავეხეტებით ნაცრისფერი ქალაქის ქუჩებში და ყველგან სევდიან, იმედგაცრუებულ თვალებს ვხედავთ. თქვენ ვერ ხედავთ ამ თვალებს, ბატონო ანდრია?

დამშვიდობებისას ლაზარუსი პოლიციელს შემდეგ სიტყვებს ეუბნება: **„დაიმახსოვრეთ, ბატონო ანდრია, მიზანი ხანდახან ამართლებს საშუალებას, "პასუხს კი მხოლოდ მაყურებელი იგებს: „ხანდახან კი. "**

ეს მომენტი გარდამტეხია. იქ, სადაც მერი შალვა ამილახვარი ქალაქს კორუფციის ქსელში ახვევს და სამართლებრივი გზით მიუწვდომელი რჩება, ლაზარუსის დიალოგი ანდრიასთან ცვლის წესებს. სწორედ ამ ფრაზებით იწყება სახელმწიფოს შიგნიდან რღვევის პროცესი. კანონის წარმომადგენლები უბრალოდ გზას უთმობენ მათ, ვინც წესრიგს, მორალურ საფუძველზე იცავს და არა იურიდიულზე. ღამის მონადირეები, რომლებიც წარსულში სახელმწიფოს მტრები იყვნენ, ნელ-ნელა ამ სახელმწიფოს უკანასკნელ იმედად გადაიქცევიან. ამ ნაბიჯით სერიალი აცხადებს, რომ თუ ინსტიტუცია აღარ ასრულებს თავის როლს, მოქალაქეები იწყებენ მოქმედებას. „ღამის მონადირეები" სწორედ იმ ადამიანების ამბავია, ვისაც მხოლოდ უსამართლობის ამოცნობა კი არ შეუძლია, არამედ მასთან დაპირისპირების ძალაც ჰყოფნის. საბოლოოდ, ვხედავთ კიდეც, რომ ასეთი მიდგომა ამართლებს და ამილახვარი მთელი საქართველოს თვალწინ ისჯება იმაზე მეტად, ვიდრე ეს შეიძლება ვინმეს წამოედგინა.

„ღამის მონადირეებმა" იუთუბზე გამოჩენისთანავე ფართო აუდიტორიის ყურადღება მიიქცია. მხოლოდ პირველი სერიის პრემიერის შემდეგ (27.12.24) მას ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა აქვს და კომენტარებშიც არანაკლები გამოხამურება. ხალხი დღემდე ითხოვს მეორე სეზონს, თუმცა არ ჩანს სპონსორი. შეიძლება ეს გასაკვირი არც იყოს, რადგან ეს სერიალი ირიბად ურტყამს დღევანდელ სახელმწიფო სტრუქტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ სერიალი შეზღუდული ბიუჯეტით გადაიღეს, რასაც თავად რეჟისორი, ჯორჯ ლასარი ადასტურებს, მონტაჟი, მუსიკა, ვიდეოგადაღება საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული. დრონით

გადაღებული კადრები, ღამის თბილისს განსაკუთრებულ ვიზუალურ ხასიათს ანიჭებს. კამერა არ არის სტატიკური, პირიქით, სულ მოძრაობაშია, მუდმივად ემოციებისა და მიმიკების დაფიქსირებას ცდილობს, რაც მოდუნების საშუალებას არ იძლევა. ტექნიკურად, განსაკუთრებით რთულია ჩხუბის ქორეოგრაფია და შემდეგ გადაღება: მკვეთრი მოძრაობები, კადრების ტემპი, სხეულის მოძრაობის ლოგიკა იმდენად რეალისტურია, რომ ქართულ ეკრანულ პროდუქტში იშვიათად თუ გვხვდება. თუმცა, აქ საყურადღებოა, რომ კამერა ხშირად ტოვებს ძალადობის ცენტრს და ირჩევს იმას, რაც ძალადობის გარეთ რჩება: ხმას, გარემოს, გრძნობებს. აქ ემოციური რეაქცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ვიზუალური კონფლიქტი.

მონტაჟი ორი მთავარი პრინციპით მუშაობს: უკომპრომისო რიტმით, ან პირიქით — ხანგრძლივი პაუზებით. მაგალითად, ე.წ. jump cut-ების გამოყენება პერსონაჟების სწრაფ მოქმედებებს ან რეაგირებას არაჩვეულებრივად გადმოსცემს.

ყველა პერსონაჟს საკუთარი მითოლოგიური გმირის ნიღაბი აქვს. მაყურებელი თითოეული მათგანის სახეს ნელ-ნელა ეცნობა, გარდა ლაზარუსისა. მისი სახე სეზონის ბოლო სერიამდე არ ჩანს, აქ კი მთელი 6 სერიის ჩანაფიქრი იშლება. ელენა ერთადერთია, რომელსაც ეს კოსტიუმი არ აცვია და მიუხედავად ამისა მაინც ერთ-ერთი მონადირეა. ეს ფაქტი შეიძლება იმით ავხსნათ, რომ მთელი სეზონი ის აბარებს გამოცდას. იგი მთავარი დამაკავშირებელი ადამიანია "ღამის მონადირეებსა" და გარე სამყაროს შორის, რადგან ის შალვა ამილახვრის შვილის, ძალიან ახლო მეგობარია. სწორედ ელენაა გადამწყვეტი და ამავდროულად საკვანძო ფიგურა.

დიმიტრი ლეკვიაშვილის მიერ შექმნილი მუსიკა სერიალს იმდენად დინამიკურად გასდევს ფონად, რომ რთულია შეუმჩნეველი დარჩეს. ელექტრონული ჟღერადობა შერწყმულია ეთნიკურ ელემენტებთან, რაც უფრო უნიკალურს ხდის მას. განსაკუთრებით ამაღელვებელია, ლაზარუსის სცენებში გამოყენებული მელოდია, რომელიც პირდაპირ ეხმიანება მის პერსონას: ერთი შეხედვით ძალიან მშვიდი, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან ქაოტური.

სერიალის რეჟისურა გამოირჩევა მკაფიო ხედვით. ფაბულა თითქოს მკვეთრად რეალისტურია - უგზოობა, კორუფცია, ძალადობა - მაგრამ რეალიზმთან ერთად, ყოველი სერია ატარებს მეტაფორულ დატვირთვას. რეჟისორი მიზანმიმართულად ირჩევს სიმბოლიზმს (მაგ. მონადირეების სამალავში კადრში ხშირად ჩანს ყორანი, ლათინური წარწერები, ფოტოები, ტექსტები, მითოლოგია...).

სეზონის ბოლოს, მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს ტელევიზია. მოქალაქეები პირველად სწორედ აქ გაშვებული კადრებით იგებენ სიმართლეს. სერიალის კულმინაცია სწორედ ამ მექანიზმს ეყრდნობა - ლაზარუსი თავად იღებს შალვა ამილახვრის წინააღმდეგ აღსრულებულ სასჯელს და უშვებს ვიდეოს, რომელიც მთელი საქართველოს ეკრანებზე ჩნდება.

პირველი სეზონის დასასრული... მაგრამ არა ტრადიციული დასასრული, რომელიც ექვს სერიას გასდევს, არამედ ტიტრებთან ერთად გვესმის: აქციის მონაწილეების ყვირილი თავისუფლებისთვის, პოლიციის სირენები, შეძახილები, ყველაფერი, რაც რუსთაველზე უკვე თვეებია გრძელდება. ეს უკვე საქართველოა - Atavis Et Armis![1]

„ვინ გაბედავს, ხელი შეახოს ჩვენი ქვეყნის მთავარ გამსაღებელს? უცნაურია არა, რატომ იჭერენ ჩვენს ქალაქში ყველას, კრიმინალების გარდა? მოგმართავთ თქვენ, ვისაც თანაგრძნობა შეგიძლიათ: გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ! მიზანი ამათლებს საშუალებას!“

1. წინაპრებითა და იარაღით - ეს ფრაზა ხშირად გხვდება „ღამის მონადირეების“ სარდაფში.

ავტორი: ნათია შენგელია

„ჯერ დატკბით, მერე მობრძანდით“

ბოლო ერთი წელია, მკვეთრად ვიგრძენი, რამდენი რამაა მოსასწრები, ნამდვილი და ხელშესახები, რამდენი დრო იფლანგება უქმად, თუნდაც სეზონებად გაწელილი სერიალის ყურებისას. რამდენჯერ შემომთენებია, იმის ინტერესში, რა მოხდებოდა შემდეგ სერიაში და ვაღიარებ, მერე ეს დრო, ვეღარ გადაწელილა საიმისოდ, რომ მეგობარი მენახა აუცილებლობის გარეშე.

ამის გაცნობიერებამ, დანახვამ და აღმოჩენამ იმისა,რამდენ რამეს ვერ ვასწრებ,ჩემი შემაწუხებელი ინტერესის გამო ახალი ფილმებისა თუ სერიალებისადმი, გადამაწყვეტინა საკუთარი თავისთვის ნამდვილი “მარხვა” დამეწესებინა, თან ვადა მიუცემლად. პირველი აკრძალვა, სერიალებს შეეხო, ფილმები დავტოვე პირობით- ვუყურებ მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან ერთად, თეატრი კი დარჩა ხელშეუხებელ დესერტად.

ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როცა რამდენიმე მეგობარმა თუ ახლობელმა მკითხა ახალი სერიალის შესახებ და არ ვიცოდი,არც ზედმეტი ინტერესი გამოვავლინე მანამ, სანამ ჩემი კლდესავით შეუვალი და უდრეკი, ათეისტი მეგობრისგან არ მომივიდა შეტყობინებად ე.წ. რილსი სერიალიდან, რომლის სახელიც იწყება ასე : “წმინდა პაისი, ფარასადან -ზეცაში.” ეს ისეთი შოკი იყო, რომ მხოლოდ ვიდეოს რამდენჯერმე ყურების შემდეგ

(გულწრფელად მაინტერესებდა, რამ დააინტერესა მცირე ამონარიდში ასე ძალიან ან რა მოეწონა), წავიკითხე ბოლომდე მონაწერი, მთხოვდა, სრული ვერსია მეპოვა. რაღა გამაჩერებდა, როცა მე და მას თუ ოდესმე რამეზე მოგვსვლია მცირე კამათიც კი, ეს მხოლოდ რწმენას ეხებოდა. რწმენას, და არა რელიგიას!

სერიალი ბერძნულენოვანია და ძალიან გამიჭირდა მისი გახმოვანებული ვერსიის პოვნა, ვეძებე ინგლისურად, რუსულად, ქართულად და უმეტესად სუბტიტრებით ვნახულობდი, ისიც მხოლოდ ამონარიდებს. თუმცა ძიების პროცესში,უცნაური რამ აღმოვაჩინე, თუ რამდენად დიდი იყო დაინტერესება,არაქრისტიანულ ქვეყნებშიც კი. სუბტიტრები მხვდებოდა, თითქმის ყველა ენაზე, რომელთა ცნობაც შემეძლო, კომენტარებშიც გადავდიოდი იმ იმედით, რომ იქ ვნახავდი რამეს სრული ვერსიის შესახებ და კიდევ ერთი უცნაურობა (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის) კომენტარებში წაკითხული მოსაზრებები იყო. როგორ აღფრთოვანებითა თუ სითბოთი წერდნენ შთაბეჭდილებებს სხვადასხვა მრწამსისა თუ დენომინაციის ადამიანები, როგორ გაერთიანდა ყველა იმის გარშემო, რის წინაშეც უძლურდება ადამიანის გარეგანი რწმუნებულება- ესაა უანგარო სიკეთე და სიყვარული.

ვინც ეძებს-პულობსო,ნათქვამია და ბოლოს მეც შევძელი სერიალის მიყოლებით და დალაგებულად ყურება.

იორგოს ციაკასის მიერ გადაღებული ნამუშევარი, 21 სერიისგან შედგება და ის ეხება ჩვენი თანამედროვე წმინდანის-პაისი მთაწმინდელის ცხოვრებას.

მამა პაისი,ბერობამდე არსენ ეზნეპიდისი- ფარასაში იბადება სწორედ მაშინ, როცა თურქეთ-საბერძნეთის კონფლიქტის გამო, ბერძნებს კაბადოკიის დატოვება უწევთ.

უცნაურია,რომ სახელწოდებაში ფარასაც გვხვდება, რადგან ჩვილი არსენი, იქ მხოლოდ რამდენიმე თვეს ატარებს და რეალურ

სცენა სერიალიდან „უსინათლო ბავშვის განკურნება“

ცხოვრებაში, არც რჩება მის მეხსიერებაში, მაგრამ სიუჟეტის მსვლელობისას ვხვდებით, რომ მისი ფესვი სწორედ იქაა, სადაც ის მონათლა შემდგომად წმინდანად შერაცხულმა არსენ კაბადოკიელმა და თავისი სახელი უწოდა ნიშნად იმისა, რომ მის სულიერ მემკვიდრედ სწორედ ამ პატარა ყრმას ტოვებდა. ფარასას წარუშლელი კვალი ჩანს არსენის მშობლების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, რომლებიც არ ივიწყებენ მშობლიურ მხარეს და შვილებს, ხსოვნით მემკვიდრეობად გადასცემენ ამ სიყვარულს.

ბერძნენ რეჟისორს ალბათ არც უფიქრია, რამდენი ქართველის გულს შეეხებოდა დევნილობის სცენები. ის ტკივილი, როცა კუნძულ კერკირაზე ჩასულ ფარასელებს, ადგილობრივები ლტოლვილებსა და ჩამოსულებს უწოდებენ, ისისნი კი ცრემლიანი თვალებით ეკითხებიან ერთმანეთს: ”კი მაგრამ,რატომ გვიწოდებენ ასე ან გვექცევიან აგრესიით, ჩვენც ხომ მათსავით ბერძნები ვართ?!“

არც ისე მცირეხნიანი გაურკვევლობის შემდეგ, ფარასელები კუნძულ ეპირუსზე, ქალაქ კონიცაში მკვიდრდებიან და იქ იზრდება სწორედ არსენი, რომელიც ბავშვობიდანვე შეყვარებულია ლოცვასა და ღვთისმსახურებაზე, რაც მისი თანატოლებისთვის ხშირად დაცინვის საგანი ხდება.

მოცულობის სიდიდის გამო, ძნელია შევეხო ყველა იმ სერიას და ამბავს, რომელიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მინდა გამოვყო ორი მონაკვეთი, ერთი პირველი და ერთიც მეორე სეზონიდან.

ერთი ის, თუ როგორ მტკივნეულად განიცდის არსენის დედა-ევლოგია, შვილის ბერობის გადაწყვეტილებასა და მის ათონის მთაზე გამგზავრებას.

სიმართლე გითხრათ, ძალიან გამაკვირვა ამ ფაქტმა და დიდ ხანს მიჭირდა გაგება, ამ დედობრივი “ეგოიზმის”, იმის ფონზე, რომ მამა პაისის მშობლები და დედა განსაკუთრებით, ღრმადმორწმუნე ადამიანები არიან და ფარასადან მოყოლებული, ვხედავთ, როგორი ლოცვითი განწყობით უმკლავდებიან ყველა პრობლემას. როგორ მოუწოდებს ევლოგია, სირთულეებით შეშფოთებულ მეუღლეს ერთობლივი ლოცვისკენ და როგორ აღასრულებს საოჯახო, რუტინულ საქმეებსაც კი, განუწყვეტელი ლოცვით. მიკვირს ასევე, როგორც მრავალშვილიანი დედის, რომელიც არ რჩება შვილებრივი ნუგეშის გარეშე, შვილის ბერობის შემდეგ.

მხოლოდ მერეღა მივხვდი, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში მცხოვრები ადამიანი, რომ მაშინ **ბერად შედგომა,როგორც არსით ნიშნავს ამ**

სოფლისთვის სიკვდილს, ისე ფიზიკურადაც თითქმის სიკვდილის ტოლფასი იყო მშობლისთვის შვილის ათონზე წასვლა, საიდანაც ის მხოლოდ ერთხელ აგზავნის მისი ბერადაღკვეცის ფოტოს, რომლის მეორე მხარესაც წერილისთვის იყენებს და ასე ემშვიდობება დედას და ოჯახს იმაში დარწმუნებული, რომ ვეღარასოდეს იხილავს მათ. (სხვადასხვა მიზეზის გამო, მას უწევს მშობლიურ მხარეშე დაბრუნება და ოჯახის წევრებთან შეხვედრა, თუმცა ეს უკვე ცალკე განხილვის თემაა).

მეორე მონაკვეთი, უფრო კი მეორე ეტაპი ბერი პაისისა ცხოვრებისა, არის მისი ნიჭები,რომელიც ღვთისგან ებოძა და რომლითაც ეხმარება ადამიანებს ისე, რომ ფილმის მსვლელობისას ვერც ვხვდებით, რამდენად ზებუნებრივ მოვლენებთან გვაქვს საქმე ჩვენ, როგორც მაყურებლებებს და პერსონაჟებს,რომლებიც რეალური ადამიანების როლს ასრულებენ.

ბევრი მათგანი ხომ დღესაც ცოცხალია და პირადად იცნობდა მამა პაისის, პირადად მიუღია მისგან დახმარება და ზოგჯერ ისეთიც, რასაც მისი სიცოცხლე უხსნია, უეჭველი დაღუპვისაგან.

ის სიკეთე და სიყვარული კი, რომელიც დასაწყისში ვახსენე, ბერის ყოველ ქცევაშია. აუხსნელი სითბოთი რომ ესაუბრება ადამიანებს, რომლებიც მას ლამის მტრად ეკიდებიან. ასევე, როგორი შემწყნარებლობით ცდილობს დაეხმაროს სხვებს,როგორ უმეგობრდება ბავშვებს და გული სტკივა მათი გაჭირვებისა თუ პრობლემების გამო- შეუძლებელია გულგრილი დარჩე, სულ რომ რეალურ ადამიანს კიარა, გამოგონილ პერსონაჟს ეხებოდეს საქმე.

აღესრულება სასწაულები ისე, რომ ფილმში ადამიანები იკურნებიან, იცვლებიან,სხვაფერდებიან, რეალობაში კი ჩვენ-მაყურებლებს გვილღვება გული და გვინდება,ცოტათი მაინც შეგეეძლოს ისეთივე სულგრძელება.

სერიალის მუსიკა - ისეთივე უბრალო,მაგრამ სულში ჩამწვდომია,როგორც თავად მთავარი პერსონაჟი. **კლასიკური მელოდიისა და გალობის ნაზავი,რომელიც ჩვეულ ცხოვრებაშიც მოგყვება ოდნავ შესამჩნევ ფონად.**

აღსანიშნია ისიც, რამდენად საოცრად ასრულებს ბერის როლს პროკოპის აგათოკლეუსი, რომელიც კვიპროსელი ბერძენი და პროფესიონალი მსახიობია. ინტერვიუებში, რომლებიც ამ როლს ეხება,ცრემლების გარეშე ვერ საუბრობს, არადა მანამდე არასდროს ყოფილა მორწმუნე ადამიანი. როლის გასათავისებლად აღმოჩნდა პირველად ათონის მთაზე, თერთმეტი თვე დაჰყო იქ ისე,რომ სახლში არ დაბრუნებულა. გაიზარდა თმა,წვერი, იცხოვრა ბერების მსგავსი ყოველდღიურობით და მხოლოდ ამის შედეგ იმუშავა ფილმზე. მსახიობი იხსენებს, თუ როგორ შეცვალა მისი ცხოვრება ბერი პაისის როლმა და რამდენად მგრძნობიარე და გულჩვილი გახდა.

სერიალი, სწორედ იმ ადგილებშია გადაღებული, სადაც მამა პაისის უცხოვრია და უმოღვაწია სხვადასხვა დროს. უმეტესად გარე გადაღებები იყო და ხშირად, ამინდი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პროცესში, როგორც მსახიობი იხსენებს, ყოველთვის, მისტიურად საჭირო ამინდი გამოდიოდა და ამას, მთელი გადამღები ჯგუფიც დაადასტურებსო.

მამა პაისის ჰყავდა მეგობარი, გულწითელა ჩიტი, სახელად ოლეტი. პროკოპი იხსენებს, რომ ათონის მთაზე გადაღებების დროს, როცა პრობლემები იჩენდა თავს, მოფრინდებოდა გულწითელა ჩიტი, ჩემთან ახლოს დაჯდებოდა და ჭიკჭიკებდა, ამ დროს ენით აუწერელ სიხარულს ვგრძნობდით ყველა, ჩიტის მოსვლით კი ვიცოდით, რომ პრობლემა მოგვარდებოდა და გადაღების გაგრძელებას შევძლებდით და ამის გარდა, კიდევ არაერთი სასწაულის მოწმენი გავხდითო.

ჩვენს, ქართულ რეალობაში კი, სადაც ქვეყნის თითქმის 80 % მართლმადიდებელი ქრისტიანია და მაინც ასე ვგრძნობთ რწმენის, შემწყნარებლობისა და სიკეთის ნაკლებობას, ეს ფილმი ნადვილად სულზე მისწრებაა მათთვისაც, ვისაც ანაფორა აცვია, რათა გაახსენდეს რომ მღვდლობა,მონაზვნობა თუ ბერობა მოწოდებაა ღვთისა და ადამიანების მსახურებისა და არა- პროფესია და მათთვისაც, ვისაც ჰგონია რომ ქრისტინობა მხოლოდ "პროფესიონალი" სასულიერო პირები არიან და ვისაც ღმერთის სწამს,ბრმა ან ილუზიებში მყოფია.

"ჯერ დატკბით , მერე მობრძანდით" - ამ სიტყვებით ხვდებოდა ბერი ყველა მასთან მისულ სტუმარს და ბერძნული ტკბილეულით-ლუქუმით უმასპინძლდებოდა. ეს ტრადიცია ათონზე, მის კელიაში და სუროტში- მის საფლავზე დღემდე გრძელდება.

მაშ, მოვიმარაგოთ ჩვენც ლუქუმეული, ჯერ პირი დავიტკბოთ, მერე კი ამ საოცარი სერიალის ყურებით- არც თვალს და გულს მოვაკლოთ სიტკბო.

6

სპორტი

6.1	სპორტის გავლენა პოლიტიკაზე	78
6.2	ანა ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ – 16 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ	80
6.3	UFC-ᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ?	84
6.4	ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ 2026 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ	88
6.5	„ᲑᲘᲭᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ“	90

ავტორი: ლიზა კაკაბაძე

სპორტის გავლენა პოლიტიკაზე

ხანდახან, სპორტის ესა თუ ის სახეობა „იძულებული“ და ვალდებულია პოლიტიკური ხმის მატარებელი გახდეს.

ბევრი ფიქრობს, რომ სპორტს შეუძლია იყოს , სახელმწიფოებს შორის ხიდჩატეხილობის აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალება. გზა იმისთვის, რომ დაკარგული ურთიერთობები აღდგეს, ომი - მშვიდობამ შეცვალოს.

პოლიტიკა ცდილობს ხოლმე, სპორტი სურვილისამებრ შენიღბოს — გამარჯვებას, ბედნიერი ხმაურით აღნიშნავს, მარცხს კი — მტრების შეთქმულებად ასაღებს.

თუმცა, პირიქითაც ხდება- როცა სპორტს უზარმაზარი გავლენა აქვს პოლიტიკურ იდეოლოგიაზე.

სპორტი არ ცნობს რელიგიურ, პოლიტიკურ თუ ეროვნულ სხვაობას. იგი მხოლოდ სხეულისა და ნების ენაზე საუბრობს. როცა სპორტსმენები უპირისპირდებიან, ისინი კი არ ებრძვიან, არამედ პატივს სცემენ ერთმანეთს. ეს ყველაფერი ვრცელდება გარშემომყოფებზეც და ხშირად, მთელ ქვეყანასაც მოიცავს ხოლმე.

როცა ორი დაპირისპირებული ქვეყანა ერთ არენაზე ერთდროულად ასპარეზობს, იქ ჩნდება თანასწორობა.

ზოგჯერ, სპორტი მიზანმიმართულად გამოიყენება საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური გზავნილების გადასაცემად. 1980 წელს აშშ-მ და მისმა მოკავშირეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიადას, პროტესტის ნიშნად ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის წინააღმდეგ. საპასუხოდ, 1984 წელს საბჭოთა ბლოკის ქვეყნები არ გამოცხადდნენ ლოს-ანჯელესის თამაშებზე.

სპორტი არის საშუალება, რომელიც არაძალადობრივი მეთოდებით აერთიანებს გაყოფილ საზოგადოებას საერთო ინტერესების დასაცავად.

ასევე, სპორტი ხელს უწყობს კომუნიკაციას და სოციალურ ინკლუზიურობას, რაც კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და კონფლიქტის მოგვარების მამოძრავებელი ძალაა.“ - აღნიშნა კონფლიქტოლოგმა, ნინო ციხელაშვილმა.

მან ასევე ისაუბრა იმაზე, რომ სპორტს იმაზე მნიშველოვანი გავლენა აქვს ჩვენსფსიქიკაზე, ვიდრე ეს შესაძლებელია წარმოიდგინო.

ბოსნია, სერბეთი, ხორვატია — ეს ის ქვეყნებია, რომელთაც უახლეს წარსულში ერთმანეთთან სისხლიანი ომი ჰქონდათ, დღეს

კი ბალკანეთის ქვეყნები ხშირად აწყობენ ერთობლივ ტურნირებს კალათბურთში, ფეხბურთში და სხვა სახეობებში.ასეთ დროს, ყოფილი მტრები ერთ გუნდად ერთიანდებიან. ეს ქმნის ახალ თაობაში სხვაგვარ იდენტობას — ისინი არიან, არა დაპირისპირებული ერების შვილები, არამედ ერთ სივრცეში, თანაარსებობისუნარიანი მოთამაშეები.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, სპორტი პოლიტიკური მიზნებისთვის არაერთხელ გამოუყენებიათ. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადა, როდესაც ნაცისტური გერმანია ცდილობდა საერთაშორისო ასპარეზზე, საკუთარი ძალის დემონსტრირებას. თუმცა ამერიკელი შავკანიანი ათლეტის, ჯესი ოუენსის გამარჯვებებმა, ეს პოლიტიკური პროპაგანდა საგრძნობლად დაასუსტა.

ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ასევე, ცივი ომის მწვავე პერიოდი, როდესაც ჩინეთი და აშშ პრაქტიკულად მტრულ მდგომარეობაში იყვნენ. თუმცა, 1971 წელს ამერიკელი მაგიდის ჩოგბურთელები ჩინეთში მიიწვიეს. ეს ერთი შეხედვით უბრალო სპორტული გაცვლა გახდა პირველი ნაბიჯი დიპლომატიური ურთიერთობების აღსადგენად.

სპორტმა აქ მტრის კარი შეაღო — და მალევე მოჰყვა პრეზიდენტ ნიქსონის ისტორიული ვიზიტი პეკინში.

ჩემთვის სპორტი არის ყველაფერი. არ ვიცი, დილას რომ ვიღვიძებ რა უნდა ვაკეთო, ან რაზე ვიყო ორიენტირებული 24/7-ზე.

მგონია, რომ რაგბმა სრულად შემცვალა. როცა ვთამაშობ, უმნიშვნელოლოა ვინ დგას ჩემს წინაშე, შესაბამისად შემიძლია ვთქვა, რომ გარდა გამარჯვებისა, სხვა არანაირი მოტივი არ გვაქვს. რა თქმა უნდა, ორმაგად სასიხარულოა, რომ შენი ქვეყნის ინტერესების გამტარებელი ხარ, თუმცა, არსებობს ძალიან ღირებული შეგრძნებები და ვერაფერი აღემატება მას.

“წლებია უკვე ამ სფეროში ვარ, კითხვამაც ძალიან დამაფიქრა და ვიტყოდი, რომ სპორტს არა თუ პოლიტიკაზე, არამედ - ყველაფერზე აქვს გავლენა. ალბათ, ეს კარგიც არის.“ - განაცხადა საქართველოს 18-წლამდელთა სარაგბო ნაკრების მორაგბემ, დავით არავიაშვილმა.

არსებობს ისტორიები, მოსაყოლად რომ ღირს და პირიქით, გინდა დაივიწყო.

მაშასადამე, ყველა სპორტული მიღწევა არის ნათელი წერტილი და მაგალითი ერისთვის, რომ არასდროს არიან ერთი ქვეყნის შვილები ისეთი ერთიანი, როგორც მაშინ, როცა საერთო მოტივი აერთიანებთ.

სტადიონზე იქმნება ახალი ენა, ენა - რომელსაც პოლიტიკაც კი უსმენს. „ჩნდება იმედი — რომ ადამიანებს, განსხვავებული დროშების მიუხედავად, მაინც შეუძლიათ ერთ რიტმში სუნთქვა.“

1972 წლის 21 თებერვალს კომუნისტური ჩინეთის თავჯდომარე მაო ძედუნი პეკინში აშშ-ის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს ხელს ართმევს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაწყვეტიდან 23 წლის შემდეგ, რისი საფუძველიც სპორტის შედეგად აღდგენილი ურთიერთობაა.

ავტორი: ანანო ქრისტესიაშვილი

ანი მდივანი - ნაკრების 16 წლის ფრენბურთელი

- ანი გთხოვთ, მოგვიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ – როგორ დაიწყო თქვენი სპორტული გზა, რატომ აირჩიეთ ფრენბურთი და რა იყო თქვენი ინსპირაცია?

-გამარჯობა, მე ვარ ანი მდივანი, 16 წლის. ფრენბურთი ბავშვობიდან ვე ძალიან მიყვარდა. სულ ვუყურებდი თამაშებს და ვოცნებობდი, რომ ოდესმე თვითონაც ასეთ მოედანზე მეთამაშა. დეიდაჩემი ფრენბურთელი იყო, მისმა სიყვარულმა ამ სპორტის მიმართ, ჩემზეც დიდი გავლენა მოახდინა. შეიძლება ითქვას, სწორედ მან გამიღვიძა სურვილი, ეს გზა ამერჩია.
ფრენბურთის თამაში 12 წლის ასაკში დავიწყე, მაგრამ ყველაფერი ძალიან სწრაფად განვითარდა, რადგან 14 წლის ვიყავი, როცა პირველად ვითამაშე პროფესიონალურ დონეზე. ეს იყო ევროპის შესარჩევი ტურნირი და მაშინ ნამდვილად მივხვდი, რომ ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი და მთელი ცხოვრება მინდოდა მიმეძღვნა მისთვის.
ჩემი ინსპირაცია კი სპორტში ბოსკოვიჩი იყო და დღემდე არის, რადგან მისი თავდადება, სიძლიერე და პროფესიონალიზმი, უბრალოდ შთამაგონებელია. ყოველთვის მაკვირვებდა, როგორ ახერხებდა ასეთ სტაბილურ და მაღალ დონეზე თამაშს. ეს მეც მაძლევს სტიმულს, რომ გავაგრძელო შრომა და ჩემი მიზნებისკენ სრული შემართებით ვიარო.

-როგორ მოხვდი საქართველოს ნაკრებში?

-საქართველოს ნაკრებში მოხვედრა, ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნება და მიზანი იყო. 2023 წელს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ, პირველად გამომიძახეს ნაკრებში. ეს იყო წამი, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდი.
იმ ჩემპიონატზე თამაშის დროს, თითქოს სხვა სამყაროში ვიყავი. ყოველ ქულაზე ვგრძნობდი, რომ რაღაც უფრო დიდისკენ მივდიოდი. დაძაბულობა, პასუხისმგებლობა და თან რაღაც საოცარი შინაგანი ძალა,ერთად მომდიოდა. თამაში დამთავრდა, მაგრამ ემოცია დიდხანს გამყვა.
ნაკრებიდან ზარი იყო პასუხი იმისა, რომ ჩემი შრომა დაფასდა. ეს, მარტო კარიერული წინსვლა არ ყოფილა, ეს იყო მტკიცებულება იმისა, რომ ოცნებები ნამდვილად ხდება, თუ არ ნებდები.

-როგორ უთავსებ სპორტს პირად ცხოვრებას, განათლებას?

ანი მდივანი

საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრები

- თავიდან ძალიან მიჭირდა სწავლასა და სპორტს შორის ბალანსის დაჭერა. დღეში რამდენჯერმე ვარჯიში, მოგზაურობები, ტურნირები... ზოგჯერ ისეთი დაღლილი ვბრუნდებოდი სახლში, რომ მეცადინეობის თავი აღარ მქონდა. თუმცა, თანდათან ვისწავლე დროის სწორად განაწილება.
საბედნიეროდ, სკოლა ძალიან მიწყობდა ხელს. მასწავლებლები მიგებდნენ, რომ ჩემი ცხოვრება მარტო კლასში ყოფნა არ იყო და მუდამ ცდილობდნენ მხარში დგომას. ხშირად, წინასწარ მაწვდიდნენ მასალებს და მეხმარებოდნენ გამოტოვებული გაკვეთილების აღდგენაში. **ამ მხარდაჭერამ, დიდი როლი ითამაშა იმაში, რომ ერთდროულად არც სპორტში ჩამოვრჩენილვარ და არც სწავლაში**.

-ანი, რა მიზნები გაქვთ როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ასევე ნაკრებთან ერთად?

-ნაკრების ამჟამინდელი მიზანი საკმაოდ მასშტაბურია, ვმუშაობთ იმაზე, რომ ოქროს ლიგაზე გავიდეთ და წარმატებით ჩავაბაროთ ევროპის შესარჩევი ტურნირი. მთელი გუნდი დიდ ძალისხმევას დებს ამ მიზნის მისაღწევად. ვარჯიშები ინტენსიურია, მოტივაციაც მაღალია და ყველა ვგრძნობთ, რომ წინ მნიშვნელოვანი გზის გავლა გვიწევს. **რაც შეეხება ჩემს პირად მიზანს, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ერთ დღეს ევროპის წამყვან კლუბებში ვითამაშო. ვიცი, ეს გზა იოლი არ იქნება, მაგრამ მე მზად ვარ შრომისთვის.**

-როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო, საქართველოს ფრენბურთის განვითარებისთვის?

-ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სასიხარულო ტენდენცია ფრენბურთის პოპულარიზაციაა. სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ამ სპორტით, დარბაზებშიც მეტ მაყურებელს ვხედავთ და ახალი თაობაც აქტიურად ერთვება ვარჯიშის პროცესში.
მგონია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია სპორტის განვითარებისთვის, თუმცა საჭირო არის სტაბილური ფინანსური მხარდაჭერა, ხარისხიანი ინვენტარი, ხშირად გამართული ამხანაგური შეხვედრები საერთაშორისო დონეზე და რაც მთავარია, მეტი გამოცდილება ძლიერ გუნდებთან თამაშით.
ასევე, აუცილებელია, მედიის მეტი ჩართულობა და საზოგადოების ინტერესის შენარჩუნება, რადგან როცა შენს თამაშს უყურებენ, შენც მეტი სურვილი გაქვს, უკეთ ითამაშო და წარმოაჩინო არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ შენი გუნდი, ქალაქი და მთელი ქვეყანა.

-იყო თუ არა მომენტი, როცა ფიქრობდი, რომ უნდა დაგეტოვებინა ფრენბურთი? რა დაგეხმარა გაგრძელებაში?

-ვფიქრობ, რომ მსგავსი რთული მომენტი ნებისმიერი სპორტსმენის ცხოვრებაში დგება. მომენტი, როცა რთულია, იღლები, ეჭვი გეპარება საკუთარ ძალებში. მაგრამ ასეთ დროს, ყოველთვის მახსენდება, თუ რის გამო დავიწყე თამაში, რამდენი შრომა ჩავდე და რა გზა გამოვიარე. ამ მიდგომამ, არაერთხელ მომცა ძალა, რომ არ დავნებებულიყავი. როცა ვაანალიზებ, რამდენად ბევრს მივაღწიე, შედარებით მოკლე დროში, მემატება მოტივაცია და სურვილი, რომ კიდევ უფრო წინ წავიდე.

-გიგრძვნია ოდესმე, რომ შენი ძალა ან შესაძლებლობები მხოლოდ იმიტომ დაუფასებიათ ნაკლებად, რომ ქალი ხარ?

-ფრენბურთში უფრო არა, რადგან ასე თუ ისე, ქალთა ფრენბურთი მსოფლიოში ნამდვილად ფასდება და ვითარდება. ბევრ ქვეყანაში, ის ერთ-ერთი წამყვანი სპორტია, რომელსაც დიდი ყურადღება ექცევა და ქალ მოთამაშეებსაც პატივისცემით უყურებენ.
თუმცა მაინც არსებობს განსხვავებები. ძალიან ხშირად, კაცთა ფრენბურთელს უფრო მეტი დაფინანსება, მედიის ყურადღება და რესურსი ეძღვნება, რაც თავისთავად აჩენს უთანასწორობის განცდას. თითქოს, ერთსა და იმავე სპორტში, კაცებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ პროფესიული ზრდისთვის. **ჩვენ, ქალმა სპორტსმენებმა, ბევრად მეტი უნდა დავამტკიცოთ იმისთვის, რომ იგივე აღიარება მოვიპოვოთ,რაც კაცებმა. მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, დღევანდელი თაობა ბევრად თავდაჯერებული და მოტივირებულია და დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ გზით, თანდათანობით, ყველა ბარიერი და სტერეოტიპი დაინგრევა.**

-როდესაც ამბობენ, რომ “ქალი ხარ და ეს სპორტი შენთვის არ არის” — რას ფიქრობ ამაზე და როგორ ებრძვი სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს?

-როცა მეუბნებიან, რომ ‘ქალი ხარ და ეს სპორტი შენთვის არ არის’, გულწრფელად გითხრათ, ამით მხოლოდ უფრო მეტ მოტივაციას ვიღებ. ასეთი სტერეოტიპული დამოკიდებულებები, ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა მე მათ საქმით ვპასუხობ. ვფიქრობ, სიძლიერეს და მიზანდასახულობას სქესი არ აქვს — თუ ადამიანი შრომობს, აქვს მიზანი და არ ნებდება, არავის აქვს უფლება თქვას, რომ მისი ადგილი სპორტში არ არის.

სპორტში,ისედაც ყოველდღიურად გიწევს იმის მტკიცება, რომ შენ იმ სივრცეში იმსახურებ ყოფნას, სადაც ზოგს შენი წარმოდგენა უბრალოდ არ სურს. მაგრამ ყოველი წარმატებული სეტი, მატჩი, მიღებული მოწონება — პასუხია მათთვის, ვინც მხოლოდ გენდერის მიხედვით განსჯის და აფასებს სიტუაციას.
ჩემი გზა, ბევრისთვის მაგალითი იქნება, განსაკუთრებით იმ გოგოებისთვის, ვისაც ჯერ კიდევ ეშინიათ პირველი ნაბიჯის გადადგმის. მინდა, მათ იცოდნენ, რომ სპორტი ყველასია და თუ გიყვარს ის, რასაც აკეთებ, არავის აქვს უფლება საწინააღმდეგო გიმტკიცოს.

-რას ურჩევდი, იმ გოგონებს, რომლებიც ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს სპორტულ კარიერაში?

-მინდა ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა გოგონებს ვუთხრა:

“ბოლომდე იბრძოლეთ თქვენი მიზნებისთვის და არ მისცეთ პატარ-პატარა დაბრკოლებებს უფლება, რომ თქვენს თავში ეჭვი შეიტანოთ. ძალიან მარტივია დანებება, მაგრამ გამარჯვება სწორედ იქ იწყება, სადაც არ ნებდები.
იმიტომ რომ გოგო ხარ, არ უნდა შეგეშინდეს უფრო გაბედულად იბრძოლო, უფრო ძლიერად ითამაშო ან უფრო მკაფიოდ თქვა შენი სიტყვა. სპორტი სქესით არ განისაზღვრება. თუ გიყვარს ის, რასაც აკეთებ და მზად ხარ შრომისთვის, მაშინ არაფერია შეუძლებელი.
მტკიცე ნაბიჯებით, რწმენით და ყოველდღიური შრომით, ნამდვილად შესაძლებელია დიდი მიზნების მიღწევა, რადგან შენს გზას მხოლოდ შენ მართავ.
თავი მაღლა ასწიე და აკეთე შენი საქმე, სიყვარულით და თავდაჯერებით!“

ანი ეღიკანი

ავტორი: გიორგი სირგილაძე

UFC-ის ისტორიაში უღიღესი ბრძოლა?

ილია თოფურია VS ოლივეირა - ქართველი მებრძოლი ორი წონის ჩემპიონობისთვის იბრძვის

ფოტო ალეგულია ინტერნეტიდან

UFC-ის ქვემსუბუქი წონითი დივიზიონის ჩემპიონი ილია თოფურია კარიერაში უმიშვნელოვანესი ბრძოლისთვის ემზადება.დაუმარცხებელი ქართველი მებრძოლი მსუბუქი წონის ყოფილ ჩემპიონს ჩარლზ ოლივეირას დაუპირისპირდება.გამარჯვების შემთხვევაში თოფურია გახდება პირველი ქართველი მერბრძოლი,რომელიც ორი წონითი დივიზიონის ჩემპიონი იქნება.

თოფურიას გზა ჩემპიონობამდე

ილია თოფურია UFC-ში 2020 წელს გამოჩნდა და მალევე გახდა ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა თავის დივიზიონში,მისი სტილიდან გამომდინარე. შერეული ორთაბრძოლებით ბავშობიდანვე დაინტერესებული იყო. პირველი პროფესიონალური ბრძოლა 2015 წელს ადგილობრივ შეჯიბრში ჩაატარა.2020 წელს UFC-ში პირველი ბრძოლა „მაროკოელ ეშმაკთან“- იუსეფ ზალალთნ, სამ რაუნდიან ბრძოლაში გამარჯვებით დაიწყო.საჩემპიონო ბრძოლამდე, სულ რაღაც 5 შეხვედრის ჩატარება მოუწია.ბრძოლების უმეტესობას, ილია ფინიშით ამთავრებდა,ერთადერთი შეხვედრა იყო ჯოშ ემეტთან,რომელიც მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით,ილიას სასარგებლოდ დასრულდა და საჩემპიონო ბრძოლის მომტანი აღმოჩნდა.

საჩემპიონო ბრძოლა

2024 წლის 18 თებერვალი UFC-298-ზე საქართველოსთვის ისტორიული დღე აღმოჩნდა. ილია თოფურიამ, მის წონაში ლეგენდარული,დაუმარცხებელი ალექსანდერ ვოლკანოვსკი მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა და გახდა პირველი ქართველი მებრძოლი- UFC-ის ჩემპიონი. საჩემპიონო ქამარი, რამდენიმე თვეში, ლეგენდარულ ამერიკელ მებრძოლთან- მაქს ჰოლოვეისთან დაიცვა. ილია თოფურიამდე არცერთ ქართველ მებრძოლს არ მიუღწევია ასეთი შედეგისთვის.

ილია თოფურია, მაქს ჰოლოვეი
ფოტო: ინტერნეტიდან

ჩარლზ ოლივეირა

ბრაზილიელი მებრძოლი ჩარლზ ოლივეირა UFC-ის ორგანიზაციაში წლებია იბრძვის. ოლივეირა ამჟამად მსუბუქ წონით დივიზიონში იმყოფება, სადაც ამავე წონის ყოფილი ჩემპიონია. ოლივეირამ ბრაზილიური ჯიუ-ჯიცუს ვარჯიში ახალგაზრდობაში დაიწყო და 2007 წელს MMA-ში გადასვლამდე რამდენიმე ტიტული მოიპოვა. ოლივეირას UFC-ის რამდენიმე რეკორდი ეკუთვნის, მათ შორის ორგანიზაციის ისტორიაში ყველაზე მეტი გამარჯვება16 წლის ასაკში, ყველაზე მეტი ფინიშის მაჩვენებელი 20 წლის ასაკში და ყველაზე მეტი ბონუსი 20 წლის ასაკში.

UFC-ის კარიერა

მისი დებიუტი UFC-ში დარენ ელკინსის წინააღმდეგ 2010 წელს შედგა. მან მოწინააღმდეგე პირველ რაუნდში საბმიშენით დაამარცხა.ოლივეირამ ამ ორგანიზაციაში დიდი დრო გაატარა, რის შემდეგაც 2021 წლის 15 მაისს UFC 262-ზე, ყოფილი ჩემპიონის, ხაბიბ ნურმაგომედოვის კარიერის შემდეგ, ვაკანტური UFC-ის მსუბუქი წონის ჩემპიონობისთვის მაიკლ ჩენდლერს დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომჩენდლერი პირველ რაუნდში დამარცხდა, ოლივეირამ მეორე რაუნდის დასაწყისში ტექნიკური ნოკაუტით მოიგო ბრძოლა და ტიტული მოიპოვა. ნოკაუტით გამარჯვებით მან კიდევ ერთი რეკორდი მოხსნა და UFC-ის ისტორიაში ფინიშის ყველაზე მეტი რაოდენობა დააფიქსირა. მან ქამარი ორჯერ, დასტინ პორიეს და ჯასტინ გეიჯის წინააღმდეგ დაიცვა. 2022 წლის 22 ოქტომბერს კი მან გამართა ორთაბრძოლა ისლამ მახაჩევთან, სადაც დამარცხდა და ქამარი დაკარგა.

ილია თოფურია, ჩარლზ ოლივეირა - სტილისტიკური ბრძოლა

ილია თოფურიასა და ჩარლზ ოლივეირას ბრძოლა 2025 წლის 29 ივნისს UFC-317-ზე გაიმართება.ეს ბრძოლა არა მხოლოდ ტიტულისთვის, არამედ სტილთა მკვეთრი მისი

დაპირისპირებით იქნება საინტერესო. განვიხილოთ თითოეული მებრძოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და გავაანალიზოთ, როგორ შეიძლება განვითარდეს ეს შეხვედრა.

როგორც ვიცით, ილია თოფურია გამოირჩევა ძალიან კარგი კრივის ტექნიკით, როგორც შეტევაში, ასევეთავ დაცვაშიც, აგრეთვე მას გააჩნია ძალიან კარგი დარტყმის სიძლიერე, რაც თავის წინა ბრძოლაშიც დაამტკიცა, როცა მაქს ჰოლოვეი ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა და შეძლო, ის რაც მანამდე ყველას შეუძლებელი ეგონა. ქართველს ამ ყველაფრის გარდა, აგრეთვე აქვს ჭიდაობის დაჯიუ-ჯიცუს ძალიან კარგი და მყარი ბაზა, რაც მას კიდევ უფრო სახიფათოსა და თავდაჯერებულს ხდის.

თავის მხრივ, ჩარლზ ოლივეირაც არის ძალიან კარგი სტრაიკერი, მას დაუმტკიცებია, რომ აქვს ძალიან კარგი შეტევითი კრივი, თუმცა მის ყველა ბრძოლაში ჩანს, რომ თავდაცვა საკმაოდ უჭირს. ეს კარგად შეგვიძლია დავინახოთ მის უკანასკნელშეხვედრებშიც. მიუხედავად იმისა, რომ მან დაამარცხა მაიკლ ჩენდლერი და დასტინ პორიე, ორივე შემთხვევაში ბრაზილიელმა გაატარა რამდენიმე მძიმე დარტყმა, რომელსაც იმ კონკრეტულ მომენტში გადაურჩა, თუმცა ეს შეუძლებლად ჩანს თოფურიას წინააღმდეგ, რადგან მისი ტექნიკა ბევრად ზუსტია და ასევე იგი ძალიან კარგია დანოკდაუნებული მოწინააღმდეგების დაფინიშებაში.

ერთადერთი ასპექტი, სადაც ფურცელზე ოლივეირას უპირატესობა შეიძლება მივანიჭოთ, ესაა უმაღლესი დონის გრეპლინგი, რითაც შეიძლება UFC-ის ისტორიაში საუკეთესოც კი იყოს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ ასპექტებს, აგრეთვე ქართველის კარგ საბრძოლო გეგმას და ბრძოლის თავის ტემპში წარმართვის კარგ უნარს, შეხვედრის ასეთი განვითარება ნაკლებ სავარაუდო ხდება.

სპორტის ჟურნალისტი ლუკა გელაშვილი ბრძოლის შესახებ ამბობს:ილია თოფურია ამ ბრძოლაში აშკარა ფავორიტია,მისი კრივის ტექნიკა,როგორც თავდასხმითი ისე დავდაცვითი შესანიშნივია,ასევე გეგმა თუ როგორ წარმართავს ტემპს ბრძოლისას.თუმცა ოლივეირას გრეპლინგი,რომელიც როგორც ვიცით ძალიან საშიში და შესანიშნავია არ უნდა დაგავავიწყდეს,რადგან ამ ასპექტში ოლივეირა ძალიან სახიფათოა და ამ ყველეფერს მისი სტატისტიკაც გვიჩვენებს რომელიც მართლაც საშიშად გამოიყურება.სააბოლოოდ ვფიქრობ,რომ ამ ბრძოლაში აშკარა ფავორიტი ილია თოფურიაა,ილია ფორმის პიკშია,რაზეც ვერ ვიტყვით იმავეს ოლივეირაზე,რომელიც 35 წლისაა და ამ სპორტში სულ რაღაც რამდენიმე ბრძოლის ჩატარებას თუ შეძლებს.”

შეგვიძლია ვთქვათ, რომ UFC-317-ზე გასამართი ბრძოლა მთლიანად მსოფლიოსთვის და საქართველოსთვის ძალიან საინტერესო და ამაღელვებელია.თუ ილია თოფურია ამ ბრძოლაში გამარჯვებას მოახერხებს გახდება პირველი ქართველი მებრძოლი,რომელიც ორი წონითი დივიზიონის ჩემპიონი იქნება.

ჩარლზ ოლივეირა
ფოტო - ინსტერნეტიდან

ილია თოფურია
ფოტო - ინსტერნეტიდან

ავტორი: გიორგი სირგბილაძე

საქართველოს ნაკრები 2026-ის მსოფლიო ჩემპიონატზე

საქართველოს ნაკრები
ფოტო ალეგულია ინტერნეტიდან

მსოფლიოს ჩემპიონატს 2026 წელს აშშ, კანადა და მექსიკა უმასპინძლებენ. 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ახალი, გაფართოებული ფორმატით გაიმართება. ტურნირში 32-ის ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს 48 ქვეყნის ნაკრები, მათ შორის ევროპიდან - 16. მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად ორი გზა არსებობს,ერთი ტრადიციული,მეორე კი ერთა ლიგის გავლით.

ტრადიციული გზით მოხვედრა

ტრადიციულ, საკვალიფიკაციო ეტაპზე, უეფას წევრი 55 ქვეყანა წილისყრით 12 ჯგუფში გადანაწილდება. თითოეული ჯგუფი 4 ან 5 გუნდით დაკომპლექტდება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ნაკრებმა გაინაღდოს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, საკუთარი ჯგუფი პირველი ადგილით უნდა დაასრულოს. შესაბამისად, 16-დან 12 ადგილი ტრადიციული შესარჩევით, ჯგუფში პირველადგილოსნებით დაკომპლექტდება. დარჩენილი 4 საგზური კი ვაკანტური რჩება.

GROUP A	GROUP B	GROUP C
WINNER GER / ITA	SWITZERLAND	LOSER POR / DEN
SLOVAKIA	SWEDEN	GREECE
NORTHERN IRELAND	SLOVENIA	SCOTLAND
LUXEMBOURG	KOSOVO	BELARUS
GROUP D	**GROUP E**	**GROUP F**
WINNER FRA / CRO	WINNER ESP / NED	WINNER POR / DEN
UKRAINE	TÜRKIYE	HUNGARY
ICELAND	GEORGIA	REP. OF IRELAND
AZERBAIJAN	BULGARIA	ARMENIA
GROUP G	**GROUP H**	**GROUP I**
LOSER ESP / NED	AUSTRIA	LOSER GER / ITA
POLAND	ROMANIA	NORWAY
FINLAND	BOSNIA-HERZEGOVINA	ISRAEL
LITHUANIA	CYPRUS	ESTONIA
MALTA	SAN MARINO	MOLDOVA
GROUP J	**GROUP K**	**GROUP L**
BELGIUM	ENGLAND	LOSER FRA / CRO
WALES	SERBIA	CZECHIA
NORTH MACEDONIA	ALBANIA	MONTENEGRO
KAZAKHSTAN	LATVIA	FAROE ISLANDS
LIECHTENSTEIN	ANDORRA	GIBRALTAR

ფოტო ალეგულია ინტერნეტიდან

ერთა ლიგიდან მსოფლიო ჩემპიონატზე

სამწუხაროდ, ერთა ლიგიდან მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა საქართველოსთვის გამორიცხულია,რადგან უეფას ერთთა ლიგის ჯგუფში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა,უკრაინასთან ჩეხეთთან და ალბანეთთან, მესამე ადგილი დაიკავა და ამ გზით 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა პრაკტიკულად შეუძლებელი გახადა. ამიტომ, საქართველოსთვის ერთადერთი დარჩენილი შანსი, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპია. იმისთვის,რომ ეროვნულმა ნაკრებმა, მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვოს, ჯგუფში, სადაც ჩვენი მეტოქეები ცნობილია: ესპანეთი, ბულგარეთი და თურქეთი. თამაშზე პირველი ან მეორე ადგილი უნდა მოიპოვონ.

2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრა საქართველოს ნაკრებისთვის რთული, თუმცა რეალური მისიაა. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად უეფას ერთა ლიგიდან პირდაპირი საგზურის მოპოვება შეუძლებელია, მაინც არსებობს ორი გზა, რომლითაც ჩვენი ეროვნული ნაკრები,მოახერხებს 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს.

პირველი გზა, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაა. საქართველო მოხვდა E ჯგუფში ესპანეთთან, თურქეთთან და ბულგარეთთან. ჯგუფის გამარჯვებული ავტომატურად გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე.ამიტომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს თუ უნდა,რომ პირდაპირ მოსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდეს,ჯგუფში აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დაიკავოს.

მეორე შანსი პლეი-ოფებია. თუ საქართველო ჯგუფში მეორე ადგილზე გავა, მიიღებს მონაწილეობას პლეიოფ ეტაპზე. იქ 12 მეორეადგილოსანი და უეფას ერთა ლიგის ოთხი საუკეთესო არაკვალიფიცირებული გუნდი ერთმანეთს დაეჯიდებიან. გამარჯვებული თითოეული გზიდან,ჯამში სამი გუნდი - მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლებას.

მოცემულ საკითხზე თავის აზრს, სპორტის ჟურნალისტი ლუკა გელაშვილი გვიზიარებს: “ვფიქრობ, რომ შანსები აუცილებლად გვექნება, რადგან თუ გადავხედავთ, ბოლო ჩატარებულ თამაშებს, თუნდაც სომხეთთან, ჩვენი ნაკრები ტოვებს მაღალი დონის ნაკრების შთაბეჭდილებას და არ ვფიქრობ,რომ თუნდაც ბულგარეთთან და თურქეთთანაც შანსები არ იყოს, პირიქით, მგონია, რომ საქართველოს შეუძლია ამ ორი ნაკრების დამარცხება და ესპანეთთანაც, არაფერია გამორიცხული.

საქართველოს ნაკრების ვერ გასვლა მსოფლიო ჩემპიონატზე არ იქნება ტრაგედია, კი რა თქმა უნდა, გულშემატკივარი ელის ნაკრებისგან წარმატებას,იმის გათვალისწინებით თუ როგორ ვითამაშეთ ევროპის ჩემპიონტზე,მოლოდინები დიდია გულშემატკივრისგან,მაგრამ შევეგუოოთ,რომ ყველაფერი ერთიანად არ ხდება,კარგი ფეხბურთლები გვყავს ,ახალი ნაკრები ვართ,შენების მომენტში ვართ,რა თქმა უნდა 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში უდიდესი სიხარული იქნება და ქართული ფეხბურთი კიდევ უფრო განვითარდება.”

იმისთვის,რომ საქართველო მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდეს საჭიროა, B ჯგუფში, ესპანეთთან, ბულგარეთთან და თურქეთთან პირველი ადგილი დაიკავოს ან მეორე ადგილით,პლეიოფის გზით მოვიპოვოთ თამაშის უფლება.

გენერირებულია ხელოვნური ინტელექტის მიერ

ავტორი: მარიამ ჩალაური

„ბიჭი დიდი ოცნებებით“

არის ისეთი საღამოები, როცა მთელი სამყარო ერთიანდება. არის ისეთი საღამოები, როცა ოლიმპოს მწვერვალზე ღმერთები იკრიბებიან და ადამიანთა შორის გაჩენილი შუღლის, ომისა და ბოროტების მაგივრად, მწვანე საფარზე გამართული შოუთი ტკბებიან. სანახაობას, დამათრობელ ელფერს ,დიონისეს ღვინით შევსებული სასმისები სძენს. თორმეტივე ოლიმპოელს თავისი რჩეული ჰყავს. თორმეტივემ თავისი ფსონი დადო. ზევსი, თამაშის სისწრაფითა და მუხტით კმაყოფილია, თავისი არჩევანით ვერ დაიკვეხნის ინტერის მფარველი არესი, შეგირდებმა დაივიწყეს ბრძოლის ღმერთის შეგონება და მოირების მიერ ნაქარგ ბედის აბლაბუდაში გაეხვივნენ. თამაშის სილამაზე, განსაკუთრებით ახალისებს აფროდიტეს. მშვენიერების ქალღმერთი მშვენიერი სანახაობით ტკბება. ოლიმპოზე მხოლოდ ერთი ტახტია ცარიელი, ათენა პალასის გაქრობა არ უკვირთ ოლიმპიელებს. ქალღმერთი ხშირად ტოვებს კუთვნილ ადგილს და გმირების დასახმარებლად დედამიწისკენ მოემართება. მისი დღევანდელი რჩეული,პარი სენ-ჟერმენის შემტევი- ხვიჩა კვარაცხელიაა.

ალიანს არენაზე სასტვენის ხმა გაისმა და თამაშიც დაიწყო. **90 წუთით სამყარო პაუზდება, სუნთქვას წყვეტენ ბერძენი ღმერთები და მრგვალ ბურთს ანდობენ ნიკეას სასწორის პინების მოძრაობას.** ფრანგი ქომაგები, ნანატრი თასის მოლოდინში არიან. ჰაერში რაღაც ახლის, შთამბეჭდავის სურნელება ტრიალებს. პარი სენ-ჟერმენისთვის ახალი ეპოქა იწყება. ,,ფულით აწყობილი გუნდი,“ ,,ნავთობის იმპერია”, ეპითეტები, რომლებითაც გუნდს ხშირად მოიხსენიებენ. ჰყავდათ მესი, ჰყავდათ რონალდინიო, ფრანგი მბაპე თუ ბრაზილიელი ნეიმარი. მაგრამ არ ჰქონდათ სული. სული, რომელსაც ფულით ვერ იყიდი. პარი სენჟერმენს ჰქონდა მელოდია, მაგრამ არა მუსიკა.

ჰყავდა ვარსკვლავები, რომლებიც ვერ ბრწყინავდნენ. მაგრამ ახალი სეზონი განსხვავებულად დაიწყო. ბევრჯერ გათამაშებული სცენარი, ლუის ენრიკემ წითელი კალმით გადახაზა და სუფთა ფურცელზე საკუთარი მონახაზი გააკეთა. ახალგაზრდა შეგირდები შეუძლებელში დაარწმუნა, გაამხნევა და მოედანზე საბრძოლველად გაუშვა. როგორც ქირონმა ჰერაკლეს ბრძოლა ასწავლა, ისე გაწვრთნა ესპანელმა თავისი ფეხბურთელები.

თამაშის პირველივე წუთიდან, ინტერი რკინის დაცვით, სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს. სიმონე ინძაგის შეგირდებს, ბარსელონასთან მოგებული შეხვედრის ეიფორია, ჯერ კიდევ მოჰყვებათ. ეიმედებათ- ჰეფესტოს მარჯვენა ხელით ჩამოსხმული გაუვალი რკინის კედელი.

მაგრამ ღმერთებს ხომ სძულთ ერთფეროვნება და მოსაწყენი სანახაობა. ინტერს, პირველი უბედურება - აშრაფ ჰაკიმის გოლად ატყდება. ხვიჩას აჩქარება მარცხენა ფლანგიდან, პასების ულამაზესი კომბინაცია და მაროკოელის გოლი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში,მარჯვენა მცველის ფორვარდისპოზიციაზეყოფნა, არცთუ ხშირი სანახაობაა. გოლი - მითუმეტეს. ჰაკიმი გოლს მოკრძალებულად აღნიშნავს, ინტერის ყოფილ ფეხბურთელს ახსენდება იტალიაში გატარებული წლები. თუმცა, ჯუზეპე მეაცაზე გალეულ წუთებს ,მალევე ანაცვლებს მიუნხენური საღამოს დიდებულება. გოლი ჩაითვალა.

ფრანგების ზეიმი გრძელდება. მე-20 წუთზე კვარაცხელია გამჭოლ პასს უკეთებს დემბელეს. ყოფილი ბარსელონელი კი, თამაშის ბედს, 19 წლის დეზირე დუეს ანდობს. ახალგაზრდა ფეხბურთელი იმედს არ უცრუებს თანაგუნდელებს. დუე ბურთს კარისკენ უშვებს, თუმცა მას, მიმართულებას ინტერის მცველი დიმარკო უცვლის. შვეიცარიელი მეკარე თანაგუნდელის რიკოშეტმა უფრო დააბნია. 2:0 - პარიზი იგებს.

პირველ ტაიმს მხოლოდ ორი წუთი ემატება. სწორედ ამდენი დრო აქვთ იტალიელებს, უგოლო ტაიმის გადასარჩენად. ყველა მცდელობა უშედეგოა. შესვენების 15 წუთი ფრანგებს გამოსაფხიზლებლად სჭირდებათ. ისეთი თამაშია, მორფევსის ყველაზე ცხად სიზმარშიც რომ არ უნახავთ. საპირისპირო ვითარებაა იტალიელების ფლანგებში. ვერც ისინი იჭერებენ ნანახს. ალიანს არენაზე გათამაშებული სანახაობა მათ მორფევსის კოშმარად მოევლინათ.

რუმინელი არბიტრის სასტვენი და მეორე ტაიმი დაიწყო. განსაკუთრებული აქტიურობით ქართველი შემტევი , ხვიჩა კვარაცხელია გამოირჩევა. ათენა პალასიც მოედანზეა, არც ერთი წუთით არ ტოვებს გულშემატკივრების საყვარელ ფეხბურთელს. ისე უდგას გვერდში შემტევს, როგორც აქილევსს ტროას ომის დროს, ისე აჩვენებს დატოვებულ სივრცეებს, როგორც აჩვენებდა სწორ გზას ითაკასკენ, სამშობლოში მიმავალ ოდისევსს.

ინტერის დაცვა იძლევა ისევე, როგორც ერთ დროს -ქალაქი ტროა. დეზირე დუეს მოედანზე სრბოლა კი, მწვერვალს აღწევს. დემბელეს ლამაზი გადაცემა, ვიტინიას ასისტი და ფრანგის დუბლი 63-ე წუთზე. ახალგაზრდა შემტევი, გოლს მაისურის გახდით აღნიშნავს. ჟესტი, რომელიც დიდებულ თამაშებში ხშირად გვინახავს, როცა გულში დატრიალებულ ემოციებს შიგნით ვეღარ ატევ და გინდა მსოფლიოს გააგებინო, რომ ფეხბურთია მთელი შენი ცხოვრება, იმედი, რომლითაც სუნთქავ. იშტვან კოვაჩი საფეხბურთო წესების დარღვევისთვის დუეს ყვითელ ბარათს აძლევს. ისეთი ბარათია, რომლის მიღებისთვისაც ფრანგს არ დასჯიან, მეტიც- მადლობასაც ეტყვიან.

73-ე წუთზე დემბელეს მახვილი თვალები, მალევე ამჩნევენ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ხვიჩა კვარაცხელიას. გამჭოლი პასი და ბურთი ხვიჩას აქვს. **გული აუჩქარდა მთელ საქართველოს, ფეხზე დგას ფრანგი გულშემატკივარი. კვარაცხელია სიჩქარეს უმატებს, ადიდასის ბუცების მაგივრად ჰერმესის სანდლები აცვია, ქარივით მიჰქრის და ცაცია ფეხით ზომერის კარში ურტყამს. მასთან ერთად აჩრდილივით გარბის ლუის ენრიკეც, შორიდან ცდილობს შეგირდს ზურგის ქარი დააწიოს. კვარაცხელიას ინდივიდუალიზმი, ინტერის ტაქტიკას ანულებს. ბურთი კარის ბადეშია.** პარიზელები ოთხ ბურთიანი უპირატესობით იგებენ. მაყურებელი მხოლოდ გატანილ გოლს ხედავს.
ხვიჩა კვარაცხელიაა ერთადერთი, რომელსაც საჩემპიონო გოლი ყველა სიზმარში თუ ოცნებაში გააქვს. ერთადერთია, რომელიც რუბინის ბაზაზე სიბნელეში ვარჯიშობს, მაგრამ თვალებდახუჭულს ათი ათასობით გულშემატკივრის ხმა ჩაესმის. მხოლოდ მან იცის, რა გრძნობაა პაწია საქართველო ერთ ღამეში გააერთიანო და ფეხბურთი ქართულად აამეტყველო. მეოთხე გოლი ისეთია, მოწინააღმდეგეს თამაშის შემოტრიალების უკანასკნელ შანსებს რომ უკარგავს. მეოთხე გოლი საჩემპიონოა. ეს იცის გულშემატკივარმა, ეს იცის ლუის ენრიკემ. მიუნხენური აპლოდისმენტები და სიხარულის ოვაციები ჰადესის სამყაროსაც კი სწვდება. სიკვდილის ღმერთიც კი ვერ შველის მომაკვდავ ინტერს.

თამაშის საბოლოო ანგარიშს კიდევ ერთი ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელი, სენი მაიულუ აფიქსირებს. 5-0. ძირითად დროს არაფერი ემატება. ისტორიაში პირველად, პარი სენ-ჟერმენი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია. თუ სიმებდარღვეულ გუნდს არ ჰქონდა ჟღერადობა, ახლა მთელი სტადიონი ერთ ხმაში მღერის. ტირიან ფეხბურთელები, ტირის გულშემატკივარი. მაგრამ სიხარულს ასხივებს ლუის ენრიკე. გუნდის სარდალი და ტაქტიკური მესაჯე. მისი გარდაცვლილი ქალიშვილი, ქსანაც იქაა, სტადიონზე, მამასთან ერთად ზეიმობს დამსახურებულ გამარჯვებას.

ისტორიაში პირველად,ჩემპიონთა ლიგის ფინალში, გავიდა ქართული გოლი. ხვიჩა კვარაცხელია ჩემპიონია. ყავისფერ თმებს აპოლონის დაფნის გვირგვინი , კისერს კი ოქროს მედალი უმშვენებს. ჯერ იტალიაში , ახლა კი გერმანიაში ააფრიალა ქართული დროშა. დროშა, რომელიც მხრებზე აქვს მოსხმული და ყველა განსაცდელისგან იფარავს.

საქართველოში პირველი DOLBY ATMOS
დარბაზები თავგადასავალია, რომელიც
აუცილებლად ყველა კინომოყვარულმა
უნდა გამოსცადოს

GALLERIA TBILISI

6 დარბაზი

578 ადგილი

მისამართი:
რუსთაველის გამზ. 2/4,
0105 თბილისი, საქართველო

www.galleria.ge

DOLBY 3D DOLBY ATMOS 4K

ყველა დასასრული ახლის დასაწყისია...